

გიგო  
ნინაშვილი

რთანი

კუკურუკი  
სამართლება

## გიგო ნინაშვილი

### სიყვარულის ტრაგედია

თაილისი. გამოცემლობა სატი  
2002 წელი

წინამდებარე წიგნი „სიყვარულის ტრაგედია“ ჩემი მერვე  
წიგნია. რომანი ცხოვრებისეულია. იგი აგებულია იმით  
სიმართლეზე, რომ მასში სიხარულიც არის და მწუხარებაც. არიან  
უარყოფითი და დადებითი გმირები. ერთნი, რომლებიც  
სიკეთეს და სიყვარულს ემსახურებიან და მეორენი –  
უზნეოები, წუთისოფლის ხორცმეტი ადამოანები, რომლებიც  
ხელს უშლიან მშვიდობიან მოსახლეობას. კეთილშობილნი კი  
ცდილობენ არაფრის მქონენი ცხოვრების არენაზე გამოიყვანონ  
ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრების სიტუაციაში  
გარყვნილობაში და სიბინძურები ჩაითრია.

ვფიქრობთ, ჩვენი მაღალი მოთხოვნილების მკითხველი  
ყველაფერს სწორად გაიგებს და სამართლიანი მსაჯელიც  
იქნება.

ა. გაბეჭაია

რედაქტორი გივი ბუთხუზი  
მხატვარი ზალიკო სულაკაური  
კორექტორი ნინო ნარიმანიძე

წიგნი იბეჭდება ავტორის ხარჯით

ფასი 2.0 ლარი

## სიყვარულის ტრაგედია



რუსეთისა და საქართველოს საზღვარი ძირითადათ კავკასიონის მთებზე გადის. იგი მაიკოპიდან იწყება და გრძელდება დერბენტამდე. წაომტაცი სანახავია ეს მთები თავისი მწვერვალებით, იალაღებით, ალპური საძოვრებით, კლდეებზე გადმომქუჩარე ქაფქაფა წყლებით, რომლებიც რწყავს ბარის რაიონების ნათესებს, ბალ-ვენახებს... ყვარლის რაიონშია ახალსოფელი, სადაც მე დავიბადე. მის მთებიდან გადმოჭებს ეს მდინარეები. მარჯვნივ — ავანის ხევი, მარცხნივ — შოროხევი. დიახ ეს მდინარეებია, ბავშვობისას ჰაპანაქება სიცხით გახურებულ გულს რომ მიგრილებდნენ. ამ მთებმა და სოფელმა ჩამინერვა ერის სიყვარული. ჩემს ტანზე ამ მდინარეების წყალს ჩაურეცხნია ოფლი და მტკერი. ახლაც მიზიდავს სოფლის ნაბაღრები. ოდესლაც. ხევისგან მიტაცებულ გავერანებულ გამოუყენებელ ადგილებზე ხელგამრჯე გლეხებისგან ხელმეორედ გაშენებული ბალ ~ ვენახებია. ჩამოუკაფავთ უნაყოფო ხებზე ახორხლილი ღიჭნარი და ახლა უფრო მკაფიოდ გაისმის მგალობელ ფრინველთა დამატებობელი ხმები, დიახ, იგია გულს რომ მიტკბობს და გრძნობებს მიამებს, იქ რომ გავივლი ასე მგონია, ვჯეილდები.

მეორე მსოფლიო ომი ჩემს ბავშვობისას დაიწყო და, რა თქმა უნდა, როგორც სხვები, მამაჩემიც, ჯარში წაიყვანეს. ვენახის დამუშავება დედას და ბავშვებს დაგვეკისრა. მაისი იყო და გაფოთლილ ვაზზე ბუდე პქონდა ბულბულს გაკეთებული. ვენახს, რომ ვთოხნიდი, მისი გალობა არა მარტო გულს, სულსაც წვდებოდა. თითქოს იმ მძიმე შრომას მისი გალობა მიმსუბუქებდა, გულს ისე მილაღებდა, სულს ისე მიტკბობდა, დილით უთენიაზე ჩავდიოდი. მისი გალობა რომ მომესმინა, და ვენახში მუშაობასაც ადრე ვიწყებდი. მართალია, ბუნება მკაცრია და მაცდური, მაგრამ უნდა ითქვას, რომ წუთისოფელი უმისოდ არად ჩაითვლება. ყოველივე ლამაზს თავისი მეხოტე ჰყავს და ბუნებაც მათ რიგებს მიეკუთვნება.

ჩვენი კლასის ბავშვები ვედავებოდით ჰარალელური კლასის მოსწავლეებს, რომ ჩვენს კლასში უფრო ლამაზი და

ნიჭიერი გოგოები არიან, ვიდრე თქვენს კლასშიო. თან ერთგული მეორეს ვუმტკიცებდით აი ის გოგო როგორი ლაპაზიაო. ამ შექების გამო ლაპაზი ბავშვების მშობლები ჩიოდნენ დამრიგებელთან. დამრიგებელი კი ჩვენ გვამართლებდა, მშობლებს ეკითხებოდა შენი ბავშვისათვის ფიზიკურად ხომ არაფერი დაუშავებიაო? დედის შეკითხვაზე ბავშვი რომ ეტყოდა არა დედა არაფერი დაუშავებიაო. დამრიგებელი მშობელს ეტყოდა რას ერჩით ბავშვებს, გამაყებათ თავიანთ კლასში ლაპაზები რომ არიანო. ეს მოზარდი ბავშვების საქციელია და ამას ჩვენ ვერ დაუშლითო. დრომ განვლო. ჩვენ უკვე მეოთხე-მეხუთე კლასის მოსწავლები ვართ და გვესმის მერვე-მეცხრე კლასელებზე, რომ იმას ის უყვარს, მავანს კი ისაო. მართლაც, მეცხრე კლასში, ერთი უაღრესად შესაფერი წყვილი იყო. ბიჭი მაღალი, ნორმალური სიმსუქნის, მოხდენილი სახის, შავი თვალებით, გოგო ეშხით, ტანფეხით მისი შესაფერი ყველაფრით. ერთი სიტყვით. ამ იდეალურ წყვილს სიყვარულის რომანი მეხუთე კლასიდან გაუბამთ. გოგო ფრიადოსანი, ბიჭი სამოსანი. სექტემბერია. ახალი დაწყებულია მეცადინეობა. მეშვიდე კლასში დასვენებაზე ფანტიაობა უთამაშიათ. მსაჯული თინათინი ყოფილა და ამის პატრონმა რა გააკეთოსო ბანკიორს, რომ დაუბახნია შეყვარებულ მსაჯულს უთქვამს, საზამთრო გულით მინდა, ფულს მიკცემ საციქვლის პატრონს წავიდეს დუქანში, იყიდოს და მოიტანოსო. გამოაჩინეს და საციქვლის პატრონი მსჯავრდებულის შეყვარებული აღმოჩნდა. არჩილამ წასვლაზე უარი არ თქვა. ახლავეო და წასვლა დააპირა, მაგრამ შეყვარებულმა შეაჩერა, თუ მე ფულს არ გამომართმევ, შენ მოტანილ საზამთროს არ შევჭამო. გამოართვა ფული არჩილამ და წავიდა. დუქანიც იქვე ახლოს იყო, სადაც ხორცი, ყველი, თაფლი და საზამთრო იყიდებოდა. დამთავრდა დასვენება, დაიწყო გეოგრაფიის გაკვეთილი. მასწავლებელმა გადაშალა სია და, მისი გვარი რომ ამოიკითხა, მოსწავლებმა სთხოვეს არა არ დაუწერო, მასწავლებელო, ახლავე მოვაო.

—იქნებ ჩემი გაკვეთილი არ უსწავლია და იმიტომ არ დამესწროო?

— მასწავლებელო როდის იყო, რომ იმან გაქვეთილი არ გვიცოდა?

— მაშ რატომ არ მეუბნებით, სად წავიდა?

ამისი თქმა და არჩილამ შემოაღო კარები და შემოიტანა აქეთ-იქიდან იღლიებში ამოდებული ორი ათ-ათ კილოიანი საზამთრო. დააწყო მაგიდაზე, ჯიბიდან ყასაბის დანაც ამოიღო და საზამთროში ჩაასო.

— რა არის ბავშვებო ეს? — ხელის მინიშნებით ჰკითხა მასწავლებელმა ბავშვებს.

— საზამთროა მასწავლებელო. — უპასუხეს ბავშვებმა და ბავშვებთან ერთად მასწავლებელმაც ჩაიცინა.

— ვიცი, რომ საზამთროა, ბავშვებო, მაგრამ ვისია, ვინ დაგავალათ, რატომ არ იტყვით?

— თქვენთვის არის მას, თქვენ საპატივცემ-ულოდ.

— მე როდისა ვთქვი, საზამთრო მინდა-მეთქი?

ბოლო მერხიდან ადგა ერთი მოსწავლე და მიმართა

— არა, მას, თქვენ ვინ გაბრალებთ? თქვენ არ გითქვამთ. მაგრამ თინათინმა თქვა საზამთრო მინდაო.

— მერე? თქვენც შეუსრულეთ, ხომ?

— შეყვარებულნი არიან თინათინი და არჩილი მასწავლებელო და ბრუციანი ბავშვი რომ არ გაუჩნდეს, ჩვენც შევუსრულეთ.

— მართლა თინათინ?

— დიახ, მასწავლებელო, მაგრამ ამ საზამთროებს არავითარი კავშირი არ აქვს შეყვარებასთან.

— ყოჩაღ, ბავშვებო!

— მასწავლებელო, ჩვენ დასკენებაზე ფანტიაობა ვითამაშეთ. მსაჯულად მე ვიყავი და წასვლა მაგას ერგო, მე ორმოცდათი კაპიკი მივეცი, საზამთრო რომ ეყიდა და არჩილმა კი ორი მანეთის საზამთრო მოიტანა.

— არა, მას, მედუქნესთვის ფული არ მიმიცია. აი თინათინის ფული, — თქვა და ფული მასწავლებელს მაგიდაზე დაუდო. — მე რომ გავედი, მასწავლებელო, საზამთროთი დატვირთული მანქანა დუქანთან იდგა. გადმოცლაში მივეხმარე და თავად მისმა ბიჭჭა მომატაინა აქამდე.

—ახლა ნება მომეცი, მასწავლებელო, საზამთრო დაკვირვა, დროზე შევუსრულოთ თინათინს გულის ნამდომი, რომ ბავშვი მართლა ბრუციანი არ გაუჩნდეს.

კლასში რამდენიც იყვნენ, თავისი ჩათვლით, თავად მასწავლებელმა თითოეული საზამთრო იძღენ ნაწილად გასჭრა. იმ დღეებში წვიმიანი ამინდები იყო და საზამთროც ცივი აღმოჩნდა და გემრიელად შეექცეოდნენ.

გავიდა წლები. ბავშვებმა დაამთავრეს სკოლა და უმაღლესში სწავლის გაგრძელებას ნაადრევი სიყვარული ამჯობინეს. არჩილი და თინათინი დაოჯახდნენ, სულ მალე ცალკე ცხოვრება მოიწადინეს. აიშენეს ორსართულიანი ბინა, გამოეყო არჩილი მშბლებს და ერთობლივი შეხმატებით ცხოვრობდნენ. არც თუ ცუდათ. არჩილას სოფლის მეურნეობასთან ერთად ვაჭრობაც ეხერხებოდა. დროდადრო გაუსხლტებოდა საშინაო საქმეს და მოსკოვიდან ჩამოპქონდა უძვირფასების ბავშვების ჩასაცმელი და ჰყიდიდა მეზობელ სოფლებში უნდა ითქვას, რომ თინათინი თავის ჩასაცმელებს კარგად იხდენდა გემოვნებით იცვამდა ახალ სამოსში, როგორც დედოფალი, ისე გამოიყურებოდა. შეეძინათ ორი ბიჭი, არჩილის და ერთი თბილისში ცხოვრობდა და ყოველ წელს ბავშვები მთელი კვირით არჩილს ქალაქში მიჰყავდა ცირკისა და ზოოპარკის სანახავად. თინათინის მეზობელი მოხუცებული ქალი მარიამი, საქმეს რომ მოითავებდა, მას სასაუბროდ შინ ესტუმრებოდა ხოლმე. მოეფერებოდა, შეაქებდა. არჩილი ბედნიერია, შვილო, ასეთი კარგი ქალი რომ შეხვდი. ნეტა ჩემ ბიჭსაც შეახვედრა შენისთანა კარგი გოგოო. ეს მოხუცებული თინათინთან ხშირად ასე იტყოდა ხოლმე.

ალბათ, დედა-შვილს ხშირად შინაც ჰქონდათ ასეთი საუბარი. შვილს ჩაგონებდა: აი, ასეთი გოგო უნდა მოიყვანოო. ასეთი ჩაგონება არ არის ლამაზი. ასეთი საუბრით ბევრი ტკბილი ოჯახი დანგრეულა. თინათინმა შენიშნა, რომ რამდენჯერაც აივანზე ან ეზოში საქმიანობდა დავითი მას თვალს ადევნებდა. ცდილობდა, თინათინთან დაახლოებას, მასთან საუბრის გაბმას. ეს იმ დღეებში ხდება, როცა არჩილი შინ არ არის. ერთ წელიწადს ყურძნის ბარაქიანი მოსავალი მოვიდა. ხალხმა მოკრიფა, დაწურა... დათიკოს მამა-პაპისგან

დანატოვარი არყის გამოსახდელი ქვაბი ჰქონდა და არჩილებული სთხოვა, შენი ეზო უფრო ფართეა და გთხოვ არყის გამოსახდელი ქვაბი ჩამაღმევინეო. არჩილი დათანხმდა. დათიამ ქვაბის ჩადგმა რომ დაიწყო, თინათასმა მაშინ გაიგო და ქმარს შეეხვეწა:

—არჩილ, თუ გიყვარვარ, დათიას არყის ქვაბი არ ჩააღმევინო, უარი უთხარიო.

—რატომ ვუთხრა, უარი თინათინ? მეზობელია, გაჭირვებული, ჩემი თანტოლი, ზარმაცმა რაღაცა საქმე მოიწადინა და ხელს ნუ შევუშლით, გავუშვათ, ჩადგას, იქნებ შრომას მიეჩიოს, ღარიბმა არყით შეიძლება ხელი მოინაცვლოს, ამოიწიოს, დაქორწინებაც მოიწადინოს და ქორწილიც გვაჭამოს.

—არა, არა! არა მჭირდება მისი ქორწილი, ნუ ჩააღმევინებ!

—რა მოხდა, თინათინ თუ გაწყენინა რამე, მითხარი.

—მე რა უნდა მაწყენინოს, მესი იმას დაეცეს. შემოღომის წვიმებზე ტაჭკის ტარებით ეზო ატალახდება, ჭაჭა გაიფანტება, სუნი დატრიალდება და ბაღჩას სიმშვენიერის სახე დაეკარგება.

—არა უშავრა, ჩემო ანგელოზო, შენ ხომ კეთილი გოგო ხარ, ჩადგას, ფული იშოვოს, გაბედნიერდეს და ეზოს გაზაფხულიდან უკეთესად გავამშვენიერებ. —ამ სიტყვებთან ერთად მოეფერა, თინათინს აკოცა და დაიყოლია.

დავითმა ქვაბის ჩადგმა დაამთავრა, შეუნთო ცეცხლი და დაიწყო ტაჩკით ჭაჭის შემოტანა. მე მგონი, მკითხველო, გეცოდინებათ არყის ქვაბთან პურის ჭამას რა გემო აქვს. მის ნაკვერჩალზე შემწვარი მწვადები, ყველი... ერთი სიტყვით, შემოღომას და ზამთარში იქ ღრეობა არ მოშლილა. იყო ტკბილი პურის ჭამა, იყო ჩხუბი, კამათი, უწმაწური სიტყვების ხმარება. ხან პოლიტიკაში შეიჭრებოდნენ, მთავრობას აკრიტიკებდნენ. ასეთი დიალოგიც იყო: ვინ არის ხალხი, ხალხი არის ბრბო, ბატყანი, ხბო, გოჭი, ქათამი, მთავრობას კი შეადგენენ ტურები, მელები, მგლები, ვეფხვები, ლომები, ვისაც რა მოესურვება ჭამს, და მიდის კოჭლობით ეს დრო, რასაც წუთისოფელი ჰქვია.

“არჩილმა” საშინაო საქმეები, რომ მოითავა, კიდევ წავეჭაროს მოსკოვში. ჩამოიტანა ბავშვების კარგი ჩასაცმელები, მაგრამ ცოლი თინათინი, შინ არ დახვდა. იგი ბავშვებით თავის დედასთან იყო გახიზნული. ესე იგი, არჩილის წასვლის დღიდან საკუთარ სახლში ერთი დამეც არ გაუთენებია. დედასთან თინათინს არჩილამ ვერაფერი უთხრა, შინ რომ მიიყვანა, საყვედურებით მაშინ ააქსო.

—მე სახლის საყარაულოდ მეგულები, რამდენი ძვირფასეულობა გვაქვს და შენ კი თავი მიანებე, არ გემინია, რომ მოიპარონ, გაგვძარცვონ?

—ვინ უნდა მოიპაროს? ჩემო არჩილ, აქ უცხო არავინ მოვა. თუ მოვლენ შენი შემოყვანილი ხელბრუდეები.

—თინათინ, არა გრცხვენია, მეზობლებზე ამბობ, ხელბრუდეებიო?

—არჩილ! ყველაფერს შენი ალალი გულით ნუ ზომავ, დაფიქრდი, არ არის ლამაზი. მთელი ლამე ღრეობენ, მოსვენებული ძილის საშუალებას არ გვაძლევენ, ზოგჯერ ერთიმეორეს უწმაწური სიტყვებით ამკობენ და ნუ გავიწყდება, რომ მე ქალი ვარ!

დრომ განვლო. არჩილი კვლავ წავიდა მოსკოვში. წასვლამდე თინათინმა არჩილს თხოვნით, მოფერებით მიმართა...

—არჩილ გეხვეწები, ნუ წახვალ. სკობია ტკბილად ვიყოთ, ცოტა ვიკმაროთ, არ მინდა ჩვენს სიტკბოებას დაღი დააჩნდეს.

—რა დაღი უნდა დააჩნდეს, გავიჟდი? რა გაქვს მხედველობაში.

—მე ვმიშობ, არავინ დაგაბიზღოს ვაჭრობაში.

—ვინ უნდა დამაბიზღოს?

—არჩილ ხალხი შურიანია. მილიციასაც პატარა მიზური უნდა და, რაც მოგიგია, იმასაც არ დასჯერდებიან, ათ იმდენა: შეგაწერენ.

არჩილამ არ დაუჯერა და კვლავ მოსკოვს მიაწერ. თინათინი კი შვილებით დედას დაუბრუნდა.

დეკემბრის მშვიდი, წენარი, მშრალი დღე იყო. მხოლოდ სოფლის ზოგიერთ ეზოდან ხისმჭრელი „დრუჟბების“ ხმაური

ისმოდა. ჭაჭით გავსებული ბოჭკებით დატვირთული ტაჭურია შემოჯლიგინდა აღნიშნულ ეზოში და ჭაჭის პატრონის სიკვდილაც გვერდით მოჰყვებოდა, დაკლული ღორის ბარკლით, მხოლოდ მისი ქალაქელი სტუმარი კი ღვინით სავსე ათლიტრიანი დოქით უკან მოსდევდა და მას მასპინძელი, ბიძია სიკვდილა ეტრაბახებოდა.

— გია, ახლა ზაოდზე ისე უნდა გაქეიფო, რომ მისი გემოვნება შენს სიცოცხლეში სატრაბახოდ გქონდეს.

ძიაჩემო, მე ზაოდზე არასოდეს მიქეიფნია, მაგრამ პურმარილის ქება კი მომისმენია.

ამ საუბრით შევიდნენ ეზოში და ქვაბის დადგმისთანავე დაიწყეს მწვადების შეწვა. ჯერ დღის ათი საათიც არ იყო, რომ სუფრას მიუსხდნენ. თამაღად სიკვდილაა, ქალაქელი სტუმრის გიას მასპინძელი. თამაღის მოაღილეთ არყის სახდელის დირექტორი საძაგლიშვილი დავითია. ჩარექა და პაჭო მისი ავან-ჩავანი. ბიჭები შეზარხომდნენ, ერთიმეორეს ლაპარაკს აღარ აცდიდნენ, სიკვდილამ მიცვალებულები აღღევრძელა.

— ხო, სიკვდილავ, შენა ხარ გულის მკვლელი? — შეეკითხა ჩარექა.

— დიახ, მე გახლავარ. სული რომ გულივით ჩანდეს, იმასაც მოვკლავდი. — ჩაიცინა გიამ და მიმართა თავის მასპინძელს.

— შენა გვონია, სული არა ჩანს, სიკვდილავ?

— ხო, აბა დამანახე, სადა ჩანს? შენ ახალი აქსიომა არ დაამტკიცო. ექიმებს ვერ გაუგიათ, რა ადგილას არის სული და ეს ჩემი სტუმარი მიმტკიცებს.

— სიკვდილავ, მომისმინე, არა გსმენია? უპარობით სული მეხუთებაო, ჭამის დროს, ნამცეცი სასულეში წამივიდა და კინაღამ დავიხრჩეო, ასეთი რამე თავად თავზე არ გადაგხდენია?

— როგორ არა, გადამხდენია, მაგრამ თავად სული სად არის, რატომ არა ჩანს?

— სული სასულეშია.

— თუ სასულეშია, რატომ არა ჩანს?

—როგორ არა ჩანს? მშვენიურადა ჩანს. ყოველი ადამიანის  
გაკეთებულ საქმეში სულია ჩადებული. არქიტექტურა ასლე, მან  
ხელოვნება, მეცნიერება, მწერლობა! ქურდი, ბანდიჭი,  
მქვლელი... ერთი სიტყვით, ესა თუ ის პიროვნება რა  
სულითაც არის, იმას ავლენს. ცუდათ არ გამიგოთ და არ  
სთქვათ, სულს ღმერთი უდგამსო და ესე იგი ღმერთმა ჩაუდგა  
ბოროტების სულიო?

—არა, ჩემო ბატონი! ღმერთმა კი ჩაუდგა კეთილი,  
წმინდა სული, მაგრამ ნებისყოფამ, უღალატა და ეშმაკის  
მითითებით, ბოროტებას დაადგა. ეშმაკის ვერსიაა, ღმერთის  
მიერ გაცემული სულები თავისკენ გადაიბიროს და კეთილი  
საქმის გამკეთებელი ხელის შეშლაში გამოიყენოს.

—მალადეც, გია! —შეაქო ჩარექამ.

—შენ აბა როგორ გგონია! განათლებულია ისე, რომ  
ეშმაკი ამას ზურგზე ვერ წამოიკიდებს. ღვინით გაუღენთილმა  
ორივე ხელი გამალა და დამაჯერებლად უთხრა: —ისიც უნდა  
იცოდე, ვისი ნათესავია!

—ჩვენგან ეშმაკი შორს! მისი მიმდევარი ვინ იქნება?

—არავინ. ვინ უნდა იყოს? თუ დავითი გყავს  
მხედველობაში ეგ ხომ ბოროტებაში არ ჩაითვლება, ეგ  
სიყვარულის ამბავია, მერე რა არის საძრახი, ქმარ-შეილიან  
ქალს რომ ესიყვარულება?

—აბა, აბა, მაგ თემაზე შეწყვიტეთ ლაპარაკი! იმას  
ენაცვალა ჩემი თავი! მიყვარს, ხომ არა მძულს? თუმცა იმას  
არ ვუყვარვარ, მაგრამ მალე შევუყვარდები და ორივენი ერთად  
ეშმაკსაც დავამარცხებთ. ლაპარაკი დაასრულა დათიკომ და  
ხელგადახვეულებმა წაუმლერეს.

—ოხ სიყვარულო! გეხვევი, გქოცნი,  
სიზმარში ვხედავ შენს იდეალებს,  
ფიქრებს მოვყავარ როცა ვარ მოცლით,  
მე მოვედი და ის იგვიანებს?

დაამთავრეს სიძლერა და ჭიქებს მიუტრიალდნენ.

—მოდი! ბუნების სადღეგრძელო დავლიოთ! —თქვა  
სიკვდილამ.

—კარგი იქნება! —დაუმოწმა დავითმა.

—იმ ბუნებას გაუმარჯოს,

სულს რომ კვებავს გული ფეთქავს,  
აქ სიცოცხლეს, მითხარ, რა სჯობს,  
ჯერ უარი არვის უთქვას  
მაში ბუნებას გაუმარჯოს.

—დიახ, იმ ბუნებას გაუმარჯოს, რომელიც ჩემს ვენახს  
კეთილი თვალით შეხედავს და სიავის ღრუბლებს ეტყვის:  
დავითის ვენახს სეტყვა არ მიაკაროო.

—ვახ რა ეგოისტი ხარ, დავით, ეს როგორ თქვი? ესე  
ივი, შენი არ დაისეტყვოს და სხვისები გინდაც წყალს  
წაუღია, ხომ?

—მე ჩემზე ვლოცულობ, სხვებზე თავიანთმა პატრონებმა  
ილოცონ!

—არა, შენ უკვე ეგოისტობა გამოამუდავნე მაგ თქმით.  
სხვას რომ ღვინო არ ჰქონდეს, შენ გინდა, რომ მერე ჭიქა  
ღვინო მანეთი დაგვიფასო? —უთხრა ჩარექამ.

—არც ეგ არის გამორიცხული. ცოლ-შეილთან ერთად  
ფულიც ხომ მინდა? ახლა მოუსმინეთ ჩემს ძმიშვილს, გიას,  
ჩემს ნათქვამ საღღევრძელოს რას დაამატებს.

—ბუნებას გაუმარჯოს! იმ ბუნებას, ღმერთმა რომ ხალხის  
საკეთლდღეოდ შექმნა. ჩვენ თუ ღმერთზე ვლოცულობთ მის  
მიერ დაარსებულ პლანეტებსაც პატივს უნდა ვცემდეთ. იმის  
მაგივრად, რომ ხალხი მის მორჩილებაში იყოს, პირიქით:  
ხალხი ცდილობს, ღმერთის დაარსებული ცა და მისი  
შემაღებელი ნაწილები თავის გავლენის ქვეშ მოაქციოს.  
მაგალითისთვის: მიზეზად მთვარეზე გაფრენები და მარსზე  
ჩატარებული გამოკვლევებიც საქმარისია. ამ გამოკვლევების  
ჩატარებით ადამიანის სასიცოცხლო გარემოს ვაბინძურებთ, არ  
ვართ იმდენად განვითარებულნი, როგორც უცხო პლანეტელები  
არიან!

—მართალი ბრძანდებით! —დაუმოწმა პაჭომ. თან  
დააყოლა: — ეს რა განვითარებული ყოფილა. გამაგიუა ამ  
კაცმა.

—აბა, როგორ? ყველაფერში ნიჭიერია, ხუთებზე  
დაამთავრა, რაც უსწავლია და იცის, იმას კაცი ვერ  
წართმევს. —ქალაქელი ნათესავბის პრესტიუი დაიცვა  
სიკვდილამ.

შეუძლამისას შინ მოსულ არჩილას, კარები დაკეტილი დახვდა. მოქეიფე ბიჭებმა პირველებმა შეიტყვეს გამოსვლა. დავითი და ჩარექა შეეხმანნენ:

—ვინა ხარ? ქურდი ხარ თუ მოყვარე? ეზოს კარები რატომ გააღე?

—ვინა ვარ და არჩილი! — ცოტა არ იყოს ამ პასუხში მრისხანება იგრძნობოდა.

—რატომ გვიბრაზდები არჩილ? შენი ცოლი თავის დედასთან რომ წავიდა, დაგვიბარა სახლს მიმიშედეთო და ჩვენც იმიტომ შემოგეხმიანეთ.

—ბატონო დავით! შენ მთხოვე და მეც მეზობლობა გავიწიე, ჩაგადგმევინე არყის სახდელი ქვაბი და არა სამიკიტნო, სალოთაო დუქანი. სოფელია, აქ ხალხი ცხოვრობს და მათ მოსევენება უნდათ.

—შენ მართალი ხარ, არჩილ! კარვი, ნუ გამიწყრები, ჩვენ საქმეს ჩვენვე მოვაგვარებთ. მოდი ახლა, ნამგზავრი ხარ და პური გეშეება.

—არა, არ მინდა.

—მოდი, შევრიგდეთ. სამი ჭიქა არაყი დაგვილიე, მერე ღვინო დავაყოლოთ.

ზაოდიდან არჩილას სხვებიც გამოეხმაურნენ. იმდენი ეხვეწნენ, არჩილას თავდაჭერილობა აღარ ეყო. მიუჯდა სუჟრას და მათი ამხანაგი გახდა. თუმცა ბევრი არ დაულევია. პური ჭამა და სამი ჭიქა ღვინო დალია. მერე შინ წამოსვლა დააპირა. თუმცა დავითს რისი თქმაც სურდა, ის კი მოასწრო:

—რა არის, ჩვენ მგლები ხომ არა ვართ? ისე გამოდის, რომ შენი მეუღლე ჩვენ გვერიდება. წამოიწყო ჩარექამ.

—ეგ არ არის თქვენი საქმე. თუ გამიგებთ მე სიკეთე გავაკეთე, ვიმეორებ, ეზოში რომ შემოგიშვით და ზაოდი ჩაგადგმევინეთ. სიავე ბოროტი კაცის ხელობაა, მაგრამ თუ კეთილ კაცს სიკეთეს ვერ დაუნახავთ და თქვენ ღრეობას არ მოიშლით, ისე გაგიხდით საქმეს, რომ ტკბილად დამემშვიდობოთ და სახლში წახვიდეთ.

—მოიცა, არჩილ, ნუ გვიბრაზდები! ღმერთმა ბედნიერება არ მიგოშალოს. შეძლებული ოჯახი გაქვს და ის სიმდიდრე, რაც ოჯახში გაგაჩნია, თავისით არ მოსულა, მის შოგნა-

შეძენაში ბევრი გაჭირვება გაგივლია და სახლში შემოტანილი დიდი გაფრთხილება უნდა. ეს კი ოჯახის დიასახლისის მოვალეობაა, რომ იგი დაიცვას. ხალხში კეთილიც ბევრია და ბოროტიც. ჩვენ თვალი კი გვიჭირავს, მაგრამ რა ვიცით, იქნებ ღრმა ძილში ვართ და ვერ გავიგეთ? ან არა და ამ ოხერტიალ ზაოდს ერთი წუთით თავი არ დანებდება, მეტი რა გითხრა, მეზობელო! მე შენთან მადლობის მეტი რა მეთქმის, მაგრამ ამ ოჯახის ასე მიტოვება არ შეიძლება. მე მგონი, შენ უფრო უკეთ იცი.

—ჭკუაზე ნუ მარიგებთ, ჩემი ოჯახის საქმისა მე ვიცი. —არჩილამ შინ ორი სამი საათი ჩაიძინა და დილით ადრე ადგა, ჩაიცვა და წავიდა სიდედრთან ცოლშვილის ჩამოსაყვანად. მეზაოდეებმა კვლავ გაავრძელეს სმა, მხოლოდ წყნარად. პაჭომ ისე იყვირა ერთი სადლეგრძელო მათქმევინეთო, გეგონება წინააღმდეგობის ცოცხალი კედელი ყოფილიყოს მის წინ აღმართული, ყველა ისე იყო გამოფრუტუნებული, რომ ვინ რას აკეთებდა, აღარ გაეგებოდათ.

—თქვი, პაჭო, ვინ გიდგას წინ?

—ამ სავსე ღვინის ჭიქით ჩვენ წინაპრებს გაუმარჯოს, ვენაცვალე მათ სულს! რუსთაველი და ილია ჩემი კერპები არიან.

—პაჭო, რახან შენ წამოიწყე, წინაპრების სადლეგრძელო გვითხარი ილია უფრო დიდია, თუ რუსთაველი? —შეეკითხა სიკვდილას სტუმარი გია.

—რუსთაველისა უფრო მაღალი ძეგლი დგას

—არა, მე მაგას არ გეკითხები, მომისმინე! ერის ისტორიაში რომელმა უფრო ძლიერი სახელი დაიმკვიდრა?

—ეგ არ ვიცი, მე ვერ გეტყვი.

—მაგას მე გეტყვით და მხოლოდ მომისმინე! — მოუწოდათ გიამ.

—პირველად შოთა რუსთაველით დავიწყებ. შოთა რუსთაველი დაემთხვა თამარის ეპოქას. ესე იგი, მეთერთმეტე-მეორმეტე საუკუნეში, თამარ მეფის მეფობის დროს დაწერა გნიალური „ვეფზის ტყაოსანი“, ბრძნული აფორიზმებით სავსეა მისი პოემა. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა,

და კარგულია“: ამისა და ამისთანა სხვა მრავალი აფორიზების მთემელზე მეტყველებს, რომ ნიჭიერი ყოფილა და უნიჭო კი ამას ვერ იტყოდა. თანაც ეს არის იღიას ეპოქიდან შეიდასი წლის წინ ნათქამი. ამ პოემამ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ეს უძვირფასესი განძია არა მარტო საქართველოსი, არამედ მსოფლიო პოეზიისა, ლიტერატურის ისტორიის კუთვნილებაა. მის გულში სიბრძნე და რაინდული სული რომ არ ყოფილიყო, ასეთ რაინდულ პოემას ვერ შექმნიდა. მისმა რაინდულმა პრაქტიკულობამ, ასე ვთქვათ, ჩვენამდე ვერ მოაღწია. არ იყო საჭირო მისი რაინდული მოქმედება, რადგან საქართველოს სადავები რაინდული სულის და უდიდესი პოლიტიკური მრწამისის პიროვნებას. ხელთ მეფე თამარს ეპყრო. მისი ეპოქა ოქროს ხანას წარმოადგენდა და იგი თავად შექმნა, მემკვიდრეობით კი არ მიუღია.

რაც შეეხება იღიას, ის მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს უდიდესი პიროვნება იყო. მას მეტად შეხძლულ სარბიელზე მოუხდა მოღვაწეობა. თავად კი ფართო მასშტაბის პიროვნებას წარმოადგენდა. ყველაფერში ხელი ეწიფებოდა, ენაც უჭრიდა და მუშაობდა კიდეც. იგი მშეიღებიანი გზებით ცდილობდა საქართველოს გამოხსნას მეფის რუსეთიდან. მისი ტომები ამოუწურავ შრომებს წარმოადგენს. საკუთარ სისხლს არ ერიდებოდა, კავკასიის საკითხებიდან იგი რუსეთის დუმის წევრი იყო. არა პუმანიური კანონების წინააღმდეგ გაბედულად ილაშქრებდა. არ არის საქართველოს იმ დროინდელი ტკივილიანი საკითხები მისი კალამი, რომ არ შეხებოდეს, ერთხელ დუმაში საკითხი იყო წამოჭრილი, სისხლის სამართლის დამნაშავისთვის კონსტიტუციაში სასჯელის უმაღლესი ზომა ჩამოხრჩობა ყოფილიყო. ამ საკითხის დასამტკიცებლად მოწვეულნი იყენები დუმის წევრები, მათ შორის კავკასიიდან იღია, რესი ინტელიგენცია იღიას დიდი პატივისცემით ეპყრობოდა, პის ნიჭს და მეტყველებას დიდად აფასებდნენ. იქ დასასწრებად ჩასული იღია რომ დაინახეს, ბაღში სკამზე მჯდომარევები გაიწიგამოიწივნენ და შუაში ჩაისვეს. თანაც გააფრთხილეს, იღია ჩამოხრჩობის წინააღმდეგ არ წახვიდე, თორემ ტერორს დაგინიშნავენ. მისი პასუხი ასეთი იყო: მე ჩემსას ვიტყვი და

ტერორზე მერე ვიღლაპარაკოთო. როდესაც დაიწყო სხდომა და დაისვა საკითხი ჩამოხრჩობაზე, ილიამ უპასუხა: ის, რის მიცემაც თქვენ არ შეგიძლიათ, იმას ვერ წაართმევთ ადამიანსო. თქვა და გაიტანა კიდეც თავისი, რადგანაც რუსთაველის და ჭავჭავაძის ეპოქებს შორის დიდი სხვაობაა, ერთი მეორეს ვერ შეადრით.

სიღედრიდან ცოლ-შვილის ჩამოსაყვანად მიმავალ არჩილს მოუსვენრობის ფიქრები აწუხებდა, ხანდახან უახლოვდებოდა სამართლიან ეჭვიანობას, მაგრამ თავიდან ისევ ამოიგდებდა ხოლმე. იმათ რა აწუხებთ, ჩემი ცოლი ჩემს სახლში იქნება, თუ დედის ბინაშიო. ცოლზე დაჯერებული ასე ამბობდა: ამას მე ვერ გამიბედავენ და არც ჩემი ცოლი იკადრებსო, მაგრამ საფიქრალია, ჩემს ცოლს რატომ არ სურს ჩემ ოჯახში უჩემოდ დარჩენაო. ესე იგი, ჩემი აზრით, სიავის ეშმაკი ცდილობდა მის მხრებზე დასკუპებას, მაგრამ არჩილი ჯერჯერობით იგერიებდა. ეზოში შესულმა არჩილამ შეაღო სიღედრის სახლის კარი და თინათინს შეხედა ეგონა, რომ მშეს პირისპირ შეეჩება. თინათინმაც არ დააყოვნა, უშალვე კისერზე ჩამოეკიდა და დაუწყო კოცნა. არჩილის უფროსმა შვილმა მურმანმა პატარას მიაძახა, მამა მოვიდა ბონდო, მამაო. დიდმა, თუ პატარამ ისეთი სიყვარული და სიხარული გამოხატეს, მათი შემხედვარე ეშმაკი არჩილის მხრებზე კი არა, მგონი სადღაც მთებში გადაიხვეწა და იქიდან იმუქრებოდა, დამაცადეთ თქვენს გულში თუ არ მიმიჩინეთ ბინა, თქვენს სამტროდ დავითის გულში ხომ კარგად ვარ მოყალათებულიო. ის დღე სიღედრის სახლში გაატარეს და შინ საღამოსღა დაუბრუნდნენ. არჩილამ თინათინი თავის ოჯახში, რომ დაიგულა, მაშინ შეასხენა, თინათინ, გთხოვ, სახლს ნუ დამიტოვებ, მე იმედად ცოლი შინ უნდა მეგულებოდეს, შენ კი რაწამს წასულს მიგულებ, მაშინვე შშობლიურ კერას უბრუნდები. კიდევ გიმეორებ, თუ რამე გაწყენინეს, მითხარი, მე კი მჯერა, რომ ქვეყანაზე ადამიანობა კიდევ არსებობს, გვიან დამით მოსკოვიდან, რომ ჩამოვედი, დაღლილი და მოშიებული ვიყავი, ესენი კი ლვინით შეზარხოშებულნი მღეროდნენ, მაგრამ ჩემი შინ მისვლა არ

გამოჰქონდეთ, მოვიდნენ, მნახეს. იმათ ეგონათ ქურდი ფუჭული  
და პატრონი რომ აღმოვჩნდი, მიმიპატიუეს, მწვადი შემიწვეს.

—ხომ, გვერა ჩემი არჩილ?

—მჯერა, აბა როგორ? კაცს სიკეთე გაუკეთე. იმედია,  
სიკეთეს სიკეთითვე უპასუხებს. თავად დავითიმ გამაფრთხილა  
სახლს თავს ნუ ანებებთ არავინ გაძარცვოსო. ჩვენ კი თვალს  
ვიჰერთ, მაგრამ რა ვიცი იქნება გამოგვეპაროს, შიგ რო  
პატრონი იქნება ის მაინც იყვირებს და მივეხმარებითო. შენ კი  
ამბობ დავითზე რათ შეუშვი ეზოშიო. მამით ობოლი, დედამ  
ძლივს გაზარდა. გიმეორებ გაუშვი, გაიხაროს. იქნება არყით  
ფული გააკეთოს და დაქორწინდეს. ცოდნა შენ გამოცდილი  
ქალი ხარ, და იცი, როგორც ქალს უნდა კაცის სითბო და  
სიყვარული, ასევე კაცსა-ქალის მოფერება და ალერსი.

გათენდა ქვირა დღე. არჩილი დილით ადრე მეზობელ  
სოფელში გასვენებაში წავიდა. ბავშვებს ჯერ კიდევ ეძინათ,  
თინათინი კი დაბლა კიბესთან ეზოს ჰგვიდა. შინ მიმავალი  
დავითი თინათინს მიუახლოვდა და მისალმებისას ცოტა ფეხი  
შეაყოვნა.

—გამარჯობა თინათინ, როგორ ბრძანდებით, ხომ არ  
გვემდური რათ გვემალები? თქვენისთანა ეშხიანს, ლამაზს,  
თბილ ქალს, დამალვა არ შევნის. თქვენ საქვეყნოდ სამხილი  
ქალი ბრძანდებით, ხალხის წინაშე თავი უნდა გეამაყებოდეს,  
რადგან წუთისოფელს შენებრ მშვენიერი ძალიან ნაკლებად  
ჰყავს. საკუთარი თავი დასამალად მაიმუნებს და ეშმაკებს  
აქვთ, შენ კი ნამდვილი მზე ხარ. მე არ ვიტყვი, რომ მარტო  
ჩემთვის, მთელი ქვეყნისათვის. დაამთავრა ლაპარაკი და  
თინათინის თვალწინ ვირივით გაიზმორა, თუმცა ბოდიში  
მოიშველია, უძინარი ვარო. მაგრამ ეს გაზმორვა რას ნიშნავდა  
ორივე კარგად ხვდებოდა. თინათინს დავითის მიმართ  
ძველებურად უხეშობა არ გამოუჩენდა. პირიქით, მღიმარე  
სახით, ანთებული თვალებით მიმართა:

— ბატონი დავით, თქვენ და ჩემს ქმარს არჩილს  
მოგწონვართ, თუ არა, შენნაირად არავის შეკუქივარ.

—ვას, შენი ჭირიმე! რა ჩასაკვნეტი ლაპარაკი გაქვს. ამ  
დროს ჩარექამ დავითს დაუძახა ისიც თინათინს დაემშვიდობა  
და წავიდა. უთოვლო დეკემბერია და ახლად მოკრეფილი

არჩეული ვაშლი და ყურძნი დავითს მოართვეს. არჩეული სახელებზე კი კვლავ მწვადებს წვამდნენ. საღილისთვის ემზადებოდნენ. დავითმა ასწია ხილით დამშვენებული კალათა და ბიჭების მორიდებით თინათინს შინ მიართვა. დანაყრებული ბაშვები კი ცალკე რთახში თამაშობდნენ. თინათინმა მორთმეული საჩუქარი უაყო.

— თქვენ თავად გიჭირთ, კარგი ქალია დედაშენი, ბებია მარიამს მიართვით, იმ ქალს შენზე არანაკლებ ვუყვარვარ.

— დიახ, მართალი ბრძანდებით თინათინ. დედაჩემს აწონილ-დაწონილი ჰყავხარ. ხშირად მეტყვის ხოლმე: თინათინი კარგი გოგოა, ზუსტად ასეთი ცოლი მოგიხდება, შვილო, თუ ნახავ სადმეო, მაგრამ სად ვნახავ შენისთანები იმვიათად იბადებიან.

ყოველივე ეს რას ნიშნავს დავით, დედაშენი ჩემს თავს ხომ არ გირიგებს? — იკითხა თინათინმა და ორივემ ჩაიხითხითვეს. განსაკუთრებით კი თინათინმა. დავითმა ნერვები ვეღარ დაიოკა და კრესლოში მჯდომარეს ცალი ხელი მკერდში ჩაავლო, მეორე შუბლზე დააბჯინა და დაეწაფა მის შევენიერ ბაგეს. თინათინმა ჯერ კი გაუწია წინააღმდევობა, მერე ორივე ხელი კისერზე მოსდო. ზედ მიიზიდა, მოეწება. მხოლოდ მოუერებისათვის, მხოლოდ კოცნისათვის და მერე უთხრა: წადი ახლა, დავით, წაიღე ეს კასრი არჩილამ რომ ნახოს, გამიჯავრდებაო.

— ჩემგან მორთმეულ საჩუქარს თინათინ არ ღებულობ? უკეთესებიდან უკეთესი ვაშლი, ყურძნის მტევნები, შევარჩიე და ამის შეჭმაზე უარს როგორ იტყვი. ეს ვაშლი შენსავით ეშნიანია, ეს მტევანი — შენსავით ცინცხალი...

— უიმე, რა კრგი ხარ, დავით! — კვლავ დიმილით უთხრა: დავითმა და თინათინმა უფრო ღრმად შეტოპეს. ამოსდო მხრებში ხელი, მეორე ფეხებში გაუყარა, აიყვანა და საწოლზე დააგორა. კოცნით და მოუერებით გული, რომ იჯერა, მერე მიატოვა. თუმცა დათმობაზე წასული თინათინი ყველაფრისათვის მზად იყო, მაგრამ დავითი შეშინდა. თინათინს უთხრა, ახლა სჯობია წავიდე, მოულოდნელად არჩილი თავზე არ დამადგესო. თინათინმა ჩაიცინა და თქვა:

— გინდაც დაგვადგეს... ის ისეთი ყურმოდვრენილია, შეიძლება არც არაფერი გვითხრას. ხშირად მეტყვის ხოლოშე: მამით ობოლი ბიჭია და მეცოდება გაჭირვებულად რომ ცხოვრობსო, იქნება არყით სული მოითქვას, ფული იშოვნოს, დაქორწინდეს, ცოლი შეირთოსო.

— გამოდის, რომ დედაჩემი თუ ჩემი მაჭანკალია, არჩილი შენი მაჭანკალი ყოფილა. ორივემ კვლავ თანაბრად ჩაიხითხითეს და დასცილდნენ.

— აბა ახლა ისე ჩადი დავით, რომ თვალი არავინ შეგასწროს. იმედი მაქვს, რომ არ დამივიწყებ. უი, დედა, მწვადების რა კარგი სუნი ტრიალებს, ალბათ შენი ბიჭები ქეითობენ არა?

— ხო თინათინ, თუ ისიამოვნებ მწვადებს შემოგიგზავნი. იცოდე ჩარექა იქნება ჩვენი ავანჩავანი. მშვიდობით

— შეხვედრამდე, დავით.

არყის სახდელი ქვაბი ბაღჩის სავარგულში იყო ჩალგმული და ხეები ისე ჰეთარავდა, თუ არა კვამლით, გარედან ნაგებობას ვერ შენიშნავდნენ. ეზოსა და ბაღჩას შუა სიმაღლით მეტრანახევრიანი ფიცრის ღობე იყო გავლებული. ისე, რომ ამ მხრივ მოღალატე წყვილისთვის საჭირო სიფრთხილე დაცული იყო. თუმცა ეზოს საკმარი ავი კავკასიური ნაგაზი მეურვეობდა. რაკი არყის სახდელთან ნარჩენების სახით გემრიელი სასმუსნი ნახა ავჩარკამ ეზო მიატავა და იქ გადაბარგდა. თინათინისგან წამოსული დათია შევიდა მოქეიფე ბიჭებთან და მიაძახა.

— ბიჭებო, ხომ არ მოიწყინეთ უჩემოდ?

— არა, დავით, შენ გელოდით და დროზე რომ არ მოხვედი, მოშიებულებმა დავიწყეთ პურის ჭამა.

— ეგ არაფერი. ჭამეთ! მე დამიგვიანდა, დედაჩემს გული ცუდად გაუხდა და აფთიაქიდან წამალი ჩამოვუტანე.

— წამლის მიღების შემდეგ როგორაა? — შეეკითხა პაჭო.

— გმაღლობთ, პაჭო! არაუშავრა, მაგრამ მაინც ავადმყოფს თავი არ დანებდება.

მოსმენის შემდეგ ბიჭებმა ერთიმეორეს შეხვედეს, ცოტა ირონიულად ჩაიცინეს და მერე მიმართეს:

— რაღას დამდგარხარ, დავით, დაგვეწვიე!

—არ მშია, მადა არა მაქვს!

—რაშია სქმე? ხომ არაფერმა გაწყინა?

—ჩემთვის არასდროს არანაირ საჭმელს არ უწყენია და ახლა, როცა, რომ დღეს საერთოდ არაფერი არ მიჰკამია, უზმოზე რას უნდა ეწყენინებინა. მე ვფიქრობ, დედაჩემის ავადმყოფობამ ჩემზე ძალიან იმოქმედა.

—კარგი ახლა, დავით, სუთრა არ გაგვიუგემურო! —უპასუხა ჭაჭის მეპატრონებ.

—დაბრძანდი! —ჩარექამ მოუმზადა დავითს დასაჯდომი და შესთავაზა ლვინით სავსე ჭიქა. ახლა სათითაოდ სადლეგრძელოს დავით ვერ ჩამოგითვლი, რაც ჩვენ გვითქვამს, შეგიძლია ორი სადლეგრძელოთი დაგვეწიო. პირველი ღმერთი თავისი წმინდა სულებით, მეორე — სამშობლო, ქართველი ერის გმირთა სულები....

—ჩარექ, შენს შემოთავაზებულ სადლეგრძელოებს მივიღებ. კიდევ თუ არის სამწვადე ხორცი?

—კი, არის, დავით. შეგიწვა?

—ჯერ არა, მერე. დედაჩემმა მოინდომა, შევუწვამ და მივუტან, გაუხარდება, იტყვის, უყურადღებოდ არა მცტოვებს შვილიო.

—ეგრე უნდა იყოს, აბა, როგორ? სხვა შენს მეტი ვინ ჰყავს? მშობლების კერაზე რადგან ხარ, უნდა უპატრონო.

დავითმა ლვინით სავსე ჭიქა გამოცალა, ორიც თავისი ნებით მიაყოლა და წამოდგა, ხელები გაპარჭყა, არ მინდა, მე მეტს ვერ დავლევ, ავადმყოფ დედას უნდა მივხედო და თქვენ თუ გსურთ გააგრძელეთ, მხოლოდ არყის სახდელს არ უღალატოთ, ქვაბი არ დაწვათ, არაყი ნორმალური სიმაგრისა აიღეთ, ისე რომ ორმოცდახუთ გრადუსამდე იყოს, დაუბარა დავითმა და წასვლა დააპირა.

—მოიცა, რომ მიდიხარ, მწვადი არ უნდა წაუღო დედაშენსა?

—არა, ეხლა არა, ეგ მერე, ჯერ ვნახავ, რა მდგომარეობაშია! — თქვა და წავიდა.

პაჭომ ჩარექას დაავალა: თვალი ადევნე, მართლა შინ წავა, თუ გვატყუებსო. ჩარექამ თვალის გაყოლებით გზამდე

დეკემბრის ისედაც მოკლე დღეს, ღრუბელი მზეს აეფარა  
და სუსებმა იმძლავრა. ხალხს ეგონა, ცა მოქუმულია, თოვას  
წამოიწყებსო. მაგრამ ფიქრი ამაო გამოდგა. თოვლი არა,  
მაგრამ ის ღრუბელი სულ გამოიწურა, იწვიმა. მეტი სხვა  
არაფერი მნიშვნელოვანი არ მომხდარა.

დავითმა ერთი პირი ძილი გამოიძინა, ისე, რომ არც  
გაუგია წვიმის მოსვლა, თითქმის ისეთ დროს გამოვიდა  
სახლიდან, რომ ცა უკვე მოწმენდილი იყო, მზეც  
ჩასასვლელად ემზადებოდა. დავითი ადგა, მარანში შევიდა,  
სარცხით ქვევრი გარეცხა, ღვინო გადაიღო, დაალაგა მარანი  
და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. საქმეს, რომ  
აკეთებდა, თვალწინ თინათინის მშვენიერი ლანდი ესახებოდა  
და ფიქრობდა. ნეტა არჩილი იქ ისე დაითვრას, რომ ამაღამ  
შინ ვერ მოვიდესო. ჩემი სურვილით თინათინთან დღისით თუ  
ვერაფერს გავხდი, ამაღამ მაინც დავტკბები მისი  
მშვენიერებითო. თუმცა, ხელის შემშლელად ბავშვები  
ახსენდებოდა... მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა. თუ  
შესრულდა ჩემი სურვილი და არჩილი ამ საღამოს შინ არ  
დაბრუნდა, მაშინ მთელ ღამეს თინათინთან ვიქნებიო.

დაღამდა. დამის მნათობი ცოური სხეულები ღრუბლებმა  
მიმალეს. ისე გამოვიდა თითქოს ღრუბლები დავითს  
ეხმარებოდნენ. ისეთი ბნელი ღამე იყო, რომ კაცი თვალთან  
მიტანილ თითსაც ვერ დაინახავდა. ასეთ სიბნელეში გადაკვეთა  
დავითმა გზა, შევიდა არჩილის ეზოში და აივნის მოაჯირზე  
გადმოყუდებული ლანდი შენიშნა, მიუახლოვდა. იცნო,  
თინათინი იყო და შეეკითხა:

- არჩილა მოვიდა?
- არა, და არც მოვა.
- რა იცი?

-ვიცი, მოამბე მოვიდა, წერილიც მომიტანა. გავხსენი და  
წავიკითხე. ხვალ საღამოს მოვალო.

-კარგია, თინათინ. საჩვენოთ არის საქმე. ღმერთო, ხელი  
მოგვიმართე და ამაღამ ჯვარი დაგვწერე მე და თინათინს.

თინათინ, ორი საათის წინ არყის სახდელიდან გამოვიაწერ გათვალიერება და ვერ დაგინახე. სად იყავი?

—დედაჩემთან.

—რატომ? ხო მშვიდობაა?

—კია მშვიდობა, დედაჩემისთვისაც და ჩემთვისაც. ბავშვები დედაჩემს დაუუტოვე.

—კარგია. ერთი სიტყვით, საყვარელო, სულ მალე გეახლები. მწვადითა და კონიაკით.

—აბა შენ იცი. არ დაიგვიანო. გელოდები! —უთხრა და თინათინი შევიდა შინ. გადაწვა საწოლზე და თვალწინ ფიქრით აპრუნებს იმას, რაც ამაღამ თავს უნდა დაატყდეს. ქალი, ვის გამოც შიშით შინ არ რჩებოდა და დედასთან მიდიოდა, დღეს იმას თავად ეპატიუება. ამ ფიქრში იყო, როცა დავითი თამაზად ავიდა კიბეზე და შეაღო კარუბი. ჩაკეტეს შიგნიდან კარები და სუფრა გააწყეს. სუფრას ამშვენებდა მწვადი, ყველი, კიტრი, პამიდორი, ხილი, შოკოლადი, ფუნთუშა, ყავა, კონიაკი. შეავსეს ჭიქები და იმ ღამის ბეღნიერებისას სვამდნენ. პირველი ორი, რომ შესვეს, მერე ვნებები ვერ დაიოკეს და ორივენი შეუდგნენ თავიანთი საქმის შესრულებას.

ბატონო დავით შენ ისე იქცევი, თითქოს ქალი ვერ არ გენახოს.

—ნამდევილად არ მინახია, ჩემო საყვარელო!

—არა მჯერა! დაითვიცე!

—დედას ვფიცავარ.

მაშინ მე შენთვის სიურპრიზი ვიქნები. თქვა და გაიხადა ხალათი, გამოაჩინა ქათქათა ვარდისფერი მკერდი, ბროლივით სხეული, რის დანახვამაც დავითს მოთმინება დააკარგვინა.

—იცოდე, დავით, მე ვიფიქრე, რომ შენ ქალთან ნამყოფი არ იქნებოდი და პირადად შენს საპატივცემულოდ ლოგინს ასობათ გადავაკარი.

—ჩვენი ბეღნიერების ნიშანი იყოს, თინათინ.

უაღრესად ბეღნიერებს თავი სამოთხეში ეგონათ. გათენდა დილა. მზემ სანამ საძინებელ ოთახში არ შეიხედა, მანამდე არ გაღვიძებიათ. დილით ერთხელ კიდევ ასიამოვნეს ერთმანეთი და დავითმა ჩაცმა დააპირა.

—რა არის დავით. უნდა ადგე?

—ხო, საყვარელო.

— რატომ ჩქარობ? არჩილი საღამომდე არ მოვა.

—არ მიგატოვებ თინათინ! შენ იწექი, მივხედავ ზაოდს და მოვალ.

—იცოდე, მალე მოდი. მე არ ავდგები, ლოგინში გელოდები.

—კი, საყვარელო, არ ინერვიულო.

დავითი სანამ მივიდოდა, თინათინის თვალებს ძილი არ მიჰკარებია. დავითმა, ჯერ არყის სახდელის საქმე მოაგვარა, მერე დედა მოინახულა.

—შეილო რა დაღლილი სახე გაქვს. არყის ქვაბს ხომ არ უნდა შეეწირო? წამოწექი, დაიძინე, დაისვენე.

—რა ვქნა, დედი, უძილობას ორი თვეც უნდა გავუძლო. მერე ჭაჭაც აღარ იქნება და სულ დასვენებული ვიქნები.

დავითმა რომ ყველაფერი მოათავა, დაუბრუნდა თინათინს, დაუჯდა საწოლზე და მხოლოდ ეფერებოდა და ისიც საწოლში ნებივრობდა. მთელი დღე, რა თქმა უნდა, უქმად არ გაუტარებიათ. ხელის შემშლელი არავინ ჰყავდათ და როგორც სურდათ ისე ბუქნაობდნენ. მერე დავითი კვლავ არყის სახდელს დაუბრუნდა და თინათინი კი დედასთან წავიდა ბავშვების ჩამოსაყვანად. დედამ რომ შეხედა, არ მოეწონა შვილის სახე. მაგრამ ამაზე არაფერი უთქვამს. მარტო ბავშვებზე გაუწყრა. შეიძლება ითქვას, რომ დედამისმა ცოტა იეჭვიანა. არჩილამ მოსვლის უმაღლეს თინათინი იყითხა. დავითმა უთხრა: თინათინს ჩარექასთან დაუბარებია, დედაჩემთან მივდივართ და მალე ჩამოვალოო. არჩილი წავიდა მათ ჩამოსაყვანად. მოხდა ისე, რომ სიღედრთან მიმავალ არჩილას გზაზე წინ შეხვდა თინათინი ბავშვებით და შინ ერთად წამოვიდნენ. მხოლოდ ის გაუკვირდა, რომ მისდღემში თინათინი ასე გალამაზებული არ უნახავს და შეექითხა:

—რა არის, სახე რომ გაგითხიპნა? გაკლია სილამაზე?

—არა, არჩილ, ისე წავისვი. ამას როგორ მიიღებდა დედაჩემი.

—მერე? რომ გნახა, რა გითხრა?



— კარგია, შვილო, თავის მოვლა უნდა გიყვარდეს მოატყუა.

— ასეთი თავის მოვლა იმას ჭირდება, ვინც ულამაზოა!

ამასობაში შინ მოვიდნენ. შინ მოსულ ბავშვებს არჩილა მოუფერათ, გაეთამაშა.

— არჩილ შენ ახლა პური გემშიება. რას შეჭამ? კვერცხი შეგიწვა, თუ დაკონსერვებული საქონლის ხორცი გაგიცხელო?

— არაფერი არ მინდა. პურმარილს დავითი მოიტანს.

ამ საუბარში იყვნენ, რომ დავითმა კარებში დაუძახებლად შეაბიჯა, თინათინს ბოდიში მოუხადა, არ მეგონა თუ შენ შინ იყავიო. შემოიტანა ხინკალი, კატლეტი, კანიაკი. დავითი ბავშვებს მოუფერა, ცალცალკე თევზებზე დაუწყო ხინკალი, კატლეტი და მიაწოდა ბავშვებს. მერე თავად მიუსხდნენ სუფრას. თინათინმა სუფრას თავის წილადაც დაუმატა და მერე თქვა არც მე მაწყენს ხინკალი, კანიაკიო და თავადაც მოუჯდა სუფრას.

— სად იყავი არჩილ, რო გიქმიფნა? ისე ეკითხებოდა დავითი ვითომ არ იცოდა.

— გასვენებიდან გავაში ბიძაშვილებითან წავედი. იმ დროს რომ მენახე, წაგიყვანდი, კარგ დროს ჭავატარებინებდი.

— მე მგონი, აჯობებდა, რომ წაგეყვანე. ბიძაშვილები ხომ შეგეკითხებოდნენ, ცოლი რატომ არ წამოიყვანეთ?

— მითხრეს, მაგრამ მე ვუთხარი დავსაჯე შვილების მოვლითათქო. არჩილის ამ სიტყვების შემდეგ თინათინმა და დავითიმ ერთი მეორეს შეხედეს და ჩაიცინეს. თინათინმა გულუხვიანი სუფრიდან არაუერი არ დაიკლო, კაცებს სმაშიც გაუტოლდა და ჭამაშიც. იმდენად დათვრა, რომ დავითის თვალწინ თავის ქმარს მუხლზე შემოაჯდა და კისერზე ხელშემოხვეული ჰკოცნიდა, თან ღიმილით დავითს უცქერდა. თითქოს თვალებით ეუბნებოდა: დავით წუხელ ისე მესიყვარულე, ამაღამ ქმრისთვის არ გამოვდგებიო. მოფერებით, ალერსით, იმდენი ესიყვარულა დაღლილ ქმარს, რომ არჩილამ სასწრავოდ ლოგინი გააშლევინა და სხოვა თინათინს, მასთან დაემინა, მაგრამ თინათინმა შეთავაზებულზე ქმარს უარი უთხრა. დავითიც შენნაირად მთვრალია და სტუმარს ხომ ვერ დავითხოვ?

—თინათინ, ევეც დააძინე მეორე ოთახში, თუ შინ ვასულა. არჩილა საწოლთან მისასვლელად წამოდგა. თინათინ დასაძინებლად ხელიხელთ ძლიეს მიჰყავდა და ხელის უკან გაშვერით დავითს ანიშნებდა მოიცადეო. ქმარს გახადა, დააწვინა, არჩილამ უმაღ ამოუშვა ხერინვა და თინათინი სანამ საძინებელი ოთახიდან დაბრუნდებოდა დავითი საარყესთან მისული იყო. გაუყიდა ყველაფერი, ვისაც პქონდა მოსკოვიდან არჩილის ჩამოტანილი ნავაჭრი საქონელი, ფულიც ხელზე ჩააბარეს. მოსკოვში წასასვლელად არჩილი აღარაფერზე დაყოვნებულა. მექუთე დღეს დილით ცოლ-შვილს დაემშვიდობა, თინათინს დაუბარა ბავშვებს მიმიხედე და სახლს თავი არ დაანებოთ. ამის თქმა დაამთავრა და დავითმაც მოუსწრო დაბლა კიბის საფეხურთან მდგომებს. როცა რომ თინათინმა ირონიული სიცილით ჯერ დავითს შეხედა და მერე გასცა არჩილს პასუხი.

—კარგი, ჩემო არჩილ, რაკი შენ ასე გინდა, მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ არც შენ გაწყენინო და არც ჩვენი კეთილის მსურველებს.

—მარტოობის ხომ არ გეშინა თინათინ? შეეკითხა არჩილა.

—რისა უნდა მეშინოდეს? აქ ვინ უნდა მოვიდეს? თუ მოვა ვინმე, კარგია, ზაოდი აგერ დგას, ერთი დაძახება და ჩარექა უმაღ აქ გაჩნდება, თუ არა და რა შორს წავედი, აგერ ვეფხვის მსგავსი დავითი თავზე არ მაღდგას? არჩილს, თინათინის ეს სიტყვები გულზე ტყვიასავით მოხვდა. გზაზე დამდგარი არჩილი დააეჭვა თინათინმა, მაგრამ დრო აღარ იყო საამისოდ, ავტობუსზე აგვიანდებოდა. დავითმაც უფრო დააჩქარა.

—წამო, არჩილ, იქ მაღაზიაში საქმე მაქვს და ბარემ მიგაცილებ!

—მადლობთ, დავით, მძიმე ვეში არა მაქვს და თუ შენ მაღაზიაში გაქვს საქმე, ეგ სხვა საკითხია.

—არჩილამ აიღო თავისი სამგზავრო ხელჩანთა და ასე ნელნელა ტკბილი საუბრით მივიღნენ ავტობუსამდე. არჩილი იქ დავითს კოცნით დაემშვიდობა. ავიდა თუ არა, ავტობუსიც დაიძრა.

ეშმაკის მსახურებმა, არჩილის ოჯახიდან მოცილების იმპერიალისტური მომოქმედების გამოიყენეს. მათი საბუქნაო ბალაგანი მუდამ გაშლილი იყო. ასევე სუფრაც, მოეშალა ავეჯს ადრეული სისუფთავე. უძრავ ქონებას ენა რომ ჰქონდეს, მომვლელს თავზე მენივით დაატყდებოდა. დავითმა ბავშვები სხვისი მომადლებული ხილით მიიჩვია და ისინიც მალიმალ კითხულობდნენ: დავითი ძია არ მოვა, დედა?

— ხო, დაიძინეთ, შვილებო! დავითი ძია მოვა, მოგიტანთ შოკოლადებს და მოგეფერებათ.

— არა დედა, დავითი ძია შენ უფრო გეფერება.

არ ესიამოვნა თინათინს. შუბლშეკრულმა ბავშვს თავზე ხელის გადასმით უთხრა.

— ხო, ძიაა, შვილო, თქვენი.

მოსკოვში ჩასულ არჩილს დავითი, რომ გაახსენდებოდა, ეჭვი თანდათან უფართოვდებოდა.

დავითის სიყვარულმა თინათინი ისე შეიძყრო, რომ ბავშვები დედას მიუყვანა მოიმიშება, მეზობელ სოფლელებს ბავშვის ჩასაცმელები აქვთ წაღებული და უნდა წავიდე, თუ გაყიდეს ფული გამოვართვა, ბავშვების დასანაყრებლად ფული აღარ მაქვსო. იქიდან, რომ დავპრუნდები, მოვალ და ჩემთან წავიყვან ბავშვებსო.

თორმეტი საათი იყო, რომ არყის სახდელთან დავინით შეზარხოშებულმა ჩარექამ და პაჭომ ჩხუბი ასტეხეს. საქმე შემდეგში ყოფილა, თურმე ჩარექას არყის მყიდველი გამოსჩენია და დავითის უჩუმრად გაუყიდია. მერე ფულის გაყოფაზე პაჭოსა და ჩარექას მოსვლიათ ჩხუბი. დავითი შეყვარებულთან ტკბილ სიზმრებში იყო. ჩარექა და პაჭო კი ბაირამობდნენ. ხან ქეიფობდნენ, ხან არყის ერთად ჰყიდდნენ და გაყოფის დროს ვერ შველდებოდნენ. ამ ამბავმა დავითის ყურაძე მიაღწია და თვალების ფშვნეტით კამათის დროს თავზე დაადგათ.

— რა არის, რა გაქვთ გასაყოფი, რაზე ჩხუბობთ?

ჩარექა გაფითრდა, ხმა ვერ ამოიღო, რადგან მისი ინიციატივით მოხდა არყის გაყიდვა. პაჭომ კი ალალმართლად მიიჩნია თავი და ყველაფერი დააჭიკჭიკა.

— არყის მყიდველი მოიყვანა ჩარექამ და დაიჯინა უნდა უნდა მივიღო. მე უარს ვეუბნებოდი, მაგარამ მაინც გაყიდა ამ უნამუსომ.

— უშენოდ ხომ არ გამიყიდია, პაჭო. თქვი სიმერთლე, ხო დამეთანხმე?

— მერე ჩხუბი რაზე მოგივიდათ?

— დავით თავად ფულს მეტს იტოვებს მე ნაკლებს მაძლევს.

— მთლიანად ფული რამდენია?

— ასოცი მანეთი.

— ახლავე ეგ ფული მე მომეცით. ჩარექამ უყოყმანოდ მიაწოდა.

— თქვე ვირიშვილებო, ჩემს არაყს ყიდით და წილშიც არ გამიყვანეთ? მომისმინე ჩარექ, მოგცემ ოც მანეთს და უნდა წახვიდე. შენ ჩემთან ვეღარ იმუშავებ.

— არა, არ წავალ. ჭაჭას ქვევრიდან მე ვაწვდი პაჭოს, ხან ჭაჭას ისეთი მძაფრი სუნი აქეს, ლამის შიგ მოვიგუდო და მე წავიდე?

— დიახ, შენ უნდა წახვიდე. რატომ მღალატობ?

— იცი, დავით, პაჭო რომ არ იყოს, კარგ ჰასეუბს გაგცემდი, მაგრამ თავს ვიკავებ. მე მგონი, მისახვედრად შენთვის ესეც საკმარისია.

იმ საღამოს არა ჯანსაღი სიყვარულით გართული თინათინი ბავშვების ჩამოსაყვანად დედასთან რომ აღარ წავიდა, ფეფუნა დილით ადრე თავზე დაადგათ. კარები მოსინჯა შივნიდან ჩაკეტილი იყო. თინათინი საფიქრალში ჩავარდა. დავითმა ფარულად, უხმაუროდ ფანჯრიდან გადასვლა დალანდა. მიხვდა, რომ ის თინათინის დედა ფეფუნა იყო. რა ქნას თინათინმა? უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ფიქრობს, დავითი საიდან გააპაროს? სახლის უკანა ფანჯრიდან თუ გადახტება, სხვის ეზოში აღმოჩნდება და ყველა დაინახავს. თუ გზის მხარეზე გადახტება, ისე უნდა გადახტეს, რომ გალავანს თავზე გადაევლოს. სახლის კედლიდან გალავნამდე მანძილი ერთი მეტრია. თინათინმა რომ ვერსად მოუხერხა დავითს დამალვა, დავითის მიერ სამი დღის წინ კასრით მიტანილი ხილი გარდერობის კუთხიდან თვალთხილულ ადგილას დადგა

და მერე გაუდო დედას კარები. შევიდა ფეფენა, ეჭვის თვალით მიათვალიერ-მოათვალიერა, დაინახა დავითი და შეეკითხა:

—რას აქეთებთ აქა?

—არაფერს, ქალბატონო, კლიენტმა ხილი მომიტანა, ჩვენ ბავშვები არა გვყავს, დედაჩემს კი იძღნი ხილი აქვს, ნეტავი შეეძლოს მისი ჭამა და აი არჩილის ბავშვებს შემოვუტანე.

—ღმერთსა მადლი, რომ ამათ შენი სამადლო არაფერი უჭირთ. იძღნი შემოაქვს ჩემს სიძეს, რომ ნეტა ბავშვებმა მისი ჭამა შეძლონ. შენ კი მატყუარავ თუ ასეთი კეთილი ხარ გათენაბას ვერ მოუცადე?

—გათენებულია ქალბატონო.

—ნუ მექამათები! — ფეფენამ მრისხანე ხმით მიუგო.

—ხო, დედა, გათენებულია.

—ხმა ჩაიწყვიტე! ბავშვები შენ გუშინ უნდა წამოგეყვანა.

—გვიან ვნახე ის ხალხი, საქმეზე იყვნენ და დაგვიანებულზე იქ ვეღარ ამოვედი.

—გაეთრიე, დავით შე წუმპედან ამოთრეულო!

—რატომ მაყენებ შეურაცხოფას, ქალბატონო?

—იმიტომ, რომ არაკაცი ყოფილხარ. ჩემს სიძეს კაცი ეგონე! არას მქონენი არიანო და ჭიშკარი გაგიღო, არყის სახდელი ჩაგადგმენა, რომ ცოტა სული მოინაცვლონო. შენ კი უკაცო ოჯახი დაიგულე და ჩუმაღ დაძვრები. ის ადამიანია და ვაჟკაცობაც აქვს. იმას უფრო ხილდი, კარგის გარდა ავიც ეხერხება. კიდევ გიმეორებ: აიღე ეგ ხილის კასრი და გაეთრიე.

—გაჩერდი დედი, ცოდოა!

—ოქროსავით ქმარი გყავს და შენ კი...

თინათინი ატირდა.

დავითი თავის ვედრიანად რომ გამოაძევა. მერე თავის შვილს მიუტრიალდა. არჩილი არ ტყუებულა. მერე რა მოხდა, რომ გეუბნება ოჯახში უნდა იყოო, სავსე ოჯახი რომ გაქვთ, პატრონობა უნდა, იმას კი არ გეუბნება თავი აიშვიო. ომი რომ დაიწყო ჩემი ქმარი ჯარში წაიყვანეს. მე ოცდახუთი წლისა დავრჩი და სილამაზით შენზე მეტი თუ არა, ნაკლები მაინც არ ვიყავ. დეპეშა ქმრის სიკვდილისა ორმოცდასამში მივიღე. განა არ შემეძლო გავთხოვილიყავ? მაგრამ სირცხვილმა

მძლია. მე რომ გავთხოვილიყავ, ბავშვები მიმეტოვებინა, ჩემი  
ქრისტიანული მეორედ სიკვდილი იქნებოდა, მაგრამ სინდისს არ  
ვუღალატე და შენ და შენს ძმას, სიცოცხლე შეგალიეთ. შენ  
კი ქმარი გადგია თავზე და მერე რა ქმარი, ამ წუნკლიანზე  
როგორ გასცვალე?

— კარგი, დედა! არაფერი ყოფილა ჩვენს შორის.  
დამიჯერე! — თინათინი თან ტიროდა. ცრემლებით თავს  
იმართლებდა, მაგრამ შორსმჭვრეტი ჭკვიანი დედა არ  
ტყუვდებოდა.

— რას ტირიხარ? სირცხვილს ცრემლები ვერ რეცხავს,  
მეგონა, ადამიანად გაგზარდე, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ  
შევმცდარვარ. ჯერ ერთი, ჩემს მიერ დაკაუნება მშვენივრად  
გესმოდათ, მაგრამ ხმა არ გამეცით. სანამ არ დალაგდით,  
კარგი არ გამიღეთ, მეორეც, ნაწამები წყვილი საწოლები  
თქვენს გარყვნილობას მიმტკიცებს.

— კარგი, დედა! დამიჯერე, რომ არაფერი მომხდარა.

— ჩაიცვი, გაემზადე, წამოდი ჩემთან და ფეხს ვერ  
ჩამოადგამ სანამ არ ჩამოვა არჩილი.

— ხო, დედა, წამოვალ და ბავშვებს წამოვიყვან.

— თუ წესიერად არ მოიქცევი, მე შენი დედა არ ვიქნები.  
დღეს ერთი ვიყვარდეს, ხვალ მეორე, ეს სიყვარული არ არის,  
ეს ქალის გაკახბებას ნიშნავს.

— კარგი რა, დედა, არჩილის ყურადე არ მივიდეს,  
თორემ მართალი ეგონება.

— ნუ მაბრძავებ, შვილო! სიმართლეს ძირს ნუ ათრევ,  
სიწმინდეს ნაგავში ნუ აკდებ. შენი ცრემლები მე გულს ვერ  
დამილობდეს. დედა ვარ და შვილის უპატიოსნება დედას  
შეურაცხოფს. განა იმიტომ შეგალიეთ ჩემი ახალგაზრდობა,  
რომ თქვენი საქციელით ჩემი პატიოსნება ტალაჩში  
ამოსვაროთ? არც სიძე მიყვარს უპატიოსნო. მე არ ვეტყვი,  
დედა ვარ და უნდა დავიცვა შვილის პატიოსნება, მაგრამ  
სხვისაგან რომ გაივის, მაშინ ჩემგან სიძისადმი ხო დალატია?  
ღმერთი ხო მიმიხვდება მე რომ უსამართლო გზას დავადექი?  
უფალთან პირნათელი აღარ ვიქნები, ჩემს პირნათელობას  
მთელი ცხოვრება ვემსახურე, იმას შენი სიბილწის გამო  
წუნკლიანი წყალი წაიღებს. თუ გაგების შემდეგ არჩილამ ამ

სიმართლეს თვალი მოუხუჭა, მაშინ ვაჟკაცი არ ყოფილია მაგრამ მე ვფიქრობ რომ ვაჟკაცია და არ აპატიებს ჯერ იმას, მერე შენ.

—დედა ესე იგი მწირავ?

—არა, მე არ გწირავ, შენი თავი თავად გასწირე! არ ისერვე ბედნიერება, უფლის მიერ მიჩნილი გზას გადაუხვიე და ეშმაკს აედევნე.

შეურაცხყოფილ დავითს ხილი შინ არ წაუღია, კვლავ არყის სახდელთან მიიტანა.

—დავით ხილით სავსე ეს კასრი შვიდი-რვა დღის წინ მახსოვს, ვინც მოიტანა, მერე შენ ხო შინ წაიღე. ახლა ისევ აქ რატომ მოიტანე? დედაშენმა საჩუქარი ხომ არ დაგიწუნა?

—არა, პაჭო! თავს ცოტა ცუდათა ვგრძნობ, ექიმმა ადრე მითხრა, ვიტამინები გაკლია და ხილს მიექალეო.

—თუ ასეა, ჭამე ხილი, შენი წილი მწვადი და ღვინო მე და ჩარექას დაგვრჩება.

—პაჭო, მიირთვი! შენთვის პურმარილი ალალია, მაგრამ ჩარექას კი... ადექი ეხლა, ჩარექ, აიკარ გუდანაბადი და მოუსვი.

—დავით, ახლა გაჩერდი არ ამამღერო! შენი ტყუილები თავზე ნუ შემოგვაზვიე, დედაჩემი ავად არის და წამლების მოსატანად ვიყავიო. სადაც იყავი, ის არ მათქმევინო.

დავითმა ჩარექას სილა გაარტყა ყბაში და მიაძახა:

—თუ არჩილასთან ერთი სიტყვა მაინც, დაგცდენია მაგ თემაზე, იცოდე თავს წიწილასავით წაგაცლი.

—ტყუილად ირჯები დავით, მის ყურამდე თუ მივიდა, ის ვაჟკაცია და შენს არაკაცობას წაგაკლავს.

დავითმა ვეღარ მოითმინა და სილა მეორედ გაარტყა. ჩარექა თურმე ქართული ჭიდაობის მოხერხებული ილეთების მცოდნე ყოფილა. შებმის უმალვე დავითი კისრულზე წამოილო და ძირს დასცა. პაჭომ დავითის გულმოსაყვანად გემრიელად გადისარჩარა. გულმოსულმა დავითმა ვერ მოზომა, პაჭოც აიმხედრა და მერე ორივემ დავითი ბოძზე მიაკრეს და სახეზე ყურძნის მტევანი დააჭყლიტეს. კიდევ კარგი, დავითის ბედად, ზაფხულ-შემოდგომის თვეები არ იყო, თორემ თკიბილმოყვარული მწერების მოგერიებას ვერ შეძლებდა.

თუმცა თვალებწინ მოტრიალე ბურნაც საკმარისად ანერვიულებდა. პაჭომ და ჩარექამ, ორი სამწვადე ხორცი კიდევ გამოძებნეს. ერთი სიტყვით, პურ-მარილის მოყვარულებს მწვადისა და ყველის გარდა კარგი კახური ღვინით სავსე სამლიტრიანი დოქტორი მოედგათ და ტკბილად შეექცეოდნენ. ბოძზე მიკრული დავითი კი შებლშეკრული ძალლივით უღრენდათ.

—თოვი შემსენით, თორემ ორივეს ისე განანებთ, სამახსოვროდ დაგრჩით.

—არა, დავით, შენი მუქარის არ გვეშინა, შენს ძვლებზე დამპალი ხორცის შესხმა ღონე ხომ არ გვინა. თუ დაგვჯერდები, და შეგვპირდები, რომ ორივე ჩვეულებრივად გავაგრძელებთ მუშაობას, მაშინ შეგხსნით, არა და იქნები ასე დაბმული, სანამ არჩილი მოსკოვიდან არ ჩამოვა. შენ საიდუმლოებას თინათინთან გაგიხსნით და აგიყვანს მძევლად, მერე მეყოლე ვარდივით, ის ვაჟკაცი ბიჭია, ქალაქშია გაზრდილი, ხომ ატყობ, თბილისი ეპატარავება და მოსკოვში დაირება? იმპერიას რომ საზღვრები არ ქონდეს ჩაკეტილი, ტოკიოს და ნიუ-იორკს უკან მოიტოვებდა. და, თუ შენი ჯიუტობით ეს ასე წარიმართა, შებლში ტყვია არ აგცდება. არ გაპატიებს შენს სადისტურ საქციელს. რატომღაც შენს შებლზე ვკითხულობ, რომ მოკლე სიცოცხლისა ხარ, შე უბედურო!

ჩარექას მუქარამ, დავითი ჩააფიქრა და შეშინებულმა ისიც გაანდო, თინათინის დედამ ფეფენამ შეურაცყოფილი დავითი სახლიდან რომ კინწისკვრით გამოაგდო, თუმცა დავითი მის შემდეგაც თინათინთან ტკბილი ღამების გახსენებით შემდგომშიც ტკბებოდა. ახლა კი ჩარექას დამაჯერებელი ლაპარაკით შეშინებულს ის ტკბილი, მწარედ ეჩვენებოდა.

—ხო, კარგი, ჩარექ! თანახმა ვარ, ამიშვით.

—არა, დავით, გაგვიმარტე, რაზე ხარ თანახმა.

თანახმა ვარ იმაზე, როგორი მორიგებითაც მუშაობდით, პლავაც ასე გაგრძელდება.

—არა, ეგრე არა, დავით!

—მაშ, როგორ?

—როგორ და გეტყვი, გამოხდილი არყის ნახევარს სამაც გავიყოფთ.

—ხო, კარგი, ასე იყოს. —შეთანხმდნენ და გაუხსნეს დავითს ხელ-ფეხსი. ღლებმა სწრაფად გაირბინა, არჩილი მოსკოვიდან ჩამოვიდა, ჩამოიტანა ძვირფასული ნავაჭრი და ცოლ-შვილი შინ რომ არ დაუხვდა, ის ეჭვიანობა, რომელიც მოსკოვში წასვლის დროს მის გულს გაჰყვა, ახლა ცოტა გაუქარწყლდა.

ცოლ-შვილს მონატრებულმა არჩილამ ნავაჭრი შინ დატოვა და სიდედრთან და ცოლის ძმასთან, მხოლოდ საჩუქრებით წავიდა და მისვლისთანავე ცოლს მოუაღერსა. მოეფერა, მერე ბავშვები მოისიყვარულა. მოიკითხა სიდედრი, ცოლისძმა. რომ დარწმუნდა, ყველა კარგად იყო, მერე თქვა:

თინათინი გაშედარა. ჩემზე ხომ არ ინერვიულე, ჩემო ლამაზ?

არჩილისთვის პასუხი არ გაუცია თინათინს, მარტო გაუდიმა; ვისზე იდარდა, ეს მარტო თავად და ღმერთმა იცის. იმ სინაზით და იმ სითამამით ვერ შეხვდა არჩილს, როგორც ადრე, სანამ შეტოპავდა იმ გამოუსწორებელ შეცდომაში. თუმცა არჩილს შეუმჩნეველი არ დარჩენია. ის უფრო უპეტ განასხვავებს თავისი ცოლის მისდამი ადრინდელ და ახლანდელ შეხვედრის სიყვარულს და სიხარულს.

იმ საღამოს არჩილს სიდედრმა კარგი ვახშამი მოუმზადა, შესანიშნავი სუფრა გაუწყო. სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, თითქმის სუყველას ერთიმეორეს მიმართ უკმაყოფილების გრძნობა აწუხებდათ, მაგრამ თითოროლა ჭიქა ღვინო რომ გადაპრეს, მერე ერთიმეორეს ლაპარაკს აღარ აცდიდნენ, სუფრას არჩილის ცოლისძმა გაუძღვა. ის დალოცვილი ისეთი ტებილი ენით ხატავდა... უფლის სადღეგრძელოს ისე დამაჯერებლად, რომ გრძნობა დაგეუფლებოდა, თითქოს უფალი სუფრასთან მჯდარიყოს. თინათინმა მშობლის მეთვალყურეობით აღიდგინა, თავისი ტრდიციული ფერი და ხორცი. დავითისგან ისე იყო მოთელილი, ალბათ არჩილის ჩამოსვლამდე დავითთან კიდევ რამოდენიმე დღე რომ დასცლოდა, მერე ერთ ყურში რომ ჩაგეხდათ, მეორე ყურში შემავალ დღის სინათლეს დაინახავდით. ფეფენას თავისი

თვალით არ უნახავს დავითი და თინათინი ერთად მწოლისა, მაგრამ დედას არ გამოპარვია თინათინის მოთელილობა, სახი გამომეტყველება, შეადარა სიფაქიზეს ადრინდელს. დაუინების იმიტომ უუბნებოდა, ჩადენილი გაქვს მამაძალლობაო. თინათინმა რამდენიმე ჭიქა ღვინო რომ დალია, მხოლდ არჩილას მაშინ მოსდო კისერზე ხელი და მიიზიდა საკოცნელად, მოსაფერებლად, ერთი სიტყვით ადრეული დალატით გაფრთხობილი ანგელოზები პურმარილით შემოიკრიბეს და ცოლ-ქმარმა ჩვეული, სიმღერები წამოიწყეს. იმ ღამეს იმ სახლში სიყვარულმა გაიმარჯვა.

არყისმხდელები კვლავ პურ-მარილს მოსხდომიან და როცა რომ ჩარექა ღვინომ ააჭიკჭიკა, მერე შეეკითხა დავითს.

— თინათინს დედა რომ მოუკიდა, მე ვიცი, რომ შენ მაშინ თინათინთან იყავი. ლოგინში მწოლიარეებს ხომ არ მოგატანათ?

— არა, ჩარექ, საწოლში არ ვიწექით. მაგიდის ირგვლივ ვისხედით.

— მომისმინე დავით, აქ ჩვენ სამის მეტი არავინ არის, მე და პაჭომ კარგად ვიცით, რომ არჩილი მეზობელ სოფელში გასვენებაში რომ წავიდა, იმ ღამეს შინ არ მოსულა. შენ თინათინთან გაატარე მთელი ღამე. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას არჩილას არ ვეტყვით, დედამისმა თუ ერთად გნახათ, ჩვენთან დამალვას აზრი არ აქვს.

— ხო გითხარ, ჩარექ, მაგიდას ვუსხედით-მეთქი.

— მაშ დედამისმა ჩხუბი რად აგიტეხა, კინწისკვრით რატომ გამოგაგდო? იქ საჩხუბის მიზეზი რა ნახა, მაგიდაზე სასმელი ხომ არ გედგათ?

— კი, კონიაკი გვედგა.

— ჭიქაში დასხმული იყო?

— ხო, ჩარექ რა გინდა შენ?

— მინდა არჩილი რომ ჩამოვა, შენ ახვიდე, პირველმა უთხრა. თინათინის დედამ, ფეფუნამ, რა ფორმაშიც გნახათ. სანამ ფეფუნა თავის სიძეს მოუყვება, შენ დაასწრო და ბოდიში მოუხადო. აი ეს გიხსნის შენ ყველაფრისაგან.

— ბოდიში არა! სხვა რაღა უნდა?

— იცოდე თუ გაიგო, არ გაპატიებს.



—თქვენ თუ არ ეტყვით დედა შვილს არ გაყიდის როგორ გაიგებს?

—მე გაგაფრთხილე, დავით, და შენი თქმით რომ ვიმსჯელოთ, ჩალით ყოფილა ქვეყანა დახურული.

—ჩარექ, რას მაშინებ? ჩალით არის ქვეყანა დახურული, მაშ რა არის? მაშინ ბიჭები უცოლოდ დაბერებულან რომ ქალი არ უნახავთ.

—შენ არ გაგიგია, ქალაქში ქმარ-შვილის პატრონ ქალს ქმარი სამსახურში რომ გაუსტუმრებია, ქალი სახლიდან გასული შინ მეორე დილით ტაქსით მივიდა. ქმარი დაგვიანებულ ცოლს ჩვეულებრივ შეხვდა. გადაკოცნა და ჩაჯდა იმავე ტაქსში ქმარი, რომლითაც ცოლი შინ მივდა. ცოლს გადასძახა ბავშვებს ყურადღება მიაქციე, სამსახურში მივდივარო. სამსახურში მიმავალმა მძღოლს გამოჰკითხა ეს ქალი ჩემი ცოლია და მაინტერესებს, ტაქსში სად, რა ადგილზე ჩასვით. მძღოლმაც უთხრა ის ადგილი. მეტი არაფერი. სალამოს, სამსახურიდან რომ დაბრუნდა, ცოლს შეეკითხა: სად იყავი წუხელ შინ რომ არ მოხვედიო?

—მაპატიე ფირუზ დედაჩემთან ვიყავი და რომ შემაგვიანდა იქ დავრჩიო.

აკრიფა ტელეფონზე ნომერი და სიდედრს დაურეკა, ცოლი ფულისთვის. რომ გამოვაგზავნე ვალის ასაღებად, რატომ არ გამოატანეო? იმანაც უპასუხა, არა შვილო, ნატა თვალით არ მინახია, ფული გამზადებული მაქვს, მოდი და წაიღეო. ცოლი დედას ტელეფონზე დააპირისპირა, მაგრამ ცოლს არაფერი გამოუვიდა, ჩაიჭრა, ტყუილმა თავი იჩინა. ნატა დედაშენი ავჭალაში ცხოვრობს და ტაქსის მძღოლმა კი შეწენე მითხრა ორთაჭალის ციხესთან ჩამიჯდაო. ამაზე რას მეტყვი? პასუხი რომ ვერ გასცა, ამის შემდეგ გაატიტვლა ცოლი და სხვადასხვა ფერებით შეალამაზა, და შუალამისას დედას შვილი გაკრასკული სახლში გაუგზავნა. დედამ შვილი ვერ იცნო და შეშინებულს გული გაუსკდა.

—ხომ არ გინდა, რომ არჩილამ შენც ასე გაგიკეთოს?

—ჩარექ, ძალიან შემაჩვიე პირი და არ ვიცი, როგორ მოვშველდებით.

დავით ნუ ნერვიულობ, მე მგონი არჩილი მოგვარიგებს.

—ოხ, შენი!... —დავითმა მოუქნია სილა, მაგრამ პაჭოლის მოსაწრო შუაში ჩადგომა და ჩარექას მოსახვედრი პაჭოლის მოხვდა. გამწარებულ პაჭოლის დავითისთვის რა უნდა ექნა? პაჭოლი მტკიცნეულზე ხელი მიიღარა და უთხრა.

—გიუი ხომ არა ხარ დავით, ჩარექას ახლა უნდა ეფერო, თორემ მაგის წუნქლიანი ენის ამბავი ხომ იცი? რაც სიმართლეა იმას, ორ იმდენს ტყუილს დაუმატებს და ისე მიაგორებს არჩილასთან და ისიც ყოფას გიტირებს.

მშობლიური კერიდან დაბრუნებული თინათინი ქმარ-შვილით თავის ეზოს ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, მარიამი გამოეგება.

—რამდენი ხანია, თინათინ, ალარ მინახიხარ, შვილო, როგორა ხარ?

—შენ რომ გაგიხარდება, ბებია, ისე ვარ. —თქვა თინათინმა და ჩაიხითხითა.

—უი შენს გაცინებას ვენაცვალე, შვილო, შენისთანა რძალი რომ მყავდეს რაღა მოქლავდა ბედნიერმოხუცებულს.

—ნუ გეშინია, ბებია, დააქორწილე დავითი და გეყოლება. მიუგო არჩილამ.

—ეჱ შვილო, ჩემს ბიჭს არ აქვს თინათინისნაირი გოვოს არჩევის შეო.

— მაშ რა გინდა ბებია? არჩილის შერჩეული, რომ იყოს?

— არჩილის შერჩეული გოგო მომეწონება მეც და ჩემ ბიჭსაც.

—არჩილ, დავითს გაურიგე ვინმე კარგი გოგო.

—რას მეუბნები, თინათინ, ისეთი გულუბრყვილო ხარ, რომ ვერ მიხვდი?

—მაგას შენ უნდიხარ სარძლოდ. —არჩილამ ჩუმად ცოლს გადაულაპარაკა. გახარებულმა თინათინმა სიცილით ჯერ არჩილას მიაპყრო თვალები, მერე არყის სახდელისკენ გაიხედა და თქვა:

—ჩემო არჩილ, დავითი რომ დასწრებოდა ამ ლაპარაქს, ალბათ შენა და ბებიას მე და დავითის მაჭანქლად დაგასახელებდა. თუმცა დავითი მე რას მიკადრებს, ორი შვილის დედას?. იმას ქალიშვილი უნდა.

ამ საუბრის დროს მარია ცუდად გახდა. ძირს დავარდა სწრაფად წამოაყენეს. არჩილამ მეზობლების დახმარებით მარიამი შინ შეიყვანა და საწოლზე მოათავსა. დავითს დედის მარიას მწუხარება აცნობეს. არჩილამ ექიმი მოუყვანა, მანამდე თინათინი პატრონობდა. ექიმმა გასინჯა, წამლები გამოუწერა, არჩილამ გაღმა-გამოღმა სოფლის აფთიაქებში წამლები უშოვა და მოუტანა. ექიმმა ორნაირი ნემსი გამოუწერა, რომელიც პაციენტს ყოველ ორ საათში ერთი უნდა მიეღო. პირველი — ორი ნემსი თავად ექიმმა გაუკეთა და წავიდა. მან უთხრა, რომ შემდეგი ნემსის გაკეთებამდე აქ ვერ დავრჩებიო. სოფელში სხვა ვერავინ ნახეს ნემსის გამკეთებელი. საღამოს ოთხი საათის შემდეგ თინათინს შინ მიაკითხეს. ექიმის შემდეგ თინათინმა გაუკეთა ვერ პირველი ნემსი, მერე — მეორე. პირველიდან ნახევარი საათის შემდეგ და მერე შინ წავიდნენ არჩილი და თინათინი ბავშვებითურთ. ვახშმით თინათინმა პირველ რიგში ბავშვები დაანაყრა, ხელპირი დაბანა და დააძინა ვერ ერთი, მერე მეორე. ამის შემდეგ თავად მიირთვეს ვახშმი და დაწვენენ, მოეფერნენ ერთიმეორეს, ბაგე ბაგეს მიაწებეს, უნდა ითქვას, რომ სიყვარულს დიდი დრო მოანდომეს და ამის შემდეგ თავი მშვიდ ძილს მისცეს. მარიას ნემსის გაკეთების დრო რომ მოუწია, დავითმა ვიღაც ზემოუბნელი ქალი გაგზავნა თინათინის დასაძახებლად.

—მართალია, გვიან დაიძინეს, მაგრამ თინათინი ორ დაძახებაზე გამოეგება.

—თინათინ, გენაცვალე, ნინო ვარ, მარიამის გულისთვის მოვედი ნემსის გაკეთების დრო აქვს, შვილო, და გთხოვ წამობრძანდე მეც ვერა ვარ კარგად, მაგრამ დავითმა მთხოვა. მწოლიარე ავდექი და შენთან მოვედი. დედაშვილურად გთხოვ, მადლი ჰქენი და მარიამს ნემსი გაუკეთე.

—არა ბებია, მე არ შემიძლია. არ ვიცი ნემსის გაკეთება.

— ცოდოა, შვილო, მადლი გაიღე, ღმერთი დაგიფასებს.

—ბებია, ვერ წამოვალ ამ შუაღამისას. ქმარშვილი მყავს, მე ხომ მარტო არა ვარ.

—ღმერთმა გაგიმრავლოს შვილო, მე ვთხოვ, რომ გამოგიშვას.

—ძინავს ბებია, ხომ ვერ გავაღვიძებ? ღმერთო ჩემო, კარგი უკავშირი რა ქალს გადავეყარე. —თინათინი ამ სიტყვებით შევიდა ოთახში, ამ ხმაურზე არჩილას გაეღვიძა.

—რა არის თინათინი, რაზე წერვიულობ?

—ჩემთვის უცნობი მოხუცებული ქალი მთხოვს წამოდი ნემსი გაუკეთეო და მე არ მივყვები.

—თუ ქალია მოსული წადი თინათინ. მაგრნი თუ ვერ დაინახავენ სიკეთეს ღმერთის გულისათვის მაინც უნდა წახვიდე.

—არა ვერ წავალ, არ შემიძლია ნემსის გაკეთება.

—მაშინ ხელი არ უნდა მოგეჭიდა, თუ წუხელ გაუკეთე, ახლა თავს რით იმართლებ?

თინათინ, წამოდი! მე გამოგყვები. უთხრა არჩილამ. კვლავ გაისძა ნინოს ძახილი, გავიდა არჩილი და ნინო დაამშვიდა.

—ხო ბებია, თინათინი წამოვა, წამოვა.

—ღმერთმა გაგახაროს, შეილო! მე ნინო ვარ.

—ხო, მესმის შენი ბებია. გაემზადა არჩილი, მაგრამ თინათინი არ მიჰყვება, არ შემიძლიაო.

—თინათინ იმ ქალს რამე, რომ დაემართოს, ყველაფერი ჩვენ დაგვბრალდება. მერე ხალხის წინაშე თავი რით ვიმართლოთ?

—ეგნი ადამიანურ თვისებებს მოკლებულნი არიან.

— ჩემო თინათინ, მთავარია ჩვენ ვიყოთ ღმერთთან მართლები.

წავიდნენ და, რომ შევიდნენ ავადმყოფის ოთახში, უსუფთაობა სუფევდა, როგორც საწოლში, ისე — ოთახში. ავადმყოფი იწვა გაუნძრევლად. ენა ჩავარდნილი ჰქონდა, ხანდისხან თვალებს თუ გაახელდა. თინათინმა სასწრაფოდ გამოუცვალა ზეწარი და ნემსი გაუკეთა. მერე იატაკიც გამოასუფთავა. ზაოდიდან წამოსული დავითიც ამ დროს შევიდა, როცა რომ თინათინი სველი ტილოთი იატაკს წმენდდა. თინათინმა გამონაცვალი ზეწარი წყლიან ტაშტში არჩილს ჩააგდებინა, მერე, მეორე ნემსიც გაუკეთა და წამოსვლისას არჩილამ დავითი შეახურა.



— შე დალოცვილო, თავის სიცოცხლეში ერთხელ გასჭირდითია, ავად და განა დედაშენს შენთვის იმდენი ამაგი არ გაუწევია, რომ თავზე წესიერი მკურნალობის ჩამტარებელი ექიმი ან ექთანი დაგეყენებინა?, ან მომვლელი ავადმყოფს არ უნდა?

—გუშინ შენ აქ არ იყავი, დედაჩემი ცუდათ რომ შეიქმნა? ექიმი შენ არ მოუყვანე? მერე ნემსის გასაკეთებლად ექთანისათვის მეც ვიარე და მეზობელმა ანამაც, მაგრამ ვერავინ ვერ ვნახეთ.

—კარგი. ნემსის გამკეთებელი ვერ ნახე? მაგრამ მომვლელი ხომ უნდა? ნათესავი მაინც არავინ გყავთ, რომ ის დაადგეს თავზე?

—რა ვქნა, ვის ვთხოვო, ვინც გვყავს, ყველას თავისი თავი გასჭირვებია.

შენ ხომ არ ვინდა, რომ დედაშენს უყურადღებოთ ამოსძრეს სული?

—რატომ? თინათინი ნემსებს ხომ უკეთებს.

—ნემსებს თინათინი კი უკეთებს იმას თავისი ოჯახი აქვს, ბავშვები უპატრონოდ გვყავს მიტოვებული, ვინმემ, რომ შეაშინოს, ვინ მიეხმარებათ?

—არა უშავს, შვილო! რის მეზობლები ხართ, თუ გაჭირვების დროს არ დაეხმარებათ?

არ გასჭრა არჩილის ლაპარაკმა და ცოლ-ქმარი უქმაყოფილობი დაბრუნდნენ. იანვრის შაბათ დილით რვა საათისათვის ნემსის გასაკეთებლად ნინომ კვლავ დაუძახა. შეახსენა. ასე გაგრძელდა შემდეგშიც, რადგან ნემსის გაკეთება თავიდან ვერ მოიხსნეს. შეეგუა არჩილი და განსაზღვრულ საათებში თინათინს მარტოდ გაუშვებდა ხოლმე. მოხდა კიდეც ის, რაც უნდა მომხდარიყო. დრომ თინათინის და დავითის საბედნიეროდ იმუშავა, საკითხავია ამას თუ ბედნიერება ჰქვა. ნემსის გაკეთების შემდეგ დავითი თინათინს გაიყვანდა თავის ოთახში, მოისიყვარულებდნენ ერთმანეთს, რა თქმა უნდა, შიშის ქვეშ, მაგრამ მაინც ახერხებდნენ. მერე და მერე გათამამდნენ. თითქმის შიშის გრძნობა დაკარგეს. თინათინი იმდენად გათამამდა, რომ დამით ოთხ საათზე ნემსის გაკეთების შემდეგ შინ აღარ ბრუნდებოდა. დამე იქ გაათენა. დაეჭვებულმა არჩილამ შეამოწმა კიდეც, დამე შვიდ საათზე



შევიდა ავადმყოფის სანახავად, იმ დროს, როცა დავით შემოტკიცა მას გადასახლებული პეტრი ბედნიერი წუთები და დავითი ჟევე ზაოდზე იყო, თინათინმა კი ავადმყოფს ზეწარი გამოუცვალა, გაასუფთავა ავადმყოფი და იატაკს წმენდდა. ამ გარემოებამ ცოტა დაამშვიდა, თუ არა სახლიდან იმ ეჭვით წავიდა, რომ ორთავ სიყვარულს ზედ წაასწრებდა და ორივეს დააკლავდა. ეჭვმა, რომ არ გაუმართლა, მერე უფრო გული დაიმშვიდა და გულში თავისთვის თქვა: ამას ჩემი ცოლი არ ჩაიდენსო, მაგრამ მაინც უსაყვედურა.

—აქ რაღას აკეთებ? ნემსი, რომ გაუკეთე, შინ ვეღარ დაბრუნდი?

—აი შეხედე, ნემსის შემდეგ თეთრეული მეორედ გამოვუცვალე?

—მიატოვე და წამოდი.

—ახლა რვა საათზე ნემსი ხომ უნდა გავუკეთო, მეორე ნემსი ცხრისნახევარზე.

—რომელი საათია?

—რვის ათი წუთია!

—კარგი. ახლა მე წავალ ბავშვებთან და ნემსებს რომ მოითავებ, წამოდი.

—შინ წამოვალ ჩემო არჩილ, მაშ სხვაგან სად წავალ? ჭიშკარში შესული არჩილი კიბესთან არ იყო მისული, რომ დავითმა შემოალო ეზოს კარები.

—დავით, სად იყავი?

—არჩილ, არ გძინავს. მე ზაოდზე წყალი შემიწყდა და ზევიდან ეხლა გადმოვუგდე.

—არა, არ მძინავს. იქ შენთან ვიყავ. მგონი, ეგ ნემსები ავადმყოფს არ შველის და სხვა რაღაც უნდა მოვუხერხოთ.

—მეტი რა მოვუხერხო, არჩილ? მაგისი განძრევა არ შეიძლება როგორ წავიყვანო საავადმყოფოში.

—ხო, მართალი ხარ, დავით.

—ალბათ თინათინი გაუკეთებდა ნემსებს. შენ შინ არ ყოფილხარ?

—არა ვყოფილვარ. ზაოდს ვერ დავანებე თავი.

—თინათინი ახლაც ავადმყოფთან არის, რვაზე უნდა გაუკეთოს ნემსი, მეორე — ცხრისნახევარზე.

—ოჰ, შენი დიდი მადლობელი ვარ, თინათინი თუ არა, ვინ მიაქცევდა ყურადღებას ავადმყოფ დედაქემს? თუ არ მოვკვდი, ვეცდები სიკეთე, სიკეთით გადაგიხადო, თუ არა და, ღმერთი დიდია.

—დავით, ზაოდს დედაშენს ნუ დაამადლებ, ხანდახან შეგიძლია ზაოდს უღალატო და დედას მიხედო. დედის ფასი არაფერია.

—მართალი ბრძანდებით, არჩილ, ძილინებისა! მე კი ახლა გადავალ, დედაქემს ვნახავ. არჩილამ დავითის ტყუილი და მართალი სულ დაიკერა. დარწმუნდა, რომ იგი არასოდეს უღალატებს და არჩილა შინ ამ იმედით წავიდა.

შინ მისულმა დავითმა თინათინთან კვლავ სიყვარულის რომანი გააბა.

—რა კარგი ხარ, ჩემო თინათინ, — მოავლო ბეჭებზე ხელი და, ვით მგელმა შესასანსლი ბატქანი, ისე მიიზიდა, თინათინიც მოზღვავებული ვნებებით პასუხობდა. ყველაფერი უამბეს ერთიმეორეს, თუ როგორ მისცა არჩილამ დავითის ბიძგი, თინათინმა თავისებური გაგებით უთხრა, რომ ვითომ თინათინის გულისათვის ცოტახანს მაინც არყის სახდელი ქვაბისთვის ეღალატნა. თინათინმა გაიხსენა მარიამის ნათქვამი დედაშენი სანამ ცუდათ შეიქმნებოდა მე შემომნატროდა, რა კარგი გოგო ხარო, ნეტა შენისთანა რძალი მომცაო. ჩემთან ერთად არჩილამ უთხრა: დააქორწინე დავითი და კარგი რძალი გეყოლებაო. დედაშენმა კი პირდაპირ უთხრა: ჩემს ბიჭს მაინცდამაინც შენი არჩეული გოგო უნდაო. თან მე შემომხედა და თავისი საყვარელი ლიმილით თვალი ჩამიკრახო და, აგერ, დღეს ბედნიერი აღდგომა გაგითენდა, არჩილს შინ ყინჩად ძინავს. დედაშენი ვერაფერს გაიგებს და შენ, როგორც გსურს, ისე ვეფეროთ ვესიყვარულოთ, ერთმანეთი გავაძედნიეროთ!

—მართალი ხარ თინათინ, შენზე ფიქრით ძილგატეხილს რამდენჯერ მინატრია: ნეტა ახლა თინათინი ჩამიკრალოგინში-შეთქი, თავით-ფეხებამდე სულ მის კოცნაში ვიქნებითქო. ვერ წარმოიდგენ, თინათინ, შენთან რა ბედნიერი ვარ! — შესძახა და თან ხელები ბეჭებზე მოავლო და მკერდზე მიზიდულს კოცნა დაუწყო.

—დედა ცუდად რომ არის, არ გეცოდება დავით?

—როგორ არ მეცოდება. აბა რას მეუბნები, თინათინ? მე სხვა გზა არა მაქვს, შენ უნდა მიაქციო ყურადღება.

—კი, დავით, შენ შემოგველოს ჩემი თავი! — თქვა და თავად თინათინი დაეწაფა ბაგეზე.

სხვა კაცი სხვის ცოლს ურთიერთობაში, ყოველთვის მაგარი ეჩვენაბა. საწყალ არჩილს კი ისე ტკბილად სძინავს, ამათი ცხადლივი სიყვარული იმას სიზმრადაც არ ეჩვენაბა. გახდა ცხრა, ათიც დაიწყო, თინათინი შინ მისული სახლს ალაგებდა, რომ გამოეღვიძა არჩილს. თინათინი თავისთან მიიხმო, საწოლზე ჩამომჯდარს ხელი წაავლო, უნდოდა საბნის ქვეშ ძალით შეეგორებინა, მაგრამ თინათინი ერთი ჯიგრიანად ბაგეზე დაეწება. მოუშალა, მოუფუტკნა ნერვები და მიაძხა: ახლა მაგის დრო არ არის, ბავშვები გაიღვიძებენ, კერძი უნდა მოვუმზადოო. რა ძნელია ქმარი რომ ცოლის სიყვარულს მონატრებულია და ცოლი კი სხვა კაცთან მოჭარბებული სიყვარულით ნერვებდამცხრალია.

—თინათინ, მოდი, ჩამიწექი ლოგინში!

—არა არ შემიძლია.

—რატომ არ შევიძლია?

—იმიტომ, რომ დღეა, სიყვარულისთვის კი დამე არის...

—დამე შენ იქ გაატარე. ჩემთან რატომ არ მოხვედი?

—შენ არ იცი წუხელ მარია კინამ მოგვიკვდა, ახლა საჩქაროდ სადილს გავაკეთებ და უნდა წავიდე, მივხედო, მეზობლებმა არ თქვან უპატრონოაო.

—თინათინი ბოლოს ისე გათავსედდა, თითქმის ქმარს აღარ ემორჩილებოდა, დავითი შინ თუ მიდიოდა, მხოლოდ თინათინისთვის სასიყვარულოდ. მაშინ ავადმყოფი ავიტყდებოდათ, თუ არა და ავადმყოფს თავით ეჯდა თინათინი. არჩილი კი ხან გასაყიდებს მიაკითხებდა მეზობელ სოფელში წალებულებს, ხან ვენახს ამუშავებდა. დავითი კი მის ცოლზე, რომ იტყვიან, ბაირამობდა. ერთ დღეს, როცა არჩილი ვენახში იყო, თინათინის დედა ბავშვებთან ჩამოვიდა შვილის და შვილიშვილების სანახავად. შინ მარტო ბავშვები დაუხვდნენ. ბავშვებს შეექითხა

—სად არის მამა ან დედა?

—აი იქ, იმ მეზობელთან, მარიამი ავად არის და დუღუაში ნემსებს უკეთებს.

—მამა სად არის?

—ვენახში.

—ბონდო, წადი დედას უთხარი, ბებია მოვიდა და გეძახისთქო.

თინათინი შეტყობინების უმალვე მოვიდა.

—რას უზიხარ იქ?

—დედა იმ ღამეს, შენგან რომ წამოვედით, აქ მეზობლის ქალს მარიამს ველაპარაკებოდით და უცებ წნევამ დაარტყა, შინ შევიყვანეთ, ენა ჩაუკარდა, ვეღარ ლაპარაკობს. ექიმმა ნემსები დაუნიშნა და ექთანი რომ ვერ იშოვეს, ნემსებს მე უკეთებ.

—შენ რა იცი ნემსებისა?

—ვისწავლე დედა, იცი რა კარგად ვაკეთებ?

—არა, შენ ავადმყოფის დარღი ისე არ გაწუხებს, როგორც ავხორციობა, უზნეობას მიეცი თავი.

—დედა, რატომ მეუბნები მაგას? მე ხომ ორი შვილის დედა ვარ, ქმარი დარწმუნებულია, რომ მე ცუდს არაფერს ჩავიდენ.

—სწორედ მაგაზეა საქმე, რომ ქმარი გენდობა და შენ არ ინდობ.

—დედა რას მელაპარაკები, მე ჩემი ქმარი ყველას მირჩევნია.

—გეტყობა როგორც გირჩევნია, რომ ბავშვებს თავი მიანებე და დაწანწალებ.

—დედა ყველასთან თუ არა, კარის მეზობელთან ხომ მაინც უნდა ვიყო კარგად. მითუმეტეს ახლა, გაჭირვებაში არიან.

—შე სულელო, შენს ქმართან უნდა იყო კარგად, ვისაც შენი სინდისი მიანდე და ქალიშვილობა ჩააბარე.

—დედა, კარგად ვარ ქმართან. გინდა ოჯახი ამიწეწო?

დავითმა იცოდა რომ არჩილი შინ არ იყო და ნემსის გაკეთებისთვის თინათინთან თამამად შეაღო კარები. დედამისი ფეფენა რომ წამოუხტა ხალხის მოურიდებლად კიბეზე კინწისკვრით გამოაძევა.

—შე დამპალო, წუნკლიანო, შენ ვინა გდიხარ, რომ  
სახლში დაუკითხავად შემოღიხარ? წადი, წაეთრიე! თქვენ  
ავადყოფს თქვენ თვითონ მოუარეთ, უყურე ამ  
გათავსედებულს. დედა ავად ჰყავს და სხვას დააკისრა მისი  
მოვლა-პატრიონბა. თქვენ ისე ვამოგდით, „ყვავს შვილი  
მოუკვდა და ბუს მიუგდო, იტირე შენ დიდი თვალები გაქვსო“. თურმე  
იმ დროს, როცა თინათინის დედა ფეფენა, მარიამს  
შვილს ულანძლავდა მარიამი იმ დროს სულს ებრძოდა. გარეთ  
ამბავი გამოიტანეს, რომ მარიამი გარდაიცვალაო.  
მიცვალებულის სანახავად მეზობლებმა მისამძიმრება დაიწყეს,  
მიუხედავად ამისა, ფეფენას გული არ მოუბრუნდა. სიძეს და  
ქალიშვილს უბრძანა ფეხი არ მიადგათო, ახლა ხო ვიცი  
თქვენი გულკეთილობისა ამბავი თავს უნდა გადაყვეთ და  
სჯობია ჩემთან წამოშვიდეთო.

—არა, დედა, ცოდოა იმ ქალმა რა დაგვიშავა?  
მეზობლებთან შევრცხვებით. იტყვიან შესაწირს თავი  
აარიდესო.

—ეგ სირცხვილად მიგაჩნია და ის სირცხვილი არ არის  
ღამე უცხო კაცთან მარტოდ, რომ ხარ?

—არა დედა, ის დღე და ღამე ზაოდზეა.

—ხო, აბა, შენნაირ გათქვირებულ გოგოსთვის წუთით  
ვეღარ მოიცალა.

—რა გინდა დედა ჩემგან?

—ის მინდა, შეილო, რომ თავი არ შეირცხვინო. თუ  
აქამდე არ შეგირცხვენია, როგორც შენ ამბობ. შენ იგივე  
სიცოცხლის შემქმნელი ხარ, როგორც ღვთისმშობელი, წმინდა  
მარია. ღმერთმა მოგვივლინა, ქალების სიმბოლოდ და ჩვენ  
მისი მიმბაძველები უნდა ვიყოთ, დავიცვათ მისი სიწმინდე,  
ჩვენი სულითა და ხორცით. თუ გინდა, რომ ღმერთი და  
ღვთისმშობელი ჩვენ მხარეზე იყოს, უნდა ეცადო, რომ შენი  
ვნებები მოთოკო, რომ იმ გარყვნილობის სკდინძურები თავი არ  
ჩაიგდო. ღმერთს უნდა უმადლოდე, რომ ბედი მოგცა შენი  
ქმრის სახით, გათხოვდი და ის ერთი უნდა იქმარო.

—რატომ არ უნდა გავთხოვილიყავ, დედა? მე რა,  
ულამაზო გოგო ვიყავ?

— მაგას არ გეუბნები, შვილო! კი გაქვს სილამაზურამი  
მიმზიდველი სიეშე და უნდა იცოდე, რომ შენი შშვენიერება  
ქმრის საკუთრებაა, შვილების სიამაყე, ყველა ნორმალურად  
მოაზროვნე ბავშვს უნდა თავისი დედა და მამა, სხვებზე  
უკეთესნი იყვნენ, როგორც ტანით, შეხედულებით, ისე გულით,  
სულით, შინაგანი თვისებებით. ღმერთს სული ჩაუდგავს.  
სიცოცხლე მოუცია და შენც შენი სიწმინდით ღმერთის  
კანონებს უნდა ჰასუხობდე. ცოცხალიც და მკვდარიც იმათ  
განეკუთვნები, თუ, რა თქმა უნდა, შენი ცუდი საქციელით,  
ეშმაკს ზურგზე არ შეისვამ. დედამიწას უხარია, მშვენებით  
სავსე უფლის ცოცხალი სანთელი, მის გულმკერდზე წმინდა  
სულით თუ დადიხარ. წინაპრების ხორცით, ძვლებით  
გაპოხიერებულ მიწაზე მოსული ის ღვთის მადლი, რომლითაც  
ჩვენ ვიკვებებით ყოველ მათგანში ეშმაკს, რაღაცა უმნიშვნელო  
წილი უდევს. აი, ის არის, რომ იტყვიან, ხუთმა ადამიანმა  
ვჭამეთ სოკო და მარტო მე მოვიწამლეო. ეშმაკმა თავისი  
მოწამლავი შხამი იმათში ღმერთის საუკეთესო  
პიროვნებისთვის გაიღო, მაგრამ ღმერთმა იმ კერძში შხამის  
მოსპობა ვერ შეძლო და შეახვედრა იმას, ვისაც ეშმაკი  
ზურგზე აზის. განა არ არიან შვილო, შენზე ბევრად უკეთესი,  
ლამაზი, ღვთის მოსავი ქალები, რომლებიც გაუთხოვრები  
რჩებიან და ნატრულობენ საკუთარ ქმარს, რომ შვილების  
დედა გახდნენ, მაგრამ ბედმა დაჩაგრა, არ არგუნა,  
სამაგიეროდ, ღმერთი უფლებას აძლევს, ასეთმა ქალმა თავისი  
ვნებების დასაქმაყოფილებლად შეარჩიოს თავისუფალ კაცთან  
თუ არა, გინდაც ცოლნაყოლთან მაინც იაროს, თუ რა თქმა  
უნდა, ქალის პირადი სურვილი იქნება. შეუძლია მასთან  
შვილიც იყოლიოს და არა ელისესავით ათასი წამოისვას.  
უეფენამ დაამთავრა საუბარი, და არჩილიც მოვიდა.

— არჩილ, ნეტა ადრე მოსულიყავი, დედაჩემმა ისეთი  
საყურადღებო ლექცია წამიკითხა, უფრო ფილოსოფიურს  
წააგავს.

— მთავარია, შენ თუ დაუკერე, თუ არა, ისე წაკითხვას  
რა მნიშვნელობა აქვს.

— დამიჯერე არჩილ ძალიან საინტერესო თემაზე  
წამიკითხა. თავისი ტკბილი ენით მომაჯადოვა.

—თინათინ, მე ვფიქრობ, დედაშენს კარგად ვერ იცნობდა უნდა გიკვირდეს მისი სათუთი ბაგიდან ამოვარდნილი ტკბილი სიტყვები. ქალბატონი ფეფენა დედაა თქვენი. უაღრესად ძლიერი, დადებითი, ღმერთთან შეუცდომელი პიროვნებაა, თუ კარგად მოუსმინე და შეითვისე მაშინ შენ შეცდომებს აღარ დაუშვებ და შენი წუმპეში ჩავარდნის აღარ შემეშინდება. ყოველ ასეთ სიყვარულს, თინათინ, მე და თქვენს შორის რომ იყო, ეს ჩვენს ცხოვრებაში დიდი მონაპოვარი იყო და დიდი გაფრთხილებაც უნდოდა.

—რა სთქვი არჩილ? იყო და აღარ არის.

—ვიმეორებ ყოველ შემთხვევაში ის აღარ არის, რაც იყო.

—რატომ მეუბნები, არჩილ, ასე?

—იმიტომ, რომ სადღაც გაბზარა ჩვენი სიყვარული.

ჩემს გულში არ გაბზარულა არჩილ და თქვენს გულში თუ არის გაბზარული, მაშინ შენს გულს დააბრალე. არაა დედა ხო ასეა?

—არა, შეილო მე აქამდე გული მომდიოდა ჩემს სიძეზე, ხან ჩემს გულში მითქვია ეს საცოდავი ბრიყვი ხომ არ არის მეთქი და აი ახლა დამარწმუნა თავის თავში რომ ჭკვიანია და არა ბრიყვი.

—რა დედა, ეჭვიანობა სიჭკვიანეა?

—სიჭკვიანეც არის, სიბრძნეც და ცოლის დიდი სიყვარულიც.

—რას ამბობ, დედა, ეჭვიანობა ხო სიგიურა, არანორმალურობა?

—გაგამწარა როდისმე ეჭვიანობის გამო?

—არა, არ გავუმწარებივარ. თუ გამამწარა ქმარს არც გავუჩერდები.

—გამოდის, რომ არჩილი სიყვარულს თრთხილად ეკიდება, შენ კი არა, ჩემო ქალბატონო.

—დედა!, შენ სულ ჩემი წინააღმდევი ხარ.

—მე სიმართლის მხარეზე ვარ, დამაჯერე! შენც სიმართლეში და მე შენს მხარაზე ვიქნები.

—მართალი ბრძანებაა ჩემო სიდედრო.



— ხო მოვრჩეთ ამ საუბარს, სიძე ბატონი თინათიშვილი ბავშვებით ჩემთან წავიყვან. შენ იმ ქალის დასაფლავებაზე იზრუნე, მხოლოდ გაფრთხილდი ბევრი არაფერი დაახარჯო, დედა იმ წუნქლიანისაა და იმან იტიროს და მოიკლას თავი. საღამოს დაკეტე სახლის კარები და ჩარექაა თუ ხელადა იმას უთხარი თუ რამე დაიკარგა თქვენს იქით გზა არა მაქვსთქო და ამოდი ჩვენთან, სუფრას გაგიშლით, პური ერთად უნდა ვჭამოთ.

— დედა სირცხვილია, მეზობლები იტყვიან მიხმარებას გაერიდაო.

— შენ გაჩერდი, გაემზადე უნდა წაგიყვანო, მე მეზობლებს სულაც არ ვეკითხები. ნოე, არჩილის ცოლის ძმაა, წყნარი, ჭკვიანი, საზრიანი ბიჭია, შრომის მოყვარე, ხელ-ფეხიდან ცეცხლი გასდის, ან რატომ უნდა ყოფილიყო ასეთი დედის შვილი ზარმაცი, გაიძვერა, ფლიდი, შურიანი, წამხედვარე კი, უნდა იყოს ის თუ ცხოვრობს, მე რატომ არ უნდა ვცხოვრობდე ზოგიერთებზე უკეთესადო და ცხოვრობდა კიდეც, ერთი სიტყვით ოცი წლის ბიჭს საცოლე რქა ჰქონდა და იმ საღამოს პურმარილზე ითათბირეს და ერთხმად გადაწყვიტეს შემოღვომისთვის მისი დაქორწინება.

— ნოე შეყვარებული ხომ არ გყავს?

— არა, თინათინ დღემდე არ მყოლია, არც მომიწადინებია, იმიტომ, რომ ვიცოდი დედაჩემი მოყვანის უფლებას არ მომცემდა და გულს ტყუილად დაღს ხომ არ დავასვამდი. ერთი სიტყვით იმ დღის საღამო ტკბილ პურმარილზე სიცილ-სიძლერით გაატარეს. შეიძლება იქ ყოფნა ერთ-ერთს არ სურდა და თავისი სახლი ყველაფერს ერჩია, მაგრამ რას იზამდა, თავისი თავი თავად არ ეყუდნოდა. ასე იყო თუ ისე, დღეებმა სწრაფად გაირბინა და მარიამს მიუჩინეს სამუდამო ადგილსამყოფელი, არჩილამ მოიარა ის სოფლები, სადაც გასაყიდი საქონელი ჰქონდა ჩატანილი, შეაგროვა საკმარისი ფული და ცოლს უთხრა:

— ძველით ახალი წელი მოდის, ამ ბავშვებს წავიყვან თბილისმი ჩემს დასთან, ზოოპარქს დავათვალიერებინებ, ცირკში წავიყვან და იქნებ გასაყიდად ბავშვის ტანსაცმლებიც ვიშოვო.

—ხო, კარგი იქნება, — დაუმოწმა თინათინმა.

თინათინმა ბავშვები აბანავა იმ საღამოს და მეორე დღეს დიღით არჩილამ ბავშვები ავტობუსით თბილისში წაიყვანა. თინათინი გარეთ სახლიდან ეზოში ჩამოსასვლელ კიბეს ასუფთავებდა და თვალი ეჭირა, როგორმე დავითი დაენახა, რომ ეხარებინა საქმე საჩვენოდ არისო. დავითმა მართლაც თავი იჩინა და აღადგინეს დროებით მიტოვებული სიყვარულის რომანი, ახლა იმათ განკარგულებაში ორი კაზინოა, ერთი, სადაც პირველი ნათლობა მიღეს, მეორე, დავითის სახლი, სადაც მეორედ გაინათლნენ, არჩევანზე აქვთ საქმე, თუმცა დიღხანს არ უფიქრიათ. სწრაფად მოიფიქრეს და დაადგინეს, დღისით პირველ კაზინოს კედლები გაემხიარულებინათ, დამე კი მეორესი. ორივე კაზინოს მაგიდები გაწყობილი აქვთ. სუფრას ამშვენებს ძვირფასი ქონიაკები, ხილი, ტკბილული, შემწვარ-მოხარშელი დედლები ერთი სიტყვით, დროს გასატარებლად ყველაფერი აქვთ, ახლა მეორე კაზინოში წვანან და კლასიკური მოჭიდავებივით ერთი-მეორეზე არიან გადახლართულები.

—ხო გიყვარვარ დავით?

—რას ამბობ, თინათინ, შენთვის ვგიუდები.

—უი შე წუწკო, შენა, შურის თვალით რომ მიცქერდი, განა ვერ გამჩნევდი?

—მერე შენ მაშინ რას ფიქრობდი?

—შენთან ყოფნა მეც მინდოდა, მაგრამ არჩილის შიშით ვნების ნერვებს ძლივს ვიკავებდი.

—ახლა აღარ გეშინია ქმრისა?

—მეშინია, როგორ არ მეშინია.

—შენ ჩემთან ნურაფრის გეშინია, ჩვენი ხელის შემშლელი ვინმე რომ მოვიდეს, იმას ისე გავკოჭავ იქნება მეხვეწებოდეს მე გამიშვით და თქვენ თავში ქვა გიხლიათ, რაც გინდათ ქენითო.

—შენ ასე იოლი ნუ გვინია მისი გაკოჭვა, მართალია, შენ დათვივით ხარ, ის კი მაღალია, მოხდენილი ტანის, ძვალმსხვილი, დაძარღვული ჯანღონით სავსე, სპორტულად ელასტიური პიროვნებაა.

—თინათინ მაშინებ მისით?

—როგორ ფიქრობ, ჩემი ძალა მასზე ნაკლებია? თინათინმა სირცეზილის გრძნობით გაიღიმა და თქვენი ჩემნაირ ლამაზ. უსუსურ ქალთან ორივე ძლიერები ხართ.

—არა, გამოტყდი, მის ძალას რანაირად აფასებ, მკლავჭიდში ხომ არ გაუწვევისარ?

თინათინმა დავითისაგან ეს დაცინვა ვეღარ აიტანა და დასამცირებელი სიცილით მიაძახა

—შენ ხომ არ დაგვცინი?

—არა თინათინ რათ მიბრაზდები? საუბარმა მოიტანა და მეც შეგეკითხე, რომლისგან უფრო მეტ სიძლიერეს გრძნობ ჩემგან თუ არჩილასგან?

თინათინმა ირონიულად შეხედა და პაუზის შემდეგ უპასუხა

—დავით, შენგან უფრო მეტ სიძლიერეს ვგრძნობ, „გაგიხარდა“?

—არა, რა უნდა გამხარებოდა? მე ხომ ვგრძნობ ჩემს სიძლიერესა! — ცოტა წაიტრაბახა და მერე დააყოლა: — ჩემსა და არჩილას ძალებს ერთიმეორეს როგორ უთავსებ?

—ძალიან კარგად.

—გეხვეწები დამაჯერებლად მითხარი, თინათინ.

—დავით, მეტი რა გინდა? მე გასაგებად გითხარი, შენიდან უფრო მეტ ძალას ვგრძნობ, ვიდრე არჩილადან.

—ხო და ამას გეკითხები.

თინათინმა კვლავ წყენით შეხედა.

—გინდა რომ გითხრა?

—დიახ მითხარი.

—გეტყვი და არ გეწყინოს. არჩილა და მე როგორც წუთისოფელში ღმერთის მიერ კანონიერ ცოლქმარს შეშვენის ისე ვიქცევით, არჩილი გრძნობს, რომ ცოლი ვარ, შვილების დედა, სიყვარულის ურთიერთობის დროს ფაქიზად მეპყრობა. შენ კი როგორც კახპა ქალს, მთელი სიძლიერით, მტერივით მექცევი. შენ ჩემი თხოვნა არ გესმის. მე მგონია, ადამიანად არ მთვლი.

ასეა თინათინ წუთისოფელში, სიყვარული ჟინია. სიყვარულით გამოწვეული პატარა ტკივილი, რაც ურთიერთობის დროს ხდება, იქ დიდი სიამოვნებაც არის.

ახლად შეუდღებულებზე რათ იტყვიან ხოლმე, თაფლობის  
თვე აქვთ? იმიტომ, რომ ქალიშვილი და ვაჟი პირველზე  
ერთმანეთს რომ ხვდებიან, იქ ტკივილიც დიდია, მაგრამ  
სიამოვნება იმ ტკივილს ბევრად აღემატება. ასე რომ, თინათინ,  
მე ვაჟიშვილი გამაფუჭე, ხუთ წელიწადს სხვის ნახედნმა  
ქალმა. ეს სამართალდამცავმა ორგანოებმა რომ გაიგონ,  
პასუხს გაეცებინებენ. ჩემი გაუპატიურებისათვის, შენს ქმარს კი  
შენს მიმართ უყურადღებობაში დაადანაშაულებენ, ასე  
მიტოვებული შენს ნებაზე, რომ დადიხარ, ხვალ შეიძლება  
სხვა გააუპატიურო. — დაამთავრა დავითმა საუბარი და  
თინათინმა ცრემლები გადმოყარა. თინათინი მიხვდა, რომ  
არჩილამ თუ ამ გარეუნილობის დროს მოუსწროთ, შეიძლება  
ორივე ერთმანეთზე დააკლას. დავითი თინათინის ცოლად  
წამყვანი არ არის, თუმცა ახლა ატირებულ თინათინთან  
დავითი მივიდა, მოეფერა, გაგეხუმრე, ჩემი საყვარელო, რა  
გული ამოგივდა, ჩემი სახლის ბედნიერების დრო რომ  
მოვიდა, ეხლა მებუტები? ერთი აკოცა და თინათინს შეეკითხა:  
— რას დაღვე და რას მიირთმევ, საყვარელო, მაგიდა, რომ  
გაწყობილი დაგახვედრო, მითხარი წინასწარ, რა გესიამოვნება,  
ვიცოდე?

— შენი არაფერი არ მინდა! — თინათინმა ხელის კვრით  
მიაძახა, — დამანებე თავი.

— კარგი, თინათინ, ნუ მებუტები. კვლავ კოცნით  
ამოუშრო თვალებიდან ცრემლები იცოდე მე მივდივარ და  
ერთი საათის შემდეგ ჩემი სახლის კედლებს გავაბუდნიერებთ.

— მე იქ ვეცდები, სიურპრიზი დაგახვედრო.

— ჩარექასა და პაჭოს დარჩათ ზაოდის ტახტი და  
მოედანი, რასაც გამოხდიან იმწუთშივე ასაღებენ. ფული აქვთ,  
საჭმელ-სასმელი აქვთ. სხვის ბოსტანში შეჭრილი დავითი  
ფეხებზეც არ ჰქიდიათ, იმ წანახედ, რასაც დავითი  
იმსახურებს, არჩილი სიკვდილით აზღვევინებს. შეიძლება  
მსუბუქ სასჯელს დასჯერდეს. დედამიწა კი მზის ირგვლივ  
ბრუნავს, ეს დიდიხანია დამტკიცებულია, წუთისოფელი რომ  
ზოგს აცილებს და ზოგს შეხვედრებს უწყობს, არც ეს არის  
ახალი, მხოლოდ ის არის ახალი, ვიღაცვილაცები, რომ  
არაკანონიერი სიყვარულით ტკბებიან, კაცურ-კაცს, რომ

ხალხის თვალში ეს უმსგავსოები არაკაცს ამსგავსებენ. რომ წუთისოფელი ხელს უწყობს და დროც ჯერჯერობით მაგათვის მუშაობს. სოფლის გიურ ქაჩალა ამბობს, უბედურება ის არის, რომ ზარ-ზეიმით შეწყვილებულებს სიყვარულს ეძახიან და ნაქურდალსაც. შეხვდებიან, ერთი ეტყვის მიყვარხარ, მეორეც პასუხობს: მეც მიყვარხარ. ერთიმეორის პასუხს თითქმის არ უცდიან. შემოაჭდობენ კისერზე ხელს, ბაგეს ბაგეზე მიაწებებენ და გადაგორდებიან. ჩემი აზრით, ასეთი რამე ქართულ ზნეჩვეულებას ეწინააღმდეგება. სოფელში გზისპირად ერთერთი სახლის კედელთან მიმდებარე სკამზე ვისხდით, იქ გზას ორივე მხარეზე რუ ჩამოუდიოდა, შიგ იხვები საჭმელს ეძებდნენ, სხვა გუნდს ჩამორჩენილი დედალი იხვი ამ გუნდის მახლობლად მამალმა იხვმა რომ დაინახა, გამოეკიდა მისი დაპეპლა მოინდომა, ამ დედალმა, რომ ატეხა ჭყიყილი და გაიქცა გაფრინდა, გუნდისაკენ, არ მოეშვა ეს მამალი, სანამ იმ გუნდის მამალ იხვმა არ გამოაძევა. ასეა ფრინველებში, საქონელში. ისინი იცავენ ბუნებრივ კანონებს. გამოდის, რომ ამ კანონიერებას მარტო ადამიანები არღვევენ, ყოველ შემთხვევაში დედაშვილობა ხომ უნდა იცოდნენ. პირველყოფილი ადამიანები თანდათანობით გაკულტურდნენ, განვითარდნენ, თანდათანობით ტანსაცმლით შეიმოსნენ. ჩემი ბავშვობის დროს, ქალის მუხლი რომ დაგვენახა, ცხოვრების უინით ვნებები მოშლას იწყებდა, ახლა მუხლები კი არა იმ მთავარის გარეთად ყველაფერი გამოაჩინეს, გვერდით ბიჭი მისდევს და ვითომ არაფერი. ამით სიყვარული უფასურდება. სიყვარული უინია, უინი კი ვნების მოკვლით უნდა დააცხრო. დღეს რომ ერთმა ქალმა ქვედა პირველი ძირითადი საცვალით გაიაროს შეიძლება ერთი-ორმა თქვას, გიურაო, მავრამ მერე თანდათანობით ყველა მიბაძავს. ამიტომ მშობლებმა უნდა აღზარდონ შვილები იმ ქართველურ ტრადიციებზე რაც საქართველოს კარგი გააჩინა. ლამის სამი საათი იყო, რომ გამოეღვიძათ დავითს და თინათინს, მერე ლოგინში მყოფი ანგლობდნენ.

—ახლა იცი, რა ვითხრა დავით?

—რა, თინათინ. რა უნდა მითხრა?

— იცი რა დავით, უებმძიმელ ვარ.  
— ფეხმძიმელ?

— რა დავით, არ გაგიხარდა?

— როგორ არა, მხოლოდ უნდა ვიცოდე ხომ ნამდვილად ჩემია.

— შენია, თვენა ხევრისად ვითვლები.

— პირველი დღე მაშინ ვიზეიმეთ თინათინ, დასაფლავებაზე არჩილა რომ წავიდა, შენი ბედოვლათი ქმარი?

თბილისიდან ჩამოსულ არჩილს თავისი სახლის კარი დაკეტილი რომ დაუხვდა. დავითის ეზოში შეუხვია, ვისზედაც ეჭვიანობდა. ავიდა ხუთ საფეხურიან კიბეზე და ჩუმად მათ საუბარს ისმენდა. გულმოსულმა კარებს ძლიერად ფეხი მიარტყა, ძირითადი მყარი კარების ფრთა არც მაღლა იყო ჩაკეტილი და არც დაბლა. ამიტომ ორივე ფრთა ადვილად შეაღო. დავითს ბალიშის თავით დანა ჰქონდა ამოდებული. გადმოუხტა არჩილას ხელში დანა მომარჯვებული. არჩილი არ დაბნეულა, დაავლო ხელი ცხრაჯერ გარემონტებულ ჩალის სკამს და ისე უეცრად, მოხერხებულად მოათავსა დავითი სკამის ფეხის შუა იღლიებ ქვევით და ორიც მხრების ზევით შუა, რომ დავითი ახლოს ვერასგზით მიუდგა, ეს წუთის ამბავი იყო. მოასწრო არჩილამ ერთი ორჯერ ფეხი ნაშენობაში ამოარტყა და დავითს სიმწრით დანა ხელიდან გაუვარდა, მერე თავადაც ჩაიკეცა, იატაკზე დაეცა, თინათინს დამცირებულად მიაძახა

— დაიკეტა თქვენი კაზინო! შეგიძლია, ქალბატონო, ახლა სხვაგან გადაინაცვლო, იქ ხელის შემშლელი არავინ გეყოლებათ.

— არჩილ მაპატიე დამნაშავე მე არა ვარ.

— მაშ ვის აბრალებ?

— შენი ბრალია, შენი, არჩილ! ხომ გითხარი ზაოდს შენს ბალში ნუ ჩაადგმევინებ მეთქი. შენ კი არ დამიჯერე და არც დედაჩემთან გამაჩერე. უშენოდ შინ მარტოობა მიძნელდებოდა, შენ სხვაგან მიდიოდი და ეს ნაძირალა კი გვერდით მომიყენე — მე ადრევე ვგრძნობდი დავითი მეგლივით რომ მიცქერდა.

— მერე რატომ მაშინვე არ მითხარი?

—აი ამიტომ! ხომ ატყობ, კვნესის და ფეხზე კურიდებოდი.

—გეტყობა როგორ ერიდებოდი, უკვე თვენახევრის ფეხშიმე ხარ ხო? ყოჩაღ ისე ხვდებოდით, რომ აქამდე ვერ გავიგე. თინათინი გამოაგდო კარში შუალამისას და მიაძახა ახლა სადაც გენებოს, იქ წადი. ჩემს სახლში ფეხი არ მოადგა, მერე დავითს მიუტრიალდა. შე ნაძირალავ, ვაჟაცი მეგონე, მეცოდებოდი არაფრის მქონე, თურმე შენ კი გაიძერა ყოფილხარ, არჩილამ მანქანა მოიყვანა, მძღოლს ფული გადაუხადა და სთხოვა ეს ნაძირალა სავადმყოფოში მიეყვანა. თავად მეორე დღეს მილიციაში ნებით გამოცხადდა, მილიციას მოახსენა, მდგომარეობა როგორ წარიმართა, ორთა დუელი. მილიციამ უთხრა: ჯერ წადი, ნუ ჩქარობო. რამდენიმემ ისც უთხრა, იქვე თავის სახლში უნდა მოგეკლა, როგორ მოითმინეო. იქ სხვა გამოეპასუხა ეგ კი არა, მანქანა დაუჭერია, ცემის შემდეგ დაუსვამს ნაცემი ნაძირალა და საავადმყოფოში წამოუყვანია. ამის შემდეგ დატოვა მილიცია არჩილამ და დაბრუნდა ისევ თბილისში. სამი დღე ასეირნა ბავშვები ცირკში, ზორბარკში და მეოთხე დღეს შინ სოფელში ჩამოვიდა. ქალბატონ თინათინს დედასთან წასვლა ვერ გაუბედია, გაუხსნია კარები და შესულა. არჩილი რომ ჩამოვიდა შინ, დაუხვდა, მოხდა საქმის ხელმეორედ გარჩევა, თინათინმა გადაბრალებით რომ ვერაფერი გაახერხა. მერე პატიება სთხოვა. ბავშვები მიხვდნენ დედასა და მამას შორის რაზეც იყო კამათი. ბავშვებმა დედას ზურგი შეაქციეს, თუმცა თინათინი ბევრს ეფერებოდა, რომ შემოებრუნებინა თავისკენ. მაგრამ არ მიეკარნენ, ცალკე ოთახში ატუზულნი დარდობდნენ დედის საქციელს. ბავშვებს არ დაუმალავთ, ჭირივით გვეჯავრება ეგ კაციო. ბავშვებმა სრულყოფილად აღიქვეს ეს შეურაცხყოფა, მამის თავზე ლაფის დასხმა. ბავშვები გრძნობდნენ, რომ უდედოთ ბევრი დააკლდებოდათ, მაგრამ დედის სინდისის შელახვა ყველაზე მკაცრ სირცხვილად მიიჩნიეს. ასე თუ ისე, დაინგრა ერთი ტკბილი ოჯახი, გამოეცალა დედაბოძი. ფეხენა, თინათინის დედა შემთხვევით მოვიდა ბავშვების სანახავად. არ იცოდა თინათინის და

დავითის ამბავი, ბავშვები წინა დღეებში თბილისში თუ იყვნენ.  
კარები მოულოდნელად, რომ შეაღო დაინახა თინათინი კუნძულის  
კრესლოში მჯდომარე, განვლილ სიამოენებას ასლა  
მისტიროდა. არჩილი და ბავშვები იქეთ სხვა ოთახში იყვნენ.

—თინათინ, რაშია საქმე? რატომ ტირიზარ?

თინათინმა დედის კითხვა უპასუხოდ დატოვა, მხოლოდ  
ტირილის ტონს მოუმატა.

—გესმის, თუ არა, რომ გეკითხები გამეცი პასუხი.

ამ დროს შემოვიდა არჩილი და ყველაფერი უამბო, რაც  
მან კარების შემტკრევამდე მოისმინა, მიუტრიალდა დედამ  
შვილს სილა გაარტყა და შეახსენა, განსოვს ქალბატონო,  
რომ მიმტკიცებდი ჩვენს შორის არაფერი მომხდარაო.

—სიღედრო ეს კი არა, მისგან თვენახევრის ფეხმძიმეა.

—სად და როდის მიატანე ერთიმეორეს, გამაგებინე, სიძე  
ბატონო?

—იქ, თავად დავითის სახლში, სიღედრო.

—უი შე კახპავ შენა. — გამწარებული ფეფენა მივარდა  
თინათინს, ორი სილის გარტყმა კიდევ მოასწრო, სანამ  
არჩილი სიღედრს შეაჩერებდა. შენ შვილების ღირსი არ  
ყოფილხარ. ამ შენს ვარდივით ბიჭებს რა პასუხს აძლევ,  
მოგვჭერი თავი და ეგ არის. ის ნაძირალა სად არის, გაგექცა?

—არა ის უკვე დანით მომზადებული შემხვდა, მაგრამ არ  
მოუშვი ჩემთან ახლოს. ორჯერ ფეხი ნაშენობაში ამოვარტყი  
და მოკრუნჩხული კვნესოდა. მე მგონი, ყვერები გავუხეთქე,  
რაიონის საავადმყოფოში წევს და მკურნალობენ, ცდილობენ  
შეუნარჩუნონ, არ ვიცი მერე რა იქნება.

—მერე ნაძირალა ვინ წაიყვანა საავადმყოფოში?

—თავათ არჩილამ. — სლუკუნით უთხრა თინათინმა.

—რათ მოუყვანე მანქანა, რათ წაიყვანე?

—არა, სიღედრო, რომ მოკვდეს ციხეს არ ამაცდენენ.  
მერე ბავშვებს ვინ უნდა მიხედოს?

—მე წაიყვან, სად არიან?

დაუძახა მამამ, მაგრამ ბაბოს არ გაყვნენ

—ბაბო შენ დედა წაიყვანე, ჩვენ მამასთან დავრჩებით.

—არა, შვილო, დედასთან უნდა იყვეთ, თქვენ მოვლავთ გინდათ, საჭმელი, სასმელი გინდათ. თქვენ ჯერ პატარები ხართ და უდედოთ ვერ გასძლებთ.

—მამა მართალია, პატარები ვართ, მაგარამ თავმოყვარეობა დიდი გვაქვს, ვიცით ტელევიზორით, ბავშვები მუცელში როგორ ისახებიან და როგორ იბადებიან, ეს თავის მოჭრა მარტო მამას არ ეხება, ეს არის ოჯახის შეურაცხყოფა.

—შვილო, მარტო დედა არ იქნება, იქ ბებია, ძია გეყოლებათ

—არა, ბაბო, დედა არ გვინდა, მამასთან დავრჩებით, ხელს არ შევუშლით დაქორწინებაში.

მთელი ამ საუბრის განმავლობაში თინათინის თვალებზე ცრემლი არ შეშრობილა.

—შე ქუჩის კახპავ, ხედავ, ბავშვები ახლოს აღარ გეკარებიან. ადე წავიდეთ შე უსვინდისოვ. ახლა შენი შინ ჯდომით ბიჭს ვერ დავაქორწილებ. რძალი როგორ შეგეგუება?

—კარგი, დედა, მე ჩემი უბედურებაც მეყოფა.

—ამ უბედურებას ვის აბრალებ, თინათინ, ცუდად გეპყობოდი? შეძლებისამებრ ხელის გულზე გატარებდი, არაუკარს გაკლებდი. ბუნებრივი სილამაზით უფლისგან დაჯილდოვებული იყავ და მეც დღეს შენგან გაუბედურებული ქმარი, ყოველნაირად ხელს გიწყობდი, რომ შენი სილამაზე კიდევ უფრო დამშვენებულიყო. არა, სხვადასხვა სახის კრასკებით, არამედ კვებით, ჩაცმით. იმიტომ, რომ მიყვარდი, მაგრამ სიყვარულსაც აქვს თავისი საზომი: მცირე, საშუალო და უმაღლესი. სწორედ ის უმაღლესი სიყვარული იყო, ჩემს გულს მოსკოვში ჩასულს რომ არ ასვენებდა. თბილისში თუ ვენახში. ლანდივით სულ თვალწინ მედექი და მარტოობა არასძროს არ მიგრძნია, შენ კი ჩემი თავი ვიღაც არაკაცს დააჩაგვრინე, შენი საამაყო სილამაზის გადათელვით. ამ საქციელით დაანგრიე ტკბილი ოჯახი, დამღუპე მე და დაღუპე საკუთარი თავი. მე დაქორწინებას აღარ ვისურვებ, ჩემი ერთადერთი იმედი შვილები დამრჩენია და ვფიქრობ, ამათ შევალიო ჩემი სიცოცხლე. შენ კი დავითი რაკი ჩემზე უკეთესად მიგაჩნია მე შენგან დამცირებულს ისლა დამრჩენია,

რომ მოგილოცო იმასთან ერთად გაბედნიერება. ჩემზე უკეთესი  
მასში რაღაცა იპოვე, ღმერთმა მოგახმაროს. გაჩერდი ახლა, გაფუჭებულ  
საქმეს ტირილი არ უშველის.

—არა! არ მინდა იმასთან! მე გთხოვ, რომ მაპატიო. —  
თინათინი მივიდა არჩილთან და მოფერება დაიწყო.

—უი შენ მომიკვდი, რათ ვარ ცოცხალი? მე შენნაირი  
შვილით გაუბედურებული დედა.

—უეფენავ, წაიყვა შენთან, შვილია შენი და დედა ზარ,  
მეტი მიტევება გმართებს.

—არა, არ წავალ დედაჩემთან, მირჩევნია აქ მომკლათ,  
თუ თქვენ არა, მე მოვიკლავ თავს და დანისკენ გაიწია, მაგრამ  
არჩილამ წაართვა დანა და მომტირალ ბავშვებს გადასცა, რომ  
დაემალათ.

მიყვარხარ არჩილ ისევ იმ სიყვარულით, — და კისერზე  
ხელები მოხვია. არჩილამ კისრის განთავისუფლება დაიწყო, —  
არა და არჩილ თავის მოკვლის უფლება მომეცით.

არა, არ გამოვა თინათინ მერე დავითი გვიჩივლებს  
თინათინთან ერთად ჩემი ბავშვიც მოკლესო.

—მართლა ფეხმძიმედ არის არჩილ? — ეკითხება ფეფენა.

—ალბათ. მოფერების დროს დავითს უუბნებოდა  
თვენახევრის ფეხმძიმე ვარო. დედამისმა ფეფენამ ვეღარ  
მოითმინა და ერთი მაგარი სილა კიდევ შემოარტყა,  
ცხვირიდან სისხლი წასკდა. დედამ სისხლიანი ცხვირი  
თავადვე მობანა, წყევლით, რისხვით, სისხლი რომ არ  
შეუწყდა, თინათინი ტახტზე გულალმა დააწვინა. ფეფენა  
გამოვიდა იმ ოთახიდან, არჩილთან მივიდა და თხოვნით  
მიმართა.

—არჩილ, როგორც სიძე შენ ჩემი უქმაყოფილო არ უნდა  
იყო და არც მე ვარ შენგან გულდაწყვეტილი, რაკი შენ  
მეორედ ცოლის შერთვას არ აპირებ, მაშინ ჩემი თხოვნა  
იქნება, თინათინს აპატიე ეს ერთი შეცდომა, თუ არა, შვილო  
მარტოდ ამ ბავშვების გაზრდით დაიტანჯები და კიდევ  
გიმეორებ აპატიე. ბავშვებმა ყური მოკრეს ბებიას თხოვნას და  
იმათაც გული მოუბრუნდათ და ბებიას თხოვნას მხარი  
დაუჭირეს. მამას თვითონაც სთხოვეს დედას შერიგებოდა. ამ  
დროს ძახილი შემოესმათ, ბავშვმა გაიზედა და უმალვე

შემოარბენინა ხელზე გამოტანებული ბარათი, მამას მიაწოდეს არჩილამ სასწრაფოდ გახსნა და წაიკითხა

ბატონო არჩილ შეგნებული კაცი ხარ და შეუგნებლად ნუ მეპყრობი. ჩემი და თინათინის სიყვარულს წინ არაფერი უდგას. მუცელში თინათინს ჩემი თვენახევრის ბავშვი უზის, იმედია ხელს არ მიაკარებ. ეს თუ ასე იქნება, მაშინ ეს ცემა მიპატიებია და თუ ეს ასე არ იქნება, მაშინ გიწვევ ვაჟკაცურ ჩხუბში. ერთი-ერთზე და ვნახოთ ვინ ვისა სცემს. ასე დასრულდა წერილის შინაარსი და მსმენელებმაც დაცინვის ღიმილით ერთმანეთს შეხედეს. უკუნისებური სიჩუმე ისევ არჩილამ დაარღვია.

—ახლა შეხედეთ, ამის დამწერს ტვინი აქვს?

—ტვინი კი არა, გიჟი ყოფილა, რა მოგეწონა, გოგო, იმისი?

—დედა, ხომ გახსოვს, არჩილი რომ წავიდოდა ხოლმე, მე ჩემი ბავშვებით შენთან ვიყავ, როცა მოვიდოდა ჩხუბს მიწყებდა, სახლს პატრონი უნდა, რომ არავინ გაძარცვოსო.

—მართალია სახლს თავი არ დანებდება! მერე და ასეთ სავსე ოჯახს.

—არა, დედა, მე თავს კი არ ვიმართლებ, მაგრამ ამისი ბრალია. ერთ საღამოს არჩილი რომ მოვიდა მე ვუთხარი, ახლავე შეგიმზადებ, პურს გაჭმევთქმ, მაგრამ უარი მითხრა. არ გავიდა ათი წუთი და დავითმა მოართვა მწვადი, ხინკალი და კონიაკი. მომიჯინეს გვერდში და გემრიელად ვიპურმარილეთ. მაშინ უთხრა არჩილამ დავითს: მე, როცა წასული ვარ, ამ სახლს ყურადღება მიმიქციეთ არავინ გამიძარცვოსო.

—რა არის აქ ცუდი? — თქვა არჩილამ.

—არჩილ, არა ხარ მართალი, ვინ არის დავითი, რომ ავალებ ოჯახისაღმი ყურადღების მიქცევას.

—მე რა ვიცოდი, თუ სიკეთეს ვერ გამიგებდა. მე ვიფიქრე, კაცად ვაქცევ, წუმპიდან ამოვიყვანთქმ.

—გამოვიდა არჩილ ისე, რომ წუმპიდან ის კი ვერ ამოვიყვანე, პირიქით იმან ჩაგითრია, დედისგან თინათინმა შხარდაჭერა რომ იგრძნო, უფრო ფრთებშესხმულმა გაიხსნა ძველისძველი ხელმოსაკიდი ამბები, რომლებიც, თავისი აზრით,

სირცხვილს ჩამორეცხავდა. დედისმიერ შეურაცხყოფილი შეუძლებელი და გვითის წინააღმდეგ.

— უფრო მეტიც, დედა. მე არჩილთან გავილაშქრე დავითის წინააღმდეგ.

— მომაწყვიტე თავიდან თინათინ მის სახელს ნუ მიჩხენებ.

— დედა, მაცალე რის თქმაც მინდა, გითხრა. ეს უფრო მიქებდა კარგი ბიჭია, მეზობელია, უჭირს და ჩვენ თუ არ დავეხმარეთ სხვა ვინ ჰყავს მომხმარეო.

— ეგ იმიტომ, თინათინ, რომ არჩილი გულკეთილია. ჩამოყალიბებული ნამდვილი ადამიანია. ვისაც სული უდგას, განა ყველა ადამიანია? ეს ქართული სიტყვაა და ყველაზე ითქმის? გინდა იმაზე შენ, რომ გაუგორდი, და გინდაც შენზე, უსირცხვილოვ მე მრცხვენია შენს გამოამ სირცხვილის მომხვეჭელი ჩემს წინაშე რომ დგახარ, და დედას მეძახი, როგორ მეამაყება ჩემი პატიოსნება, თქვენს პატიოსნებაში დარწმუნებულს ფრთხი მქონდა გამოსხმული და ახლა ცალ ფრთაზე ვარ დამოკიდებული. — თქვა უფერნამ და ცრემლები წამოუვიდა. თინათინი აღგა, მივიდა დედასთან, მოეხვია, აკოცა და დასამშვიდებელი სიტყვებით მიმართა.

— კარგი, დედა, ამის გამო თავი მოვიკლა?

— არა, შვილო, ყველას არ შეუძლია ეშმაკის ხელიდან დაძვრენა, თუმცა შენ ქმარშვილიანი ხარ და ქმართან შერიგების შემდეგ თავის დაჭერა ძნელია, მაგრამ თუ ნერვები მოთოკე, სძლიე ეშმაკს და პატიოსნების გზას დაადექი, ღმერთი შენი მომხრე იქნება. მხოლოდ უნდა იწამო, ილოცო, სხვა დღეებში თუ არა, შაბათ-კვირას მაინც უნდა იყო ეკლესიაში. ბევრი ყოფილა ქალიშვილი, რომ შეყვარებულთან შემცდარა, აღარ უთხოვია და განაჩენი საკუთარი თავისთვის თვითონ გამოუტანია. შენ კი ეს არ გეხება ჯერჯერობით შვილებმა გიხსნეს.

გახარებულმა თინათინმა კვლავ აკოცა დედას. პირჯვარი დაიწერა, ღმერთო მიხსენი, ღმერთო მიხსენი ეშმაკისაგანო და მერე ქმართან მივიდა.

— მაპატიე არჩილ, არასოდეს არ ვიქნები შენი და საკუთარი თავის მოღალატე.

ამის შემდეგ ერთიმეორეს გადაეხვივნენ.

— კიდევ ცოტა მაცალეთ, მხოლოდ შენ კი, ბატონი გადასადმი ნამეტანი გულგრილად არ უნდა იყო. ქალს მოვლა უნდა, ხანდახან კინოში, თიატრში უნდა გაასეირნო, მხოლოდ ყურადღების ქვეშ უნდა გყავდეს. ქალი მოკლე ჭკუისაა სექსის საკითხში, თუმცა ქალები არიან საერთო საქმეში ჭკუა-გონებით ზოგიერთ კაცებს სჯობიან. ყურადღება უნდა, სანამ მოახდენენ იმ ძირითადს, მანამდე წინ უძღვის რაღაცა, საძირკველის მომზადება. აი, ის უნდა შეამჩნიო და მიზეზის გახსენებით დატუქსო.

— სიდედრო ეგ ეჭვია.

— დიახ ეჭვია, მაგრამ ეჭვი ცუდი არ არის, მხოლოდ უნდა იყოს საფუძვლიანი. ეჭვი ქმრის ცოლისადმი დიდმა სიყვარულმა იცის. ეჭვი ეს იგივე ყურადღებაა ცოლისადმი. ქალს ძლიერი ბიოდენები აქვს და მიმზიდველია კაცებისთვის, მითუმეტეს თუ ლამაზია და მოხდენილი. შე დალოცვილო, რომ მიიყვანე ეს შენი ჩაფუშფუშებული ცოლი, რომელიც მტრისთვისაც საამურია და შენ იმას გვერდით მიუჯინე ეს იცი, რას ნიშნავს?

— დედა! დედა! თან თვალებით მჭამდა. დედას არ მოეწონა შვილის გამოხტომა

— მერე შენ ვერ ადექი, ვერ გაეცალე, რას იჯექ და შესციცინებდი, რომ გასცლოდი ის მაგდენს ვეღარ გაგიძედავდა. მაგრამ შენც აპყევი, მიეცი უფრო მეტი შესაძლებლობის ნიშანი და მიიღე კიდეც. დიახ, სიძე ბატონო, ასეთი ძლიერი მოთხოვნილების და სუსტი ნებისყოფის პატრონს, ვიმეორებ, გვერდით რომ მიუჯინე, ეს ნიშნავს, ცეცხლს რომ გვერდით ბოჭკით ბენზინი დაუდგა.

იმ საღამოს ფეფენა ქალის ოჯახში დარჩა, ორი ქათამი დაკლეს გააკეთეს და მშვენივრად ივახშმეს შერიგებისა. ორი ლიტრი რქაწითელის ღვინო გამოცალეს და მშვიდ ძილს მიეცნენ. მეორე დღეს ზაოდზე მივიდა არჩილი და გამოუცხადა შეწყვიტეთ ზაოდის მუშაობაო. ჩარექამ სთხოვა:

— არჩილ, სანამ დავითი არ მოვა, მუშაობას ნუ შეგვაწყვეტინებ და ის რომ მოვა, იმას გამოუცხადე და მე მგონი გაგიგებს.



— ვაკ რას ჰქვია გამიგებს, ჩარექ შენ ხომ არაფერობდება! ადგილი არჩილასია და როცა მოისურვებს, დააკეტინებს. ამას წინ არაფერი უდგას. გაშიფრა პაჭომ.

— კი, მაგრამ, დავითი ხომ საავადმყოფოშია, ის როდის მოვა?

— მოვა, არჩილ, დღეს დილით მოიტანეს ამბავი, რომ ოპერაცია შეუხორცდა და მალე გამოვა, მალადეც არჩილ, ვაჟკაცი ხარ და ვაჟკაცური პასუხიც გაეცი იმ არამზადას.

— რა ვქნა ჩარექ, მე კარგი მინდოდა მაგისთვის, მაგრამ ვერ შევაგნებინე, თავისი თავის მტერი თვითონვე ყოფილა. ვეცადე კაცად მექვია, მაგრამ თურმე შევცდი.

— გიშია, არჩილ, უნათესავო, უმეგობრო, ქუჩაში გაზრდილმა რა უნდა იცოდეს? შენ კარგად არ იცი აქ ახალი დასახლებული ხარ, სულ ჩვენს ლუკმაზეა გაზრდილი. მაგაზე პატარა ბიჭები თავში წამოუბრახუნებდნენ ხოლმე. ერთი სიტყვით, არაფრად აგდებდნენ. აგერ, არ არის ფაქტი? კაცს ხელი შეუწყე, იქნებ სული მოითქვასო და კარგი ვერ დაინახა. ახლა სამი-ოთხი წელია, რაც ხორცები დაიყარა და მკლავზე იყურება. არჩილ, დავითს ჩარექა სულ კრიჭაში უდგას, იმ დღეს სილა გაარტყა დავითმა და ჩარექამ რომ მოიგდო ზურგზე, აქ ჭაჭაზე გაშხლართა.

— როცა მოვიდეს, უთხარით, რომ არჩილამ ზაოდის გაჩერება გამოვიცხადათქო. თავისი რაც არის გაიტანოს და გაასუფთაოს ადგილიო.

თებერვლის თვის მეორე კვირის სამშაბათის დღე იყო. ზამთრის სიცივის სიმკაცრე მაინც და მაინც დიდად არ ემჩნეოდა, ცა სუფთა იყო, დღე უთოვლო, მშრალი, მზის ამოსასვლელს მზის ფერი ედო, არჩილს დაუძახა ჩარექამ და მოახსენა: დავითი საავადმყოფოდან გამოსულა, ახლა ჩვენთან ზაოდზეა და გეძახისო. არჩილი, რა თქმა უნდა, უყოყმანოდ მივიდა, ჩვეულებრივ მიესალმა, ბოდიშიც მოუხადა, უთხრა მე არ მეგონა თუ საოპერაციო გახდებოდიო. იმან კი პირდაპირ მიახალა.

— არჩილ, ჩემგან გამოგზავნილი წერილი ხომ მიიღე?

— კი, მივიღე. — უპასუხა.

— წაიკითხე?

—წავიკითხე.

—გაუგებარი ხომ არაფერი იყო?

—არა.

—მაში, იმდინა მომზადებული იქნები, ალბათ ივარჯიშებდი.

—რას ვივარჯიშებდი?

რა და წერილში ხომ დაგიწერე მოემზადე საჩხუბრად  
თქმ.

—მერე და რა საჭიროა ჩხუბი?

—მე არ გაპატიებ ჩემს დასახიჩრებას.

—რით გინდა ჩხუბი და რანაირი?

—წამო გავიდეთ ცოტა იქით და გეტყვი.

—მე რომ არ მინდა ჩხუბი ახალ ოპერაციან კაცთან.

—შენ არ გინდა, მე მინდა. უთხრა დავითმა და ცალკე  
გაყვანილ არჩილს უეცრად მუშტი ცხვირში დაარტყა.

არჩილი წარაცრაცდა, სისხლი დასქდა, უცებ თვალებიც  
დაუბნელდა, მაგრამ მალე აღიდგინა, მოიკრიფა ძალა და რომ  
წაავლო დავითს საყელოში მარცხენა ხელი, ისე მობლუჯა  
მთელი ტანისამოსის საყელო, რომ ხელებს სრულყოფილად  
ვეღარ ამოძრავებდა და არჩილი კი მარჯვენა ხელის მუშტს  
სახის ნებისმიერ წერტილში ურტყამდა. რა თქმა უნდა,  
არჩილს გრძელკლავიანობა ხელს უწყობდა, დავითი არჩილის  
ხელში უსუსურ ბავშვივით ეჭირა, ცემით რომ დაიღალა,  
არჩილის მძებნელმა თინათინმა მაშინ მოუსწრო და იყვირა.

—არჩილ შეეშვი საციხედ არ გაიხადო საქმე.

არჩილამ ბოლოს ხელის გაშვების უმალვე თავი სახეში  
დაარტყა და გადავარდნილმა თავი გაყინულ მიწას დაარტყა.  
არჩილი თინათინმა სახლში წაიყვანა, დავითი კი ჩარექამ და  
პაჭომ წაიყვანეს, პირი დაბანეს, მაგრამ თავს კარგად ვერ  
გრძნობდა, მეორე დღეს არჩილამ ჩარექას კვლავ შეახსენა  
ზაოდის მომლა და გადატანა, მოცილება მოითხოვა თავის  
ეზოყურიდან. ის ორი დღე არჩილასაც გაუჭირდა, გაბზარული  
ჰქონდა შიგნიდან ცხვირის ნესტო, მესამე დღეს ცოტა  
არაუშავრდა, მაგრამ ახლა სხვა საფიქრალი შეექმნა. დავითი  
მეორე დღეს რაიონის საავადმყოფოში მისულა და  
განუცხადება, რომ სრულიად უდანაშაულოდ არჩილ  
მექევრიშვილმა მცემაო. საავადმყოფოში დაწოლილ დავითს

გაუკეთებია საექსპერტო დასკვნა და მიღიციაში მიუტანია. საექსპერტო დასკვნაში მოცემულია სახის სერიოზულობა დაზიანება, ტვინის შერყევით. ეს კი ექვემდებარება ხანგრძლივ მეურნალობას. არჩილამ ამის გამო მიღო რაიონის მიღიციაში გამოცხადების უწყება. არჩილამ თინათინი დაამშვიდა, თავად გამიწვია ჩხუბში მე ჩხუბზე უარს ვეუბნებოდი, ვაწყნარებდი, მაგრამ პირველი რომ იმან გამარტყა და სიმწარე ვიგრძენი მერე მეც აღარ მოვუთმინე, ხელი გავიქნიე. მე მგონი ამაში სამიში არაფერი არ უნდა იყოს, ამ იმედით გამოცხადდა არჩილი რაიონის მიღიციაში. მიღიციის უფროსმა პირდაპირ შემოხსნა ქამარი და მოათავსა კამერაში. ნადხორს დაავალა, თუ პატიმარს ვინმებ მოაკითხოს, უთხარით პირველდ ჩემთან შემოვიდეს, მე მომაკითხოს. თინათინს მიღიციაში წასული ქმარი რომ აღარ დაუბრუნდა, მეორე დილით ბავშვები დედასთან მიიყვანა, თუმცა დედა ფეფუნა შინ არ დაუხვდა, იგი ვენახში იყო წასული და ბავშვები დაარიგა: ეზოდან გარეთ ფეხი არ გაედგათ ბებიას მოსკლამდე, თავად თიანთინი კი რაიონის მიღიციაში წავიდა. იქ შეიტყო, რომ არჩილი დაპატიმრებული იყო, არჩილა რომ ენახა ნებერთვა უნდა აეღო მიღიციის უფროსისგან. მიღიციის უფროსი თინათინის სილამაზით უმაღვე მოიხიბლა, სკამი თავად მიღიციის უფროსმა გამოუდგა, სთხოვა დაბრძანებულიყო. მიღიციის უფროსმა რეზო კვეზერელმა თინათინს გააცნო ექსპერტის დასკვნა.

—ქალბატონო ეს რა მძიმე ტრამვები მიუყენებია სრულიად უდანაშაულო კაცისათვის, სამიდან ხუთ წლამდე ციხეს ითვალისწინებს. ქალბატონო მე მაინტერესებს შენი ქმარი, ხომ ნორმალური კაცია.

—დიას ბატონო, მაგრამ არ არის დამნაშავე.

—ამას, ქალბატონო, გამოძიება დაადგენს. ჩვენ ტყუილად არავის ვიჭერთ.

—იქნებ დაგვეხმარო ბატონო რეზო, ჩვენც შეგვიძლია თქვენგან გაწეული პატივისცემის სანაცვლოდ პატივისცემა და ერთიმეორეს გაუღიმეს, მისმა მოხდენილმა ღიმილმა რეზო კვეზერელი უფრო გადარია.

— კარგი ქალბატონო, შენი სახის სილამაზე უნდა კეთილგანვითარდეს. რომ დაგეხმაროთ, მე ახლა, გენაცვალე, არ მცალია, ორ საათზე მიღიცის სხდომა უნდა მქონდეს და რაღაც მასალებია მოსამზადებელი. უმჯობესი იქნება, ავადმყოფ დავით საძაგლიშვილთან გაიაროთ, თხოვოთ პატივება, შერიგება, მე მგონი, გაგიგებთ. არ უნდა იყოს ცუდი ბიჭი. მხოლოდ უჩემოდ არ წახვიდე, მე მნახე, მაინტერესებს რას გეტყვის.

— კი, ბატონო რეზო, გთხოვთ ქმარს შემახვედროთ, დაველაპარაკო. ძეხვი, პური მაქვს წამოღებული და მინდა გადავცე. იქნებ მშიერია.

— არა, ქალბატონო, მშიერს ძალლს არ ვტოვებთ და ადამიანს დავტოვებთ? მერე რა მოხდა რომ პატიმარია? თუ მაინც და მაინც შენ ასე გინდა, დატოვე და ჩვენ გადავცემთ.

საათის თორმეტი არ იყო, რომ თინათინი შევიდა საავადმყოფოს ეზოში, დაინახა ეზოში გამოსული ცალკე მდგარი დავითი და პირდაპირ მისკენ წავიდა. მისკლის უმაღვევ დავითი, ისე ჟინიანად დაეწაფა თინათინის ბაგეს, რომ ასეთ აღტკინებულ კოცნას ნამდვილი ცოლქმარნიც არ ცდილობენ.

— კიდევ კარგი, მოხვედი, თინათინ, უშენოდ ვერ გამიძლია.

— დავით, შენ ხომ არჩილი ვაჟკაცურ ჩხუბში გამოიწვიე, რაღად უჩივი?

— არა, რის ვაჟკაცური ჩხუბი. მოულოდნელად დამარტყა, თორმეტ რომ დაეცდა მაგას ვაჟკაცური ჩხუბით ყბებს ჩამოუღებდი, თინათინი მიხვდა, რომ დავითმა წაიტრაბახა. მაგრამ მაინც შეაქო.

— რაინდი ხარ, რაინდი, ჩემო საყვარელო! — თან განმეორებით მოეხვია და აკოცა, აპატიე ციხეში ნუ ჩასვაძ ცოდნა.

— არა, თინათინ, ერთი სული მაქვს, მაგ ნაძირალას როდის ჩამოგაცილებ, რომ ჩვენს სიყვრულში აღარ ერეოდეს.

— სულელო, ქმარია მე იმას ვეკუთვნი, იმასთან ორი შვილი მყავს.

—ჩვენ სიყვარულში ხელი რომ არავინ შეგვიშალოს, ათვისებული შვილი გვეყოლება, ამჟამად ჩემი ერთი ხომ გიზის მუცელში?  
—ამას მომაშლევინებს.

—არა, ვერ მოგაშლევინებს. თუ მოგაშლევინებს, იურიდიულად ბავშვისადმი ღალატია, ვიჩივლებ და მაშინ მაინც ამოალპობენ ციხეში. შენთან სიყვარული მინდა და რა ვუყო. ახლა ცალკე ოთახი რომ არ მაქვს? მომიცადე თინათინ აქა. სადმე ოთახი იქნებ ვიშმოვ.

ათი წუთის შემდეგ დავითი გასაღებით საავადმყოფოდან ჩამოვიდა.

—ვიშმოვე თინათინ! ბედი გვქონია. მთავარი ინუინრის დივან-კრესლოთი გაწყობილ კაბინეტში! წამო, წავიდეთ, თინათინ!

—არ წამოვალ.

—რატომ არ წამოხვალ? არ გიყვარვარ?

—არა.

—კარგი, თინათინ! ნუ მეხუმრები!

—არ გეხუმრები, სრულიად მართალს გეუბნები, შენი ოთახი რომ იყოს, მეცოდინებოდა, რომ იქ არავინ მოვიდოდა. იქ კი იქნება ოთახის პატრონი მოვიდეს.

—არა, თინათინ, არა! მე იქ არა ვარ? საძაგლიშვილმა მოფერებით, კოცით, როგორც იქნა თინათინი კვლავ დაიყოლია, ავიდნენ მეორე სართულზე, გახსნეს და შევიდნენ. ერთი სიტყვით მათმა სიყვარულმა იმ ოთახში ერთ საათს გასტანა. ამ დროს კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა. დავითმა გახსნა კარები. და იმასთან ერთად წავიდა, თინათინს მიაძახა შენ აქ იყავი მე მალე მოვალო. გავიდა დრო. მერე ვიღაცა უცხომ შეაღო კარები და შიგ შევიდა. შიგნიდან თინათინს ჩაუკეტა კარები და გააბეს სიყვარული. თინათინმა იუარა, მაგრამ რომ მოავლო ხელი ძალისმიერ გააძრო ყველაფერი. ეს მთლად ახალი ხილი იყო თინათინისათვის. იქიდან გამოსულ თინათინს არსად აღარ შეუხვევია, პირდაპირ შინ, დაბრუნდა. მერე ბავშვების ჩამოსაყვანად დედას მიაკითხა. დედამისმა რომ შეიტყო არჩილის დაკავების მიზეზი და რაიონში ჩასულმა თინათინმა დაკავებული არჩილი ვერ ნახა, სიცრუეშიც დაიჭირა და ერთი სილა კიდევ გაარტყა.

—შე ავხორცავ შენა, არჩილი რომ არ ნახე, მაშ ეს ბავშვები რისთვის მომიყვანე? იმიტომ, რომ ნაძირალასთან მისულიყავ? პირველი სილის შემდეგ ორი კიდევ გაარტყა ისე ძლიერად, რომ ის ავხორცინანი სიყვარული კი არა, სიცოცხლე შეაძლა და მთლად თავი დაავიწყებინა. მივიდა ძმა მისაშველებლად, მაგრამ გაცეცხლებულ დედას ვერ მიეკარა, მხოლოდ ერთი კი უთხრა, დედა მოეშვი, რასაც აღარ ეშველება, მის გამოსწორებაზე ნულარ ნერვიულობ. ეს ერთი მცირედი გამოსარჩლება ძმას დისადმი არ აპატია.

—გამეცალე, შენ შენი გარუცნილი დის დამცველად ნუ მომევლინე? ღმერთო, მაპატიე შეცდომა. შვილების პატიოსნად გამოზრდაზე ტყუილად შემიწუხებიხარ, არა და ჩემი სიწმინდით რამდენს გევედრებოდი, ღმერთო, ბედი მიეცი ჩემს ორ შვილს და სიკეთე დაანათლე-მეთქი. მადლობელი ვარ, ღმერთო, კარგი ბედი კი მიეცი, ჩემს შვილს თინათინს, მაგრამ ჭკუა დაგიკლია. ზურგით ეშმაკი დაჰყავს და ვერ მომიცილებია.

გათენდა დილა. თინათინს ფეფუნამ უთხრა:

—თინათინ, შენ ბავშვებთან დარჩი, დღეს მე წავალ რაიონში.

—არა, დედა მე წავალ მილიციის უფროსი მეხმარება.

—მილიციის უფროსი რისთვის გეხმარება? მითხარი, ფული ჩაუტანე?

—არა, ფული არ მიმიცია.

—მაშ რისთვის? მაგ ლამაზი თვალებისთვის? იტყვიან ეჭვი დამღუპველიაო, მაგრამ ეჭვს სამართლიანი საფუძველი უნდა ჰქონდეს. აი, მაგალითად, ფეფუნა ეჭვიანობს, მაგრამ არამცდარად. სამართლიანი მიგნებები აქვს. ფეფუნა დილით ადრე მივიდა ზაოდზე, არჩილასი და დავითის ჩხუბის ამბავი პაჭოს და ჩარექასაგან დაწვრილებით შეიტყო, დაწერა განცხადება, ჩარექასა და პაჭოს ხელი მოაწერინა, როგორც დამსწრენი, მოწმები და რაიონში წავიდა. აიღო ექსპერტის დასკვის ასლი, დავითისმიერ არჩილისადმი საჩივრის განცხადებისა, დაწერა დავითზე ცილისმწამებლური განცხადება. განცხადებაში მოიყვანა მისი სიზარმაცე, არა საქმიანობა. აღნიშნა, კეთილის ხელისმემშლელი. სოფლის

საბჭოდან აიღო ასეთი საბუთი. სუკელაფერი ერთიმეორებულ  
დააკრა, შევიდა მიღიცის უფროსთან და წინ დაუწყო.

უფროსმა გადასინჯა. ნახა ყველა საბუთი. ჩხუბში  
გამოწვევის წერილიც, მოწმე ბიჭებიც ხელს რომ აწერენ,  
ძმაკაცურ ჩხუბს რომ ამტკიცებენ და მოახსენა მიღიცის  
უფროსს.

თუ იმ ნაძირალას მიერ შემოტანილ სარჩელს არ  
გააუქმებთ, მის სახელზე ცილიცმწამებლური განცხადება  
შემომაქვს. შიგ აღნიშნული იქნება მიღიცის უფროსი და  
საავადმყოფოს დირექტორი, იმ ნაძირალას ვინც მხარს უჭერთ,  
ამას ჩავყვები ბოლომდე და მაინც გავიმარჯვებ.

მიღიცის უფროსი უმაღვე შეფუცხუნდა, დაურეკა  
საავადმყოფოს დირექტორს, კთხოვთ ახლავე ჩამობრძანდეთ  
მიღიციაში და საძაგლიშვილი დავითიც ჩამოიყვანოთ.

შევიდნენ სახელდახელა. კაბინეტში, საქმე გაარჩიეს,  
გააუქმეს დავითის სარჩელი, ცილისწამების საჩივარზე სთხოვა  
მიღიცის უფროსმა აღარ გინდა დავითის სარჩელი, ხომ  
გავაუქმეთო. ფეფუნა გაჯიუტდა.

—არა, ბატონი! ეს ორი დღე, რომ აწამეთ კამერაში,  
მაგანაც უნდა ნახოს. როგორია პატიმრობა. თქვენ ეს  
ნაძირალა გეცოდებათ და არჩილი, სიკეთით სავსე,  
ცოლშვილის პატრონი არ დაინდეთ. მერე მოუტრიალდა:  
დავითს გაფრთხილებ არ გაიჭაჭანო არჩილის ეზოურეში, თუ  
არა, შამფურზე აგაგებ და მწვადივით შეგწვავ შენი ზოდის  
ცეცხლზე. თქვენ კი, მიღიცის უფროსო და საავადმყოფოს  
ექიმო, თქვენ პროფესიას სამართლიანად ემსახურეთ, თუ  
გინდათ, რომ ადამიანებად შერჩეთ წუთისოფელს, თუ არ  
გინდათ იღიას ლუარსაბივით ტალახში ამოყოთ თავი. ჩემგან  
დღევანდელი მოქმედება ნუ გაგიკვირდებათ, ქალი ვარ, მაგრამ  
უსამართლობის ხმალი ვარ. ისეთი ბასრი წუთისოფლის  
ხორცმეტების თავის მოჭრა, რომ იცის. ახლა ჩემი პატიმარი  
შინ უნდა წავიყვანო. თქვენ კი ეს ნაძირალა საძაგლიშვილი  
შინ წაიყვანოთ, გაფუშფუშბულ ლოგინში დააწვინეთ და თავი,  
რაც შეიძლოთ, რბილ ბალიშზე დაადებინეთ, რომ ნიჭით სავსე  
საერო ტვინი არ შეერყეს. მშვიდობით, ღმერთმა ხელი

მოუმართოს იმათ, ვინც ამ ცოდვილ წუთისოფელში ნამდვრებლი  
სამართლიანობას ემსახურება.

—ღმერთმა სიკეთის გზაზე გატაროს ქალბატონო ფეფუნა,  
ათი წელია მიღიცის უფროსად ვმუშაობ და მე თქვენაირი  
გათვითცნობიერებული ღვთისნიერი ქალი არ მინახავს.

—ჩემნაირი ღვთისნიერი ქალი წუთისოფელში რომ ბევრი  
იყოს, მაშინ თქვენ თვალში ასე გასაოცარ ქალად არ  
გამოვჩნდებოდი. და, რა თქმა უნდა, არც დამჭირდებოდა ამ  
საქმეზე თქვენთან მოსვლა, რადგან ჩემნაირები წუთისოფელში  
თუ ბევრი იქნებოდა თქვენც გამოსწორებული იქნებოდით და  
წუთისოფელიც გამორუდებული არ იქნებოდა.

—ქალბატონო, მართალია, მიწასთან გაგვასწორე,  
მიუხედავად ამისა, ჩვენს თვალში კარგ ქალად დარჩი.. —  
შეაქმ საავადყოფოს მთავარმა ექიმმა,

—გმადლობთ! მე თქვენი შექება არ მინდა. იმ ღმერთმა  
იცის, მე რას წარმოვადგენ და ის მაძლებინებს, რადგან  
სამართლის მსახური ვარ. რაც შექება მიწასთან გასწორება,  
მე რომ დამწამეთ, მე არ გამისწორებიხართ, აი ამ ნაძირალამ  
გაგასწორათ და სამაგიერო პასუხი მაგას მოსთხოვეთ. ორი  
დღის შშიერი, მიღასლასხებული პატიმარი არჩილი.  
ქალბატონმა ფეფუნამ კალბასი და პური იმდენი უყიდა, რაც  
სახლამდე სულის მობრუნებისთვის საკმარისი იყო. საღამოს  
სიღვდრმა კარგი პურმარილი გააწყო და არჩილამ იმ ორი  
დღის დანაკლისი სწრაფად აღიდგინა. მეორე დღეს არჩილამ  
პაჭოს და ჩარექას უბრძანა, სასწრაფოდ ხელით გაეტანათ  
ზაოდის მთელი ნაბორი და თან გააფრთხილა, რომ გადასატანი  
დავითისა არაფერი დაეტოვებინათ. მეზაოდე ბიჭებმა  
არჩილისადმი სარჩელის ამბავი რომ გაიგეს, დავითი  
გალანძლეს. დავითს არც ადრე ამხანაგობდნენ, მაგრამ ახლა  
უფრო მთლად ზურგი შეაქციეს, მიხვდა, რომ დავითს აქ აღარ  
ედგომლებოდა და ამის გამო ბინა სასწრაფოდ გაყიდა და  
ლაგოდების რაიონის სოფელ ავენში ვიღაცას ჩაუსიძევდა.  
დრომ არჩილისათვის სიკეთისაკენ მხარი იბრუნა, თითქოს  
დაწყნარდა არჩილი, მოეჭრა თინათინს ის გზა სექსისა და  
იმედი მიეცა, რომ ამის შემდეგ ტკბილად და წყნარად  
იცხოვრებდნენ, მაგრამ ერთ დღეს დედა-შვილი, ფეფუნა და

თინათინი სანოვაგის საყიდლად კაბლის ბაზარში იყვნენ, უფერებელი და სუსტი ფერის მიერ ფერის გაცვლა. აქეთ ეძება, მაგრამ ამაღლ, ელოდნენ, მითომ საღამოს შინ მოვიდოდა, საღამოს იმედიც გაუქარწყლდათ. ატირდა ფეფუნა, დედობრივმა სიყვარულმა იფეტქა, გული დავითზე აგრძნობინებდა, მაგრამ ის ვერ წარმოედგინა, რომ ოდესმე არჩილს დავითს ამჯობინებდა და ქმარ-შვილს სამუდამოდ მიატოვებდა. და აი ერთ შშვენიერ დღეს ფეფუნამ მიიღო წერილი. გახსნა და კითხულობს: დედა მე დავითს ცოლად გავყევი და ძებნას ნუ დამიწყებთ, თავს ბედნიერედ ვგრძნობ. თურმე დრო უკუღმართი არჩილისთვის არ გამოსწორებულა. საღამოს შრომით დაღლილ-დაქანცული შვილი ნოე შინ რომ მივიდა, ცხენი გამოუშვა, დააბინავა, შევიდა შინ და მაგიდაზე ცნობილი წერილი დახვდა, აიღო ნოემაც გადაიკითხა, ეზოში გამოვიდა, გაიხედ-გამოიხედა, დედა ეზოში, რომ ვერ დაინახა, მერე მეზობელ ქალს შეეხმაურა.

—მარია დეიდა დედაჩემი შენთან ხომ არ არის, კარები ღია დაუტოვებია და სად წავიდა ვერ გავიგეო.

—არა, არ ვიცი შვილო არ დამინახავს.

ბოლოს იფიქრა, შეიძლება კარების დაკეტვა დაავიწყდა და ჩემს სიძესთან წავიდაო. ნახა ახალი გაკეთებული ბორში, ძროხის ხორცით, ძალიან შიოდა და ვეღარ მოითმინა, რომ დედისათვის მოეცადნა, ამოიღო მათლაფაზე, დადგა მაგიდაზე, პურიც მიიტანა, ღოჯში ღვინო მოსინჯა, არ იდგა, ამის გამო შევიდა მარანში და დაინახა დედა მისი ფეფუნა თოკზე ჩამოკიდებული, ნოემ ერთი კი დაიყვირა მიშველეთო და გულწასული ძირს დავარდა. მეზობლებს შემოესმათ გაჭირვებულის ხმა, უმალვე მივიდნენ. ზოგმა ნოე მოასულიერა, ზოგმაც თოკიდან ფეფუნა ჩამოჭრეს, მასაუებით ეცადნენ, მაგარამ ვერ მოასულიერეს, ოჯახში უკვე გლოვის მწუხარება ჩამოწვა, ძმამ დის წერილი არ გამოაჩინა, არჩილამ უთხრა ცოლისძმას, შენ დედის დანაკლისიც გეყოფა, არაფერში გაისარჯო, ყველაფერი ჩემზე იყოს.

—ნოე, მითხარ, რამდენ კაცზე გავშალოთ სუფრა?

—სამას კაცზე, არჩილ.

—სამარის ადგილის შერჩევა საჭიროა ხომ?

— კი, ისეთი ადგილი უნდა შევარჩიოთ, რომ შემდგომ  
ჩვენი და ჩვენი ნამრავლისთვისაც თვალთხილული იყოს.

— ორი ძროხა, ორი ცხვარი ზომ ეყოფა?

— მაგას მზარეული გვეტყვის.

— თაღი გადაუყვანოთ?

— აუცილებლად.

— შავი გრანიტის ქვას სახის ამოკვეთით მე დავადგამო.

ერთი სიტყვით, ფეფენა დიდი პატივისცემით  
დაასაფლავეს. მიცვალებულს დისმვილები ესხდნენ  
ჭირისუფლად, თუმცა სიძემ — არჩილამ და შვილმა — ნოემ  
სასაფლაოზე გამოშვიდობებისას გულიანი სიტყვებით  
დაიტირეს. მდგომარეობამ აიძულა არჩილს ბინა გაეყიდა და  
საცხოვრებლად თბილისში თავის დასთან ახლოს გადასულიყო,  
რომ დას ბავშვებისათვის ყურადღება მიექცია. გაყიდა სახლი  
სოფელში და თავისი დის სადარბაზოში იყიდა სამ ოთახიანი  
ბინა ახალი გარემონტებული. ახალი ავეჯით მოაწყო.. იშოვა  
სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერს თავისი  
ადგილი ჰქონდა მიჩნილი და წუნს ვერაფერს დაუდებდი,  
მაინც ოჯახს დიასახლისის ხელი აკლდა, არჩილი კი ცოლის  
შერთვაზე ყოველთვის უარზე იყო, თუმცა დას ძმასთან  
ხშირად ჰქონდა საუბარი ამ საკითხზე და ყოველთვის  
არჩილის პასუხი უარი იყო. მე სხვა ქალს შვილებს არ  
დავაჩაგვრინებო. არჩილის დას ელისოს ქალ-ვაჟი ჰყავს, ეკა  
და ვაჟა, არჩილის შვილებმა იმავე სკოლაში დაიწყეს  
სიარული, სადაც მამიდაშვილები დადიოდნენ. განსვენებულ  
სიდედრს არჩილამ რაც თქვა. ღვთის მიერ დაწესებული  
საკადრი ყველაფერი შეუსრულა. უფრო მეტიც, მარმარილოს  
ქვაც დაადგა. ნოეს და, თინათინი დედის დასაფლავებაზე და  
ორმოცზე არ ყოფილა, აგერ ახლა წლისთავზე მოვიდა.  
წლისთავმა მშვიდად ჩაიარა. მიაგეს მიცვალებულს  
განსაკუთრებული წილხვედრი, წავიდნენ ყველა ჭირის  
გამზიარებელნი. დარჩნენ სამნი, ნოე, თინათინი და არჩილი.  
თინათინმა არჩილი დაიმარტოხელა.

— არჩილ, არა ვარ შენთან მართალი, მაგრამ უნდა  
მაპატიო.

—ჩემგან ნაპატიები არა სარ. ჩემს ადგილზე სხვა ვინც არ უნდა ყოფილიყო, შენ ცოცხალს არ დაგტოვებდა.

—ეგ ვიცი, არჩილ, და უნდა მაპატიო! ისე რომ კვლავ ცოლქმარნი გავხდეთ. ქალს ხომ იცი, მომენტებში მოკლე ჭერა აქვს.

—თინათინ, მე შენი აღარაფერი მეხება.

—არჩილ, გთხოვ, მე შვილების დედა ვარ. შემიბრალე, მეც და შვილებიც, შვილებს დედა სჭირდებათ.

—თინათინ, შენი უზნეო საქციელის დედა შვილებს სულ არ ჭირდებათ

—არჩილ ჩემი სითბო არ გახსენდება?

—შეიძლება მახსენდება ტებილად გარკვეული დრო, მაგრამ გამახსენდება თუ არა შემდგომი შენი უზნეობა უმაღვე მეფანტება და გულში მზარავს, იმ ნაძირალაზე, რომ გამცვალე. მე მშეირი მილიცის კამერაში ვიჯექ და იქ მოსულმა არ მნახე. ის დღე ვისთანაც დააღამე ისიც ვიცი. გამეცალე, აღარ მინდა შენი ჩაღწილი ცოდვების გახსენება.

—არ გებრალები არჩილ? დავითი უმიზეზოდ ყოველდღე მცემს თქვა და აჭირდა.

—ეგ გზა ხომ შენ თვითონ აირჩიე, უნდა შეეგუო. ამ დროს შემოვიდა ნოე.

—რა გინდა, თინათინ, აცალე არჩილს, დაიძინოს. ბიჭი დაღლილია, თავზე რათ დაადექი? ხვალ დილით თბილისში უნდა წავიდეს.

—რა გინდა შენ, ჩემ ქმართან ლაპარაკს მიშლი?

—შენ გიუი ხომ არა სარ? არჩილი ხომ შენი ქმარი აღარ არის? მაშ არ იცი ეს ერთი წელიწადი ვისთან წვები, დაგავიწყდა?

—ის მცემს და აღარ მინდა იმასთან ყოფნა.

—შენთან ლაპარაკი ზედმეტია. გიუი სარ, ნოე დის სიგიჟეში დარწმუნდა და გასცილდა. დრომ განვლო. დავითი ეკითხება:

—თინათინ იქ დედაშენის წლისთავზე შენი ქმარი არჩილი ჩამოსული იყო?

—დიახ, იყო.

—დამე შენ იმასთან ხომ არ გეძინა?

—რატომ უნდა მძინებოდა იმასთან. შენ თავს ჩემ ქმრად გადასცელო შეიძლოთ.

არ თვლი?

—არა, იქნებ ძველი სითბო გაანახლეთთქო.

—ოხ, შე ეჭვიან! რა საზიზღარი ხარ!

—იმასთან ანგარიში გასასწორებელი მაქვს.

—რა ანგარიშები გაქვს გასასწორებელი საძაგლიშვილო?,  
ის ჩამოვცილდა, წავიდა, გადასახლდა, თბილისში ცხოვრობს.

—იმასთან პირისპირ ყოველთვის დამცირებულად  
გამოვედი.

—ეგ არაფერი, ჩემო საყვარელო! მთავრია, ჩვენ  
ერთმანეთი გვიყვარს, დამცირებული შენ კი არა, ის არის, ის  
საცოდავი, რომ ტყბილი ოჯახი დაუნგრიე და ჩემი სახით  
ასეთი ლამაზი ცოლი წაართვი. შემომხედე ხომ ვარ ლამაზი  
გოგო?

—კი, მოსათელად და საბუმბლაოდ კარგი გოგო ხარ.

—შე გათახსირებულო, დავით! ეს არის მთავარი  
კაცისთვის და ქალისთვის, წუთისოფელი სიცოცხლისაა და  
სიყვარულით სულდგმულობს. ღმერთს წუთისოფელში  
სიყვარული დაუწესებია, და სხვა ამაზე კარგი რა არის?

—თინათინ, შე ვირშოთას გაღლეტილო, თუ გაქვს კარგი  
პურმარილი, ცუდია?

—კარგია დავით საყვარელო, ორივე, თუ გვაქვს.  
ცალცალკე მე უფრო სექსს ვამჯობინებ.

—ეე, გიშო, პურმარილია რო გვამაგრებს, ღვინო  
გვახურებს, თუ არა, დასუსტებულებს რა შეგვეძლებოდა.

—დავით, ორივე დიდი გარეუნილები ვართ, არა?

—მე არა, თინათინ, მაგრამ შენ კი.

—არა, დავით. არც მე ვარ გარეუნილი, ცოლ-ქმარს  
შორის რაც ხდება ეს ხომ გარეუნილობა არ არის.

— თინათინ სულ მე ვარ სხვასთან დამნაშავე? შენ არა  
ყოფილხარ?

—არა.

—საავადმყოფოს მთავარ ინჟინერთან ცუდი დრო  
გაატარე?

—უსვინდისოვ, ისიც შენ ჩამიწყვე, ცოლი საიმისოდ  
როგორ გამიმეტე?

—რა მექნა. მოწილედ რომ არ ჩამდგარიყო, ისე გასაღებ მაძლევდა, მე კიდევ, შენგან მონატრებულს, სიყვარული მინდოდა. თუ მაგის გარეითად სხვა არავისთან დრო არ გაგიტარებია, მაშინ ეგეც დაივიწყე და წმინდანად წარსდგები ღმერთის წინაშე.

—დამცინი, საყვარელო, და თან ჩაეხვივნენ. ეშმაკი რომ დაახრჩეს მერე, კიდევ დაიწყეს ერთმანეთის მიზეზების ჩხრეკა.

—შენ, მგონი, მიღიცის უფროს სთანაც დაყვინთე არა? —არა, დავით რა ცილს მწამებ.

—ხოო, ბოდიში. ეგ შენი თავისთვის დიდი შეღავათი გაგიკეთებია.

—ჩემი რომ ჩამოაყოლე, დავით, რატომ შენსას არ იტყვი? იასე სართიჭალელის ცოლთან რომ დადიხარ, ზედ მის ქმარმა რომ წაგასწროს, ხომ ღორივით გამოგჭრის ყელს?

ამის თქმის უმაღვე დავითმა თინათინს ყბაში მაგარი სილა უთავაზა.

—რათ მირტყამ, შე მართლა ტალახში ჩავარდნილო, შეირგე და შემარგე სიყვარულის სიამოვნება.

ამის შემდეგ დაიგდო ფეხქვეშ დამამცირებლად და მიწასთან გაასწორა. მივარდა მეზობლის სხიერი ქალი და დასისხლული თინათინი ხელიდან გამოსტაცა. ვინ იცოდა, თინათინი ამ მდგომარეობაში როგორ აღმოჩნდა, მის ლამაზ ღაწვებზე მონადენი ცრემლები დავითს გულს ვერ ულბობდა. ერთ დღეს არჩილი, დამ, სასაუბროდ თავისთან მიიწვია.

—არჩილ! შვილების გაზრდას რომ ნორმალური პირობები უნდა, ეს თავისთავად ცხადია და შენც, რომ მომვლელი გჭირდება, ესეც იცი. ამიტომ, მომისმინე. ფილოლოგი ქალია გაუთხოვარი, შენზე ხუთი წლით პატარაა, სკოლაში პედაგოგად მუშაობს, ძალიან კარგი ბუნების, საინტერესო ქალია.

—თქვენ სკოლაში ელისო?

—არა, ოცდამეცხრამეტეში.

—არ ვიცი, ჩემო დაო. მე შვილებიანს გამომყვება? და თუ გამომყვა ჩემს შვილებს როგორ მიიღებს? ყურადღებით მოეპყრობა თუ არა?

—დამიჯერე, რომ მოუვლის.

—შენ რა იცი.

—გამოვიტყდები, რომ შენზე მე უკვე ველაპარაკე. მე და ჩემმა მეგობრებმა გუშინ გაკვეთილების შემდეგ ქალაქში ერთად გავისეირნეთ და რუსთაველზე შემომხვდა ნაცნობი დაქალი. ის პედაგოგი იმას ახლდა და გამაცნო თავისი დაქალი, ჩემი ამხანაგი შეეკითხა, ანა შენ ისევ გასათხოვარი ხარო? კიო, უპასუხა. მერე ზედ დააყოლა ნეტა მითხოვდეს ვინმე. მახინჯიც რომ იყოს, გავყვებით, მხოლოდ კაცი ერქვასო. შევხედე მომეწონა. მისმინე კარგად, ძმაო არჩილ, აი, ეს არის დიდად საყურადღებო. ღმერთს წუთისოფელი სიყვარულით დაუარსებია და წუთისოფელის არსებობაში, რაც ღმერთის მიერ არის ჩადებული და რადგან ჩვენ მისი სული გვიღვია და ცოცხლები ვართ, ამ სიცოცხლეში ღმერთის მიერ ჩადებული ყველა საფეხური უნდა გავიაროთო. ეს მისი საუბარი, რომ მომეწონა, მერე მეც გავანდე შენი თავი.

—უთხარი, ორი ბიჭის მამათქო.

—კი, ვუთხარი და ასე მითხრა: თუ გავთხოვდი, ის სხვისი ათიც რომ იყოს, უნდა მოვუარო, მხოლოდ მათთან ერთად ჩემი ნაშობი ერთი მაინც უნდა დადიოდეს, მეც ხომ მინდა დედა ვიყოო, რომ ვალმოხდილს ღმერთთან მიმისვლებოდესო.

—მართლაც დამაინტერესე, ჩემო დაო, შესახედაობით როგორია?

—ბრწყინვალე, ნამდვილი შენი შესაფერისია.

—ესე იგი, მირჩევ, რომ დავქორწინდე?

—გირჩევ, თუ არა დაბეჩავდები.

—ვნახავ ჩემი თვალით, რა იქნება. შვილები უკვე მოზრდილები არიან და ხომ უნდა დავეკითხო, დამთანხმდებიან თუ არა?

ამ დროს დამ და ძმამ ერთიმეორეს სახეში შეხედეს და ჩაიცინეს.

—თუ თანახმა იქნები, ტელეფონზე დავრეკავ და შეგახვედრებ.

—ასე ხელად?

— ეს საქმე რაც უფრო სწრაფად მოხდება, უკეთესია. ოქვესმეტ-ჩვიდმეტი წლისები თქვენ არა ხართ, რომ უკეთ გაცნობის მიზნით ბაღებში დაიწყოთ სიარული.

მეორე დღეს დამ შეახვედრა, საცოლე და ხუთი საათის შემდეგ თორმეტ საათამდე დრო სეირნობაში გაატარეს. მეორე დღე შეაბათი შეუხვდათ, მესამე კვირა დღეც გამოიყენეს და კიდეც მოხდა მათი გაბეჭირება. ბავშვებს კარგად ეპყრობოდა, დედური სითბო აგრძნობინა. ამეცადინებდა მათ სკოლის პროგრამით. ოჯახში სიტყბო სუფევდა. ერთ დღეს დედობილს ბავშვები სკოლიდან შინ რომ მოჰყავდა, დაინახა, რომ თავიანთ სადარბაზოს კარებთან ანასთვის ვიღაც უცხო ქალი დგას. ეს ქალი თინათინი იყო, მაგრამ იმ სილამაზით კი არა, ადრე ღვთის მადლით რომ ჰქონდა ნაჩუქარი, არა, ახლა უკვე ბაღჩა-ბაღჩა ნათრევი თვით შელამაზებულ ეშმაკს გავდა, უნდოდა შვილებს მოფერებოდა, მაგრამ ბავშვებმა სიახლოვეს არ მიიკარეს.

— მოღით, შვილო, დედა ვარ თქვენი, ნუ გამირბიხართ.

— არა, ჩვენ დედა აღარ გვყავს, — ორივემ ერთდროულად უპასუხა. ნებით, რომ ვერაფერს გახდა, იძალავა. ამ დროს არჩილის დამ გაიგო და გამოეხმაურა. ბავშვები შინ შეიყვანეს და თინათინი კარში მარტოდ დატოვეს. მორთო ტირილი, ბავშვები წამართვესო და თან კარებს აბრახუნებდა, გამიღეთო ყვიროდა. შიგნით ბავშვები შიშით კანკალებდნენ. მათი მამიდა დედობილს აწყნარებდა. გარეთ კი თინათინი არ ცხრებოდა. ბავშვები დამიბრუნეთ, არჩილი ჩემი ქმარია. მე მეკუთვნის და არავის არა აქვს უფლება, რომ წამართვასო. მე მიყვარს არჩილი, მასთან ორი შვილი მყავსო.

არჩილამ რაიონის მილიციაში გამოცხადების უწყება მიიღო. უწყებას თან წერილი, ასლდა. წერილში ეწერა, ბატონო არჩილ, დავით საძაგლიშვილი ჩასაფრებით მოკვლას გიპირებს. იმ შემთხვევაში აიცდენ, თუ დავითის მიერ შენს დუელში გამოწვევას მილიცია მსარს დაუჭერს, რა თქმა უნდა იცი. სოციალისტურ წყობაში ამას კანონი კრძალავს, მაგრამ დავითი დაჟინებით მოითხოვს. თუ დუელში გამოწვევა არჩილას არ უნდა? ნება, მომეცით, ტერორით ჩავუსაფრდე და ისე მოკვლაო. თუ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ დუელზე

თანახმა იქნები, მაშინ ჩამოდი მიღიციაში, გაიგებ შეხვედრის უფლებითობის, აღვილს. გეცოდინება რა სახის იარაღით ივარჯიშო. ჩვენც ჩვენი მხრივ ზემდგომ ორგანოებს უნდა შევუთანხმდეთ, ეს გამონაკლისი შემთხვევა რომ დაუშვან.

მაისის ვარდივით ლამაზი ოთხშაბათის დღე იყო. არჩილი და მისი ცოლი ვერის ბაღში ისხდნენ და ტკბილი საუბრით ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ. კარგა ხანს ეფერნენ, ესიყვარულნენ. ბოლო დამშვიდობებაც ამბორით აღნიშნეს. მეორე დღეს კი არჩილა რაიონში მიღიცის უფროსთან გამოცხადდა.

— ბატონო არჩილ, მე რომ გამოგიგზავნეთ, იმ წერილს თუ გაეცანით?

— კი გავეცანი, მაგრამ სოციალისტურ წყობაში ასეთი რამ, რომ არ შეიძლება?

— დაუშვებელია, მაგრამ დავითი ტერორით რომ იმუქრება? თუ თანახმა არ იქნება, მაშინ ჩასაფრებით მოვკლავო. ხო მართლა, გავიგე: სიდედრი გარდაგცვლია, ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, კარგი ქალი იყო. სამართლიანი. მე მომეწონა მისი მსჯელობა. არჩილ, თუ შენ დუელი არ გინდა და თავის გადარჩენა გინდა, იქნება შენთვის ეს ვარიანტი სჯობდეს. ადრინდელი დავითის ცემის სარჩელი აღვადგინოთ და თქვენ დროებით ციხეში მოგათავსოთ. დავითის ცემის გამო ორ წელს მოგისჯით. ერთ წელიწადში ამინისტრიაც მოგიწევს და გამოხვალ. ამით დავითს გული გაუგრილდება, იტყვის სამაგიერო გადავუხადეო და შენ კი სიცოცხლეს შეინარჩუნებ, თუ არა და, ხომ იცი მისი აპირებული ხასიათი? რასაც იტყვის, შეასრულებს.

— მერე წესრიგის დამცველები რას აკეთებთ? მე ამ პატიოსან კაცს ციხეში რომ მიბიძებთ, ის დაიჭირეთ, გამოსასწორებელი ის არის, მე კი არა.

— იმის მიზეზი არა გვაქვს. თუ შენ იცი, დაწერე განცხადება, მეც ახლავე ხელს მოგიწერ და საღამოს დავითი ციხეში იქნება. არ გინდა ასე? მაშინ გვითხარი დუელზე თანახმა ხარ?

— დუელი მაინცდა მაინც სიკვდილს ითვალისწინებს?

—არა, სამი რაუნდია გათვალისწინებული, ორივე სამართლის მხრიდან ერთდროულად თითო გასროლა საკმარისია. ამ სროლით გინდაც გაკაწრული იყოს, ჭრილობიდან სისწლი გამოვიდეს. მაშინვე შეწყდება. თუ ორივეს ნასროლმა ჰაერი გაავეთა, მაშინ იქვე მეორე რაუნდი შედგება. თუ მეორე რაუნდი და მესამეც პირველის მსგავსად დასრულდა, მაშინ ორივე ერთიმეორეს შერიგების ხელს ჩამოართმევთ და დასცილდებით.

—მშვიდობით, უფროსო. არჩილა დაემშვიდობა.

—მოიცა არჩილ, ასლს გაგატან, შიგ დუელის ყველაფერია მოცემული სეკუნდანტი, სროლის სწავლების მწვრთნელი შენ ვინც გინდა, თავათ აიყვანე. ეგ შენი ნებაა. თუ გეშინია ერთი კვირის ვადაში შეგიძლია შემაცვლევინო ცინის ვარიანტით. მე როგორც ვითხარი. მიღიცის უფროსს დაემშვიდობა არჩილი. დალონებული ჩაჯდა ავტობუსში და თბილისში წამოვიდა. შინ რომ მოდიოდა, სადარბაზოში თინათინი დაუხვდა.

—ხოო, ჩემო არჩილ, არ დაგიჭირეს? სად იყავი? მე მეძებდი?

—არა, შენ დავითი დაგეძებს.

—არ მინდა დავითი, ის მცემს.

—ახლა ყვარლიდან მოვდივარ, მე დამაბარა შემირიგდეს და აღარ ვცემო.

—არა, არა, არ მინდა შენ მიყვარხარ.

—გამეცალე, თინათინ, წინ ნუ მეღობები. — არჩილამ გაასწრო, შევიდა თავის სადარბაზოში და კიბეზე უმალვე აირბინა. იმ საღამოსკე ცოლს გააცნო თავისი დუელის ამბები.

—გეშინია არჩილ? შენ გვონია, რომ გაჯობებს?

—არა, მაგრამ იმას სროლაში თავად მიღიცის უფროსი ამზადებს.

—მერე, შენ არ გყავს ისეთი ვინმე, სროლა რომ გასწავლოს?

—მე აქ ვინ მყავს, ახალ ჩამოსახლებულს?

—ნუ გეშინია, გული არ გაიტეხო, ბიძაჩემს ვეტყვი და გამეცადინებს.

—იცის სროლა?

—იცის კი არა, ბრწყინვალედ მოგამზადებს.

—არჩილამ მეორე დღიდან დაიწყო მომზადება. ყვარლის რაიონის მთელმა მოსახლეობამ შეიტყო, რომ არჩილასა და დავითის შორის დუელი დანიშნულია და უნდა შედგეს ივლისის თხუთმეტ რიცხვში. ხშირად სკოლაში გაკვეთილებზე მასწავლებლები ბავშვებთან ამ თემაზე ლაპარაკობენ. გაიყვნენ ბიჭები დავითისა და არჩილის მხარდამჭერებად. ხანდისხან ერთიმეორეში მხარდამჭერებს ჩხუბიც მოსდით. დღეებს ითვლიან. დუელის დღეს დიდი დღესასწაულივით მოელიან. ხმა დადიოდა ხალხში დავითმა გუშინ თავის მწვრთნელს შვიდი დღის განვლილი პროგრამა ხუთზე ჩააბარაო. არჩილის მხარდამჭერები კი დუმდნენ, რადგანაც მისი მომზადების შესახებ არაფერი არ იცოდნენ. ერთ დღეს, როცა რომ შეხვედრამდე თხუთმეტი დღე კიდევ იყო დარჩენილი, რაიონიდან გამოგზავნილი ჟურნალისტი თბილისში არჩილას ეწვია ინტერვიუს ჩამოსართმევად.

— ბატონო არჩილ, თუ გყავთ აყვნილი მწვრთნელი, გვითხარით, რა გვარის კაცია და რაზე მოღვაწეობს?

— ბადრი ლუარსაბიშვილი გახლავთ, წარსულში გამოჩენილი მსროლელი, ამჟამად პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში სპორტული კათედრის გამგეა.

— თუ ხართ მისი კმაყოფილი?

— მე, როგორც მშვიდობის მოყვარე, ამ დუელის მსურველი არ ვარ, არც ამ სახეობის შესწავლისა, მაგრამ რადგან იძულებული გამხადეს, არაუშავრა, მე მგონი სწავლას გავამართოებ.

— როგორ ხარ დავითის მიმართ განწყობილი? დუელის დათქმულ დროს როგორ ელოდები?

— მე ყოველთვის ვცდილობდი დავითს დავხმარებოდი, კარგი გამეკეთებინა, რომ გაჭირვებიდან ამომეცვანა. მაგრამ ვერ დაინახა ჩემი სიკეთე, ან არ უნდოდა დაენახა. ასე ჩანს, რადგან ყველაფერზე ცუდად მიპასუხა, რაც შეეხება სიცოცხლის გამოსალმებას, ყველა დასანანია, მტერიც და მოყვარეც.

— გამადლობთ ინტერვიუსთვის, მე კი დმერთს ვთხოვ, რომ ორივე ცოცხლები გადარჩეთ, კარგად ბრძანდებოდეთ.

ქალაქში ჩამოსახლებულ თინათინს, არჩილას უბანში ჰქონდა სახლი დაქირავებული სანამ ბაზარი თინათინს კარგი ჰქონდა, ცხოვრობდა. პირვანდელი სილამაზე კიდევ მოსდგამდა. ჩასაცმელს ყოველთვის კარგად იხდენდა. ერთხანს ვაჭრობაშიც დაიწყო მუშაობა. მერე კი დამლაგებული გახდა. ასე თუ ისე ლუკმა პურის ფულს შოულობდა და სადაც არჩილი ცხოვრობდა, იმ სადარბაზოს ხმირი სტუმარი იყო. მერე და მერე მოლანდებები დასჩემდა, ქუჩაში ბავშვებს გაეკიდებოდა ხოლმე, ჩემი ბავშვები ხართ, მოდით ჩემთანო. სკოლაში გაკვეთილების დროს ღიმილით შეაღებდა კარგებს, თვალს მოავლებდა ბავშვებს, მასწავლებელს ეტყოდა: ესენი ჩემი შვილები არიანო. რამდენჯერმე თავის ნაშობ ბავშვებს გამოჰკიდებია და ბავშვები შინ შეშინებულები მისულან. მერე და მერე კიდევ უფრო ჭკუიდან გადავიდა, თავში იმისი გრძნობა კი ჰქონდა ჩაბეჭდილი, რომ მას ნამდვილად ბავშვები ჰყავდა, მაგრამ ცნობიერება აღარ ჰქონდა. თუმცა არჩილის სახლი გაზეპირებული ჰქონდა და არჩილასაც კარგად სცნობდა. არჩილამ მეორედ რომ იქორწინა, ანა ფხოველზე, შემთხვევით მის სკოლაში მისივე გაკვეთილზე შესულა, როგორც მოგახსენეთ, ჩვეული ღიმილით, უთქვამს ესენი ჩემი ბავშვები არიანო. ანას სახელი უკითხავს.

—რა გქვია? ჩემო კარგო.

—თინათინი.

—შენ შენი ნამდვილი შვილები გყავს თინათინ? თუმცა იცოდა რომ ჰყავდა, მაგრამ სცდიდა.

—დიახ, მყავს.

—სად არიან?

ხელის მინიშნებით უთქვამს, შენთანო. გაკვეთილის შემდეგ თინათინი ანამ შინ წაიყვანა, აჭამა, დააპურა, ბავშვები მამიდამ გამოაცილა სკოლიდან სახლამდე. ბავშვები იცნო თინათინმა რომ დაინახა უნდოდა შვილებს მოფერებოდა, მაგრამ ბავშვები დედას არ მიეკარნენ. მეორე ოთახში შევიდნენ და ჩაიკეტეს კარგები. ანა შევიდა ბავშვებთან, მოეფერა, აუხსნა, რომ ცოდოა, დედას ნუ გაურბით და ასე მოფერებით მიუყვანა დედას შვილები. თინათინი მოეფერა, ჩაიკრა ბავშვები გულში, თუმცა ხანდახან სისულელეებს გამოურევდა ხოლმე. შვილებო,

მამას დაუჯერეთ, ჩემი ბრალია, მე რომ თქვენთან არ ვარ, გთხოვთ, ანასაც დაუჯეროთ, ანა ჩემი მაგიერია, თქვა და აცრემლდა. ანა მოეფერა, დაამშვიდა, პური აჭამა, დიდხანს ისაუბრეს წასვლისას კიდევ დაანაყრა, ის იყო თინათინი გავიდა კარში, არჩილიც შემოვიდა და შეეკითხა ანას:

— თინათინი ჩვენთან იყო?

ანამ უამბო, როგორც იყო.

არჩილამ გააფრთხილა

— ანა, თინათინს ნუ შემოიჩვევ, ხომ ატყობ, ჰქუაზე აღარ არის.

არჩილს ანამ მზერა მიაპყრო.

— არ გეცოდება, არჩილ?

— არა.

— არა ხარ მართალი, არჩილ, შენ არ გაქვს ცივი გული, სიჯიუტე გათქმევინებს, შენი სახეც გულკეთილობას მკარნახობს.

— ანა, შენ არ იცი, თინათინმა როგორ გამამწარა. პირველად ვაპატიე დედის ხათრით. ვერ წარმოიდგენდი, იმნაირი ქალი თუ იქნებოდა. არ დააკვირდი? ტანი, სახის ნაკვთები თინათინს როგორი მიმზიდველი აქვს, მით უმეტეს, აქა-იქ ნათრევ-ნაგდებია, სილამაზით სულ დედის განსახიერებაა, პატიოსნებით იმასთან შედარება როგორ შეიძლება, თინათინმა თავი ვერ დაიფასა, სიდედრი უნაკლო ქალი იყო. წუთისოფელს რომ სულ იმისნაირი ქალები ჰყავდეს, მაშინ ღვთისმშობელი წუთისოფლის ხშირი სტუმარი იქნებოდა.

— არჩილ, თინათინს პური შიოდა, დავაპურე და ბავშვებს მოეფერა.

— ანა, ჩემო საყვარელო, გიმეორებ: თინათინს ნუ შემოიჩვევ.

— არჩილ, საყვარელო, მე მგონი, კარგი გავაკეთე და ნუ მიბრაზდები. მოფერებით არჩილამ ორივე ხელები წელზე შემოაჭდო და საალერსოდ, საკოცნელად მიიზიდა.

— არა, ჩემო კარგო, არ გიბრაზდები, მე როდის ვიცი გაბრაზება?

— არჩილ, შვილების დედაა, ცოდნა, არ გახსენდება მასთან რომ გავიტარებია?

— ის, გენაცვალე, წარსულს ჩაბარდა, ახლა შენი უფრო მწვავს და მდაგავს. კარები ჩაკეტეს და სიყვარულის საბურვებში გაეხვივნენ.

სოფლად, რაიონში, შინ და გარეთ, ორი კაციც რომ იდგეს, სულ დუელზე ლაპარაკობენ, ასევე — სკოლაში, გაქვეთილებზე.

— მასწავლებელო, ორივემ ერთდროულად უნდა ისროლონ?

— დაის, ბავშვებო, დუელი იმისაა, რომ ორივემ ერთდროულად უნდა ისროლონ.

— მასწავლებელო, ხომ შეიძლება მიზანმა გაუმართლოთ და ორივენი მოკვდნენ?

— კი, ბავშვებო, როგორ არ შეიძლება? სრულიად მოსალოდნელია!

— მაშინ, მზია, შენ ორი საფლავის გაჭრა მოგიწევს.

— კუკა მესაფლავეს მაძაშენი უფრო გავს და მესაფლავეობა შენ უფრო მოგიხდება.

— კარგი, რას შაყირობთ, ცოდნი არ არიან? — შებრალება გამოხატა ნანიძ.

— მასწავლებელო, მაგათი შერიგება ხომ შეიძლება.

— როგორ არ შეიძლება, ბავშვებო, მაგრამ ერთი ჯიუტია და მეორეს დუელში ძალით ითრევს.

— რომელია ჯიუტი, მასწავლებელო? არჩილი თუ დავითი?

— ეგ არ არის, ბავშვებო, ჩვენი გასარკვევი. თქმა არ შეიძლება

— რა ცოდნი არიან მაგათი მშობლები, არაა მასწავლებელო?

— მშობლები არცერთს არ ჰყავს ცოცხალი. მარტო არჩილს ყავს მეორე ცოლი და პირველ ცოლთან ორი შვილი.

— ღმერთმა დაიფაროს, მასწავლებელო და დავუშვათ ამ დუელში არჩილი მოკვდა, მისი ორი შვილი ცოდო არ არის?

— ცოდნა, ბავშვებო, მაგრამ ყველა ცოცხალი თქვენნაირად არ ფიქრობს.

—მასწავლებელო, არჩილას მომხრეებს და დავითის შეუძლებელობებს მეზუთე პლანზე კინაღამ ერთმანეთი დაუხოციათ.

—რატომ? რაზე მოსვლიათ ჩეუბი?

—ურნალისტს არჩილისაგან აულია ვითომ ინტერვიუ და ასე უთქვამს, ყოველ მეცადინეობაზე ჩემი მწვრთნელი ჩიტს ამიტორენს ხოლმე და მასროლინებს, მეც იმყიათად, რომ გავაცდინო. დავითის მომხრეებს უთქვამთ, მე წავიკითხე ის გაზეთი, რომელშიც მისი ინტერვიუ იყო. იქ ასე არ წერია, საერთოდ იქ ჩიტები არ არის ნახსენები. საიდან მოიტანე ეს ჭორიო, ამაზე მოსვლიათ ჩეუბი.

—რა დიდი სისულელეა, მაგათი მოქმედება არაა მასწავლებელო?

—ხო, რა თქმა უნდა, სისულელეა! ღმერთმა სული ჩაგდერა, სიცოცხლე მოუკა, დაგანახა წუთისოფლის საოცრება, ცა, დედამიწა, ბუნება, მზე, ვარსკვლავები და ღმერთმა გითხრა აი რა შევქმნი შენთვის, ადამიანო. დამაფასე და ეს მაღლიც შეირგეო. გახსოვდეთ, ღმერთის გარეშე სიცოცხლე არარაობაა, ბავშვებო.

არჩილი მეცადინეობიდან გვიან დაბრუნდა. შეხვედრამდე ორი დღე დარჩა, ანამ შესანიშნავი ვახშამი მოუმზადა, პირველი, მეორე ხორციანი თავის ნამცხვრებით.

—არჩილ, მოდი ახლა ვივასშმოთ, მოშიებული ვარ და შენ გელოდები.

—ანა, მე რომ არ მშია?

—რატომ არ გშია? სად იყავი და რა ჭამე?

—არაფერი არ მიჰყამია.

—მაშ რატომ არ ჭამ, საყვარელო? დუელის შიშმა ხომ არ გძლია?

—არა, საყვარელო. მე სიკვდილის არ მეშინია. ის მადარდებს, შენ რომ ვერაფრით ვერ გაგახარე. ჯერ კარგათაც არ მიცნობ და გშიშობ არ დამიქვრივდე. ვნანობ რათ დავაჩქარეთ ჩვენი შეუძლება.

—თუ სანახებელია, ჩემო არჩილ, ჩვენი გაბედნიერება, ამას პირველ რიგში მე უნდა ვნანობდე, მაგრამ არ ვნანობ. დადგა ის ავბედითი დუელის დღე. ყოველი მხრიდან მიმავალი ხალხი კოპალის მისადგომებთან იკრიბება. თბილისიდან

არჩილის მხარდამჭერებიც ჩავიდნენ. ჩავიდნენ სეკუნდანტები, მწვრთნელები, მექანიკები, მასალა მოამარავეს, ორივე თუ არა, ერთი მაინც მოკვდებაო. ხალხის ჭორებით თუ ვიმსჯელებთ, თითქმის მოსული ხალხის სამოცი პროცენტი დავითს გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. დაიწყო ტკივილიანი წუთები. პირისპირ დაყენეს დავითი და არჩილი. მათ შორის ინტერვალი თორმეტი მეტრია. კომისიის წევრები გვერდით მაგიდას უსხდნენ. არჩილას და დავითს მისცეს მაკაროვის ტიპის პისტოლეტები, თითო ვაზნით, როგორც წესდებით იყო გათვალისწინებული. სეკუნდანტი დგას კომისიის წინ, იმას უჭირავს სპორტული ნაგანა. დამსწრე, მაყურებელი ხალხი ორივე მხარეს დუელის ხაზიდან ოც-ოცი მეტრის დაშორებით დასწიეს. სეკუნდანტმა დუელის მონაწილეებს უბრანა ნაგანა მიზანში მოეყვანათ. სეკუნდანტი დასცერის წამზომს, სპორტული ნაგანა შემართული აქვთ, სპორტული ნაგანის გასროლის დროს ერთდროულად უნდა მოახდინონ თითის გამოკვრა. დაბაძული მდგომარეობაა. საათის სეკუნდის სტრელკამ უკანასკნელი შემოვლა დაიწყო. გავარდა სპორტული აყვნენ მაკაროვის პისტოლეტებიც. ბედად ორივე გადარჩა. უშედეგოდ დამთავრდა პირველი რაუნდი. ათი წუთის შემდეგ მოამზადეს მეორე რაუნდი, კვლავ დაიძაბა მდგომარეობა, გავარდა სანიშნესთან ერთად მაკაროვის ტიპის პისტოლეტებიც, დავარდა დავითი, დავარდა არჩილიც, დავითი მძიმედ დაჭრილი აღმოჩნდა, არჩილს მხოლოდ გული წაუვიდა. ძლივს მოასულიერეს. დავითი კი სასწრაფო მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს. შემოეხვივნენ არჩილას მომხრები, ხალხი გადარჩენას და გამარჯვებას ულოცვდა. ტაქსით იყვნენ თბილისიდან ჩამოსულები ანას ბიძა ბადრი, არჩილი მისი და ელისო. იმათ რომ არ გამოესწროთ დავითის მომხრები ისე აღელდნენ, რომ ქვით ჩაქოლავდნენ, ზოგი იმასაც კი კისრულობდა, დავითმა ვერ გაიმეტა პირდაპირ, რომ ესროლაო და ჰაერში გაცალაო. ჩარექას უთქვამს არჩილი უფრო პუმანურია, ვიდრე დავითიო. ამის გამო ცემით ლამის მოუკლავთ არჩილის მომხრებს, ხელიდან ძლივს გაუგდებინებიათ. შვიდი დღის შემდეგ არჩილის სახელზე რაიონიდან წერილი მიიღეს. მილიციის ხელის კალიგრაფიით

დასტამბული, არჩილი საღამოს რომ მოვიდა, წერილი მაშინ დაუდიოთ გახსნეს და წაიკითხეს.

ბატონო არჩილ, მე ყვარლის რაიონის მილიციის უფროსი, რეზო კვეწერელი გახლავართ კარგად იცი, რომ წესრიგს ვიცავ და სიძართლეს ვემსახურები. გაცნობევ, რომ დავითი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია. მართალია, საბჭოთა კავშირში მკურნალობა უფასოა, მაგრამ ის ძვირად ღირებული უცხოური წამლები, რომლობიც დაჭრილს ესაჭიროება, საავადმყოფოს არა აქვს და გთხოვთ, მის სასყიდლად ფული გამოვზავნოთ, ექვსასი მანეთი. იქნებ თქვენ შეგიძლიათ წერილში აღნიშნული დეფიციტური წამლები თქვენვე შეიძინოთ და გამოუგზავნოთ. დავითი თუ ამ წამლებით გონს მოვიდა, ჩვენ ვეტყვით და გული შენი სიკეთით დაუტკბება.

არჩილამ წაკითხვა რომ ჩაათავა, დაფიქრდა და მიმართა ანას.

—ანა, თქვენ რას იტყვით, ფული გავუგზავნო, თუ არა?

—რატომ უნდა გაუგზავნო, არჩილ? სულელებად, ხომ არ გვთვლიან?

—ანა, საყვარელო, ის ტვინით უბედური სასიკვდილოდ ცოდოა.

—მე შენი მიკვირს, ჩემო არჩილ, არ ვიცი მკერდში რა გული გიძევს, დავითი დღემდე შენს მტრობაშია, ყველანაირად ცდილობს, რომ სიცოცხლე მოგისპოს და შეძლო კიდეც გაგიმწარა ტკბილი ოჯახი, წაგართვა მეუღლე, ეს არის ვაჟკაცისათვის ყველაზე დიდი დამცირება, ამაზე მეტი სხვა რაა, თუ არა, სიკვდილი, მიწასთან გასწორება, მეტი არაუერი, ჩემო საყვარელო. გიმეორებ: ხომ არ გეშინია?

—არა, ანავ.

—მჯერა შენი. მაგრამ რატომ უნდა გეშინოდეს, როცა იმ ნაძირალასთან შენ ყოველთვის მართალი ხარ და ღმერთიც შენს მხარეზეა. ეგრე არაა, ჩემი საყვარელო?

—ხო, ანა, ჩემი გულის გამხარებელო.

—არჩილ, წამო, ბაზარში წავიდეთ, ხვალისთვის ყველაფერი დღეს ვიყიდოთ. ხვალ ცხრამეტ აგვისტოს ფერიცვალობაა. ამაღამ გავაკეთებ ყველაფერს. მერე მარიამობა მოდის ეკლესიაში სანთლებს დავანთებთ.

ამბობენ, დავითი სიკვდილს გადაურჩა, გონზე მოსულდა სულ იმაზე ნერვიულობს, არჩილამ როგორ მაჯობაო.

— ბატონო რეზო, მე რომ ნაგანა მეჭირა, ის გასინჯულია? მიზანში სწორედ ისვრის?

— დიახ, დავით, ის ნაგანა რაიკომის მდიღნის პირადი დამცველისულია. იმით რამდენიმე კაცია მოკლული.

— მიკვირს, თორმეტ მეტრში როგორ ავაცლინე?

— არ ვიცი, დავით. მე როგორ გითხრა? შეიძლება ნერვიულობამ გიღალატა.

— ხვალიდან ხირურგი საავადმყოფოს ეზოში გასვლის უფლებას მაძლევს, თქვენ კი ჩემთ ბატონო ორი ცალი ნაგანა უნდა მომიტანო, იქიდან მე შევარჩევ რომელიც გამომადგება.

— რა გინდა, დავით, კიდევ ემუქრები?

— მაშ როგორ, ბატონო რეზო? შენ რომ ქალი მოგეწონა, ის ქალი მითომ მე ცოლად მინდოდა, ის ისევ მაგას დაუბრუნდა.

— მერე არჩილი შეურიგდა?

— ალბათ, შეურიგდა თუ არა, ერთად არ იქნებოდნენ.

— აფსუს, მისი სიყვარულით რომ ვერ ვისამოვნე. ის დღე ვერ ვისარგებლე, არა და, არჩილა იმ ქალის მეუღლე იმ დროს კამერაში მყავდა ჩასმული.

— მე ხომ გითხარი, ძალიან ლამაზი ქალია და შენთან თუ მოვიდა უყურადღებოდ არ დატოვო მეთქი?

— ის ქალი მაშინ მოვიდა ჩემთან, როცა, რომ თანამშრომლების შეკრება მქონდა.

— რის შეკრებ-შემოკრება, ათი-თხუთმეტი წუთი რომ მოგეცადა მისთვის, დღეს სანანებელი აღარ გექნებოდა. რაც არის, არის, ახლა მაგაზე ლაპარაკი გვიანია. ის უკვე თბილისშია.

ბაზრიდან გამოსვლისას არჩილას და ანას წინ შემოეგებათ თინათინი. არჩილამ ეცადა თავის არიდება, მაგრამ თინათინი წინ გადაუდგა.

— სად გამირბი არჩილ, შე უსვინდისო, ანა! მე ამის ცოლი ვიყავი. ეხლა კი ჩემთან ლაპარაკიც არ უნდა. შე უსვინდისოვ, ჯერ მარტო იმაში ვარ დასაფასებელი, რომ ქალიშვილი გოგო შენ ხელში დავქალდი. ორი შვილი

გაგიჩინე, ორი ვაჟკაცი შენი გვარისა. ახლა თუ შენობენ გადამიხდია?

გულმოსულმა თინათინმა დახუნწლული ცრემლები გადმოყარა, არჩილ ბინიდან მაგდებენ, ქირა ვერ გადამიხდია. ეკლესიაში მოვედი, იქნებ მოწყალების სახით ფული მოვკრიფომეთქი. ჩემთვის დიდი დახმარება იქნება, თუ ქირას გადამიხდი, ბატონო არჩილ.

—თინათინ რამდენი მანეთი გაქვს გადასახდელი? შეეკითხა ანა.

—ოცდახუთი.

—მიეცი არჩილ.

—ხურდა არა მაქვს.

—რამდენიანი გაქვს?

—სამ თუმნიანი.

—მიეცი.

—იქნებ არ აიღოს. არჩილამ თქვა და თინათინს ფული გაუწოდა. გამორთმევის დროს ერთიმეორეს თინათინმა და არჩილამ თვალებში შეხედეს. თინათინმა ფული ჯიბეში ჩაიდო და გულმოსულმა უთხრა

—ახლა ანას ვაკოცებ, არჩილ და შენ არა, მივიდა, ანას აკოცა და უთხრა: —კარგი ქალი ხარ, ანა, გთხოვ კარგი შვილები გამიზარდე. არჩილ გულს არ დაგწყვეტავ, შენც გაკოცებ, მერე ქირის გადახდა იქნებ კიდევ დამჭირდეს. შენი იმედი მაქვს, მერე ყურით მოქაჩა არჩილის სახე და ისე აკოცა, თან ჩასჩურჩულა

—მე ვტყუივარ, არჩილ, შენთან და ეშმაკთან არ გამაგზავნო, ახლა შევალ, შენს და ანას სახელზე ქაშუეთში სანთლებს დავანთებ.

გახარებული თინათინი წავიდა ეკლესიაში. მკლავში ხელგაყრით ანა და არჩილი კი სიცილით შინ წამოვიდნენ. როცა ივახშებს, ელისომ მაშინ მიაწოდა ძმას წერილი და თან დააყოლა: ის ნაძირალა მორჩენილა და მეორედ გიწვევს დუელში. არჩილს უცებ შიშის ფერმა სახეზე გადაუარა და ის წითელლოყება არჩილი სულ გაფითრდა. წერილი გამოგზავნილი იყო დავითის მიერ, მაგრამ შიგ ჩადებულ



დებულებას ხელს რაიონის მილიციის უფროსი კვეთი  
კვეწერელი აწერს. წერილის ტექსტი ასეთია.

— ბატონო არჩილ, მიუხედავად იმისა, რომ მე კვლავ  
დამარცხებული ვარ შენგან, მე, ისევ დუელში გიწვევ, არ  
მოვეშვები, სანამ ჩემ ვაჟეაცობას არ დაგიმტკიცებ. წაიკითხე,  
დებულებაში ყველაფერია მოცემული. იმ დუელთან შედარებით  
განსხვავებულია მხოლოდ ის, რომ არა ორივემ ერთდღოულად,  
როგორც მაშინ, არამედ მანძილი თორმეტის მაგივრად ახლა  
ჩვენს შორის დუელის მანძილი თხუთმეტი მეტრი იქნება და  
იმავე ნაგანით პირველად მე უნდა გესროლო. თუ სრულიად  
ცოცხალი უმტკიცნეულოდ გადარჩი, ან შეიძლება მოგხვდეს  
ტყვია, მაგრამ ისეთ ადგილზე გაგიაროს, რომ შეგეძლოს  
ჩემთვის სროლა, მაშინ მსაჯის მითითებით უნდა მოემზადო და  
მისი ნიშნის მიცემით მესროლო, თუ ამაცდინე და ორივე  
გაუკაწრავად გადავრჩით, მეორე რაუნდი და თუ მეორეც  
უშედეგოთ დამთავრდა, მაშინ მესამე რაუნდი ჩატარდება. თუ  
არ იქნები ასეთ რაუნდებზე თანახმა, მაშინ კვლავ ჩასაფრებით  
გაგიხვრიტავ მაგ ტვინს. ორ დღეში მაცნობე, თუ უარს ამბობ,  
ექვს დღეში მოგითავებ. გირჩევ დამთანხმდე, ორ თვეს მაინც  
იცოცხლებ ჩვენს შეხვედრამდე.

არჩილი შიშმა შეიპყრო, ნერვიულობამ იმძლავრა მის  
არსებაში.

— დავითს რა უნდა ჩემგან? რას ჩამომეკიდა?  
მაინცდამაინც უნდა მოვეკვლევინო?

— ნუ გეშინია, ჩემო არჩილ, ღმერთი შენსკენაა. იმას  
ეშმაკი ამოქმედებს. მოდი ახლავე ჩემს ბიძას ბადრი  
ლუარსაბიშვილს დავურეკოთ.

— მეხათრება, აღარ მინდა ის კაცი კიდევ შევაწუხო.

— ეს რა შეწუხება? მე დავრეკავ. თქვა ანამ, აკრიფა  
ტელეფონის ნომერი და ყურმილი გადასცა არჩილას: — აღო,  
რეზო ბრძანდებით? გამარჯობა, ბატონო რეზო, არჩილი  
გაწუხებთ. ერთი სათხოვარი კიდევ მაქვს. ის ნაძირალა  
დავითი გამოკეთებულა, მე რომ დუელის დროს დავჭრი და  
ახლა ხელმეორედ მიწვევს პირველისაგან განსხვავებული  
დებულებით. დებულებაში მოცემულია, რომ პირველად იმან  
უნდა მესროლოს და თუ გადავრჩი მერე მე უნდა ვესროლო.

—არა, ასე არ იქნება, არჩილ.

—ეგრეთ, როგორც გითხარი, ბატონი რეზო.

—თუ ასეა, უარი თქვი.

—უარი რომ ვთქვა, მერე ტერორს მიწყობს.

—უარი თქვი ამ მეორე ვარიანტის დუელზე და შენც გადადი ტერორზე.

—არა. მე დამიჭერენ, ასე რომ მოვითხოვო.

—მაშინ ჩვენ მაგ ვარიანტის დუელზე პროტესტი დავწეროთ და მოვითხოვოთ პირველი როგორც იყო.

—დავითს მიღიციის უფროსი მფარველობს და მე მგონი პირველი დუელის ვარიანტს ვერ მივაღწევთ.

—ჩვენ ჩვენსას ვეცადოთ, თუ არ გამოვიდა, მეორეს ვერ ავცდებით.

ხუთშაბათის დღეს წვიმდა. თინათინი ანასთან სკოლაში მისულა.

—ანავ, საყვარელო, ამ წვიმაში აქეთ მოვხვდი და ქოლგა გექნება, მათხოვე.

ანამ მიაპყრო ყურადღება და გაუღიმა.

—როგორა ხარ თინათინ? — ჰკითხა და მივიდა ახლოს, გადაეხვია, აკოცა.

—კარგად საყვარელო, თინათინმაც კოცნით უპასუხა. იცი, ანა, თქვენი დიდი მაღლობელი ვარ.

—რაზე, თინათინ?

—ქირის გადასახდელი ფული არჩილს რომ მოაცემინე.

—არა, თინათინ, არჩილი ფულს უჩემოდაც მოგცემდა. დაგინახა თუ არა, მითხრა თინათინს ფული უნდა მივცე, დავეხმარო.

—მართლა?

—დედას გეფიცები.

—არჩილი ხომ კარგი კაცია?

—კარგი, თინათინ, თანამედროვე!

—ვაი, რომ კარგია და ვერ შევიფერე. თქვა და აცრემლდა.

ანა გადაეხვია, მოეფერა, ცრემლები შეუშრო, დააწყნარა, დაამშვიდა და ორივე ერთ ქოლგას შეფარუბული შინისაკენ

ერთად წავიდნენ. სახლს მიახლოვებულ ანამ თინათინი მიიპატიეა.

—წამო, თინათინ, ჩემთან ვისადილოთ. მე მშია და ალბათ შენც მოშეიბული იქნები.

—არა, ვერ წამოვალ. ისე კი, გამოგიტყდები, მართლაც მოშეიბული ვარ, მაგრამ არჩილის მეშინია.

—არა, მე გთხოვ და უნდა წამოზიდე.

ანამ თინათინი დაიყოლია.

—უიმე, ანა, რა კეთილი ხარ. ჩემი არ გეშინია, რომ ქმარი წაგართვა? თანაც, ძვონი, ფეხმმიმედა ხარ, არაა?

—არა, მაგის საშიშროება ნაძღვილად არ მაქვს, იმიტომ რომ ასეთ რამეს შენ არ ჩაიდენ და არც არჩილი იზამს.

—მართლაც კარგი ქალი ხარ, ანა და მისარია, რომ შენ შეხვდი არჩილს, ჩემგან გაუბედურებულს. ამას წინათ ელბაქიძის დაღმართზე მოვდივარ, მხარზე გადაკიდებული მაქვს ჩანთა, თურმე მომდევს უკან ვიღაცა ნაძირალა და მისნის სუნკას, სრულიად შემთხვევით შეუნიშნავს არჩილას. ქურდს, რომ დაუახლოვდა, შეშინდა და მომცილდა. იქ უცებ მეორე ნაძირალა. ქურდის დამცველი გამოჩნდა. დაახლოებით, თვრამეტი-ოცი წლისამ, უთხრა:

—არაფერია, გაეხუმრა, ხომ არ ამოუღიაო?

—არ ამოუღია, მაგრამ რატომ უნდა ამოგეღოთ? მე რომ ხელი არ შემეშალნა ხომ ამოიღებდით?

—ესე იგი, გვონია, რომ შენი შეგვეშინდა?

—ერთერთმა უთხრა არჩილს და მეორემ კი სახეში ხელი გაარტყა არჩილას. მე წყველით გავიწიე მისკენ, არჩილამ არ გამიშვა. მითხრა: შენ შენი გზით წადიო. მოულოდნელად თავი ჯერ პირველს რომ დაარტყა უმაღვე მიწაზე დავარდა, მეორეს ფეხი და მუშტი ერთდროულად მოარტყა და ისიც იქ მოუწვა. არჩილს ცხვირიდან სისხლი მოსდიოდა. მე მინდოდა სისხლი ჩემი ცხვირსახოცით შემეშრალებინა, მაგრამ ახლოს არ მიმიკარა, მითხრა: შემეშვი, მეჩეარებაო და წავიდა. მე იმ ბიჭებს მივუტრიალდი, გაკვირვებულები შემეკითხნენ: ვინ იყო, ეს რა უცებ მოგვითავაო. მეც ვუთხარი, ჩემი ქმარი იყო მეტქი. შემეკამათა

—შენი ქმარი არა, ეგ შენ არ შეგირთავდაო

—შემირთო. ადრე იცი, რა ლამაზი გოგო ვიყავის ჩემი კონტაქტის გადასაცემის მიზანით მოხდებოდა, მე მაგასთან ორი შვილი მყავს და ახლა მაგასთან არიან-მეტქი.

—მერე მიზეზი რა იყო თქვენი გაცილებისაო? —  
შემეკითხნენ.

—ჩემი ბრალიათქო, ვუპასუხე. მე ვუღალატე და არ მაპატიათქო.

—ზო, ვაჟკაცი ყოფილა. მითხრა ჯერ ერთმა.

—ნამდვილად, რომ ვაჟკაციაო. მერე მეორემ თქვა.

—რომ წამოდგენენ ანა, პირველმა მოვარდნილი სამი კბილი დაითვალა, მეორემ ორი. მე ახლა წავალ ანა. არჩილი არ მოვიდეს და ჩემი გულისხვის არ გაგამწაროს.

—არა, არაფერს იტყვის, ნუ შიშობ, ის კი უნდა გითხრა, ძალიან დარდიანი მყავს არჩილი.

—რატომ?

—შენმა მეორე ნაქმარევმა, დავითმა მეორედ ძალიან საბედისწერო დუელი დაუნიშნა.

—ის ნაძირალა, კიდევ არ ისვენებს? ცოლი წაართვა, გზაგვალი აუბნია და ახლა უფლის მიერ ნაბობი სულის წართმევას ფიქრობს? მაგრამ მე მჯერა, რანაირი დუელიც არ უნდა იყოს, მაინც ჩემი არჩილი გამარჯვებული გამოვა, ანა. ზომ არ გწყინს ჩემს არჩილს რომ ვამბობ?

—არა, გატყობ ძველი სიყვარული ასე გათქმევინებს.

—ზო, მართლი ხარ. ჩემო ანა, არ დამიმალო ფეხმძიმედა ხარ?

ანამ ღიმილით უთხრა, დიახ თინათინ. კარგია შენი საკუთარი უნდა გყავდეს, მხოლოდ ჩემი შვილები არ დამიჩავრო.

—არა, თინათინ ნუ გეშინია.

—რა ბედნიერია არჩილი, შენ რომ შეუხვდი.

—არჩილისა და ბადრი ლუარსაბიშვილის ცდამ შედევი კერ გამოიღო, მეორე დუელის პირველის ვარიანტით შეცვლის შესახებ. ამის მიუღებლობამ არჩილი უფრო გაანერვიულა, დუელის შიშმა ძილი გაუფრთხო, თუ ჩაეძინებოდა, გულს

ჩაყოლილი შიშის სინდრომით უცნაურ სიზმებში ეხვეოდა და გადასაცავი.

—რა იყო, რა დაგემართა, წინასწარ რა გულს იტეხ?

—არა, საყვარელო, მე ჩემს თავს არ ვნაობ, ჩემი სიკვდილით შენ და ჩემი შვილები არ გაუბედურდეთ, ამაზე ვფიქრობ. იმავე დღეს არჩილამ დავითის მხარდამჭერისგან წერილი მიღო. გახსნა და წაიკითხა.

—აი, რა ეწერა ბარათში: ბატონო არჩილ, მე დავითის მხარდამჭერი ვარ, კი არ გაშინებ, წინა დუელზე გავპაზორდი, შენ აჯობე, მაგრამ ახლა ვერაფრით დაგამშვიდებ, რადგან დავითს სროლაში სამი მწვრთნელი ჰყავს მიჩნილი. უურნალისტმა დავითისაგან ინტერვიუ აიღო და ასეთი პასუხი გასცა. მთელი ამხნის მანძილზე მისგან დამარცხებულმა ახლა სისხლის აღებით უნდა ვაზღვევინოო. გუშინ ათი ვესროლე და ათივე ათიანში მოვარტყიო. ახლა ტყვიის კალიცოში გაძრენაში უნდა ვივარჯიშოო. ერთი სიტყვით, შენი სიცოცხლე დამთავრებულია და თუ რამე ფული გაგაჩნია, ანდერძით დაუტოვე ვისაც გსურს. —წერილის კითხვა ჩაათავა არჩილამ და გული წაუვიდა. სასწრაფოს გამოუძახეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს. დღეები კიბის საფეხურებივით ჩაათავდა, დუელამდე ხუთი დღე დარჩა, თუმცა არჩილს მწვრთნელი არ აუყვანია და არც ნანობს, მხოლოდ ღმერთს ეხვეწება.

—ღმერთო, თუ სიკვდილი დავითის ხელით მიწერია, გთხოვ აქ საავადმყოფოში ავადმყოფობით მომკალი, რომ იმან თავისი ხელით ჩემი სიკვდილი არ იზეიმოს. შემისრულე, მე შენი ყმა გვევდრები.

სოფელში დავითის მომხრეებთან ხმა დააგდეს, არჩილი ავადმყოფობას იმიზეზებსო. უნდა, რომ სიცოცხლე გაიხანგრძლივოსო, არჩილის დამ ელისომ ძმის სახელზე გამოგზავნილი წერილი მიღო და საავადმყოფოში მიუტანა. გახსნა არჩილამ, დაიწყო წაკითხვა: ბატონო არჩილ, გავიგე, რომ დავითის მხარდამჭერ-ვიღაცას შენთვის გამოუგზავნია გამაღიზანებელი წერილი, ვითომ დავითს სამი მწვრთნელი ყავს და მორიგეობით ამზადებენო და ისეა მომზადებული, რომ კალიცოში ტყვიას აძვრენსო. არ შეგეშინდეს. ეგ სულ

ჭყუილია. სამი კაცი არა, ათი მწვრთნელი, რომ დაუყენებული სამი თვის მეცადინეობის შემდეგ ისევ ის შტერი დავითი იქნება. ისე რომ სხვის მოჩმაზულ გამაღიზიანებელ ჭორებს არ აჰყვე. მე მჯერა, დარწმუნებული ვარ, რომ კვლავ შენ გაიმარჯვებ. არ იდარდო, წერილს ხელს აწერს შენი ჩარექა. ამ საქმის მოთავეები რაიონის მილიციის უფროსი რეზო ქვეზერელი და გამომძიებელი დათო მასხარაშვილი ჭყუილად ბჭობენ.

—ბატონო რეზო, ხვალ დუელის დღეა, თუ არ მოვიდა ავადმყოფობის ფორმა პირველი, მე დავით საძაგლიშვილი გადავდივარ ტერორზე.

—არა, დავით, ეგრე არ არის, იმას იქნება გამოგზავნილი აქვს, საავადმყოფომ დააზღვია და ქვითარს კი ინახავს. იმით მოგვიგებს.

—მითხარი, როდემდე უნდა ველოდოთ?

—სანამ გამოწერენ, ყალბია მისი ავადმყოფობა, თუ ნამდვილი, ამას მოცდა უნდა. დასასრული კი ყველაფერს აქვს. ამ საუბარში იყვნენ, რომ მიიღეს საავადმყოფოს მიერ გაგზავნილი წერილი. გახსნეს საავადმყოფოს ფურცელში დიაგნოზი იყო მიკრო იმფაქტი. წერილში მოცემული გადავადებაა ექვსი დღით, ესეიგი შიგ წერილში გასაგებად ეწერა დუელის დღე. შეგიძლიათ გადაიტანოთ ექვსი დღით წინ. სამი დღე უნდა მის გამოჯანმრთელებას. სამი დღეც შესვედრის სრულყოფილი ფორმა რომ აღიდგინოს.

წინა დღეს ხდება ეს ამბავი, როცა მეორე დღეს არჩილის და დავითის შეხვედრა იყო დანიშნული. რა თქმა უნდა, მშვიდობის მოსურნენი ამ დღეს გლოვის დღეთ აღიქვამდნენ, მაგრამ აინტერესებდათ, ამ ორთაბრძოლაში რომელი მოკვდებოდა, დასასწრებად ემზადებოდნენ ბოროტების სანახაობის მსურველნი. თავისთავად კეთილისმსურველებიც ბევრნი იყვნენ. საათი დაძაბულ წუთებს ითვლის. არჩილი განერვიულებულია, პირელად დავითის გასროლას ვერ ეგუება. დავითის მხარდამჭერებისგან გამაღიზიანებელი წერილები კვლავ მოსდის. ზოგ წერილში ისეთი ბინბური სიტყვებია ნახმარი, არჩილს წერილის წაკითხვის მომენტში ავტორი წინ რომ მდგარიყო, აღბათ შუაზე გაგლეჯდა. თუმცა

თავისი მომხრეებისგან ბევრ გულგასამაგრებელ წერილებსაც  
ღებულობს.

—ათასცხრაასოცდაცხრამეტ-ორმოც წლებში ყვარელი  
მეთამბაქოების რაიონად ითვლებოდა. ამ წლებში მამაჩემი  
ბრიგადირად მუშაობდა და თამბაქოს მოყვანა გეგმით იმჟამად  
ჩვენც გვქონდა გაპიროვნებული. დაკრეფილი ასანემსად  
სოფლის თავში მდებარე ათუჯრედიან თამბაქოს საშრობ  
სარაიაზე გვქონდა მიტანილი. კვირა დღე იყო. დედაჩემის პური  
უნდა გამოცხოვ და ბავშვი, რადგან დაინტერესებული ვიყავი  
თამბაქოს ანემსით, მე გამაგზავნა. იმ სარაიდან მამაჩემის  
ბრიგადას სამი უჯრედი ეკუთვნოდა და ამ უჯრედში იყვნენ  
მამაჩემის ბრიგადის ხალხი, როგორც ქალები, ისე კაცები.  
კაცები რამკებიდან გამხმარ თამბაქოს ხსნიდნენ და თოკებზე  
ანემსილ ახლებს აბამდნენ. დღის თორმეტი საათი იყო, რომ  
სოფელ საცხენის ტყიდან თოფის შვიდი-რვა გასროლის ხმა  
შემოგვესმა, მიუხედავად იმპერიული იმ დაწყევლილი წლებისა,  
ხალხმა მაინც გაიკვირვა. ეს გასროლები მონადირისას არ  
გავხო. ეს დღე გადატანილი დაწყევლილი დუელის წინა დღეა.  
სამი-ოთხი ხნიერი ქალი იმ სროლის ხმაზე ატირდნენ,  
მიხვდნენ, რომ გასროლილი ტყიდით ვიღაცის გული  
განგმირეს. მომტირალი ქალები, ისე შეწყობილად და ისეთი  
გულამაჩუებელი სიტყვებით ტიროდნენ, რომ ამჟამად  
სამოცდაცხრა წლის კაცი ვარ და მე ჯერაც ჩემთვის იმ  
უცნობზე მგლოვიარე ქალების ამაღლვებელი სიტყვები და  
ხმები, გულს ჯერაც მეხსიერებიდან არ ამოუშლია. ამ ხნის  
მანძილზე ბევრის დასაფლავებაზე ვყოფილებარ, მაგრამ იმნაირი  
გლოვა ჯერ არსად მომისმენია. ამ ქალების ტირილი გულს  
ისე ძლიერად ხვდებოდა, რომ ქალი თუ კაცი, ყველა  
იცრებლებოდა. მე ასე შემიძლია ვთქვა: კარგი სიტყვებით  
შეთხზულ სიმღერას კარგი მომღერალთა გუნდი რომ მღერის  
ჩვენს ბედკრულ სამშობლოზე, აი ის გლოვა სიმღერის  
პირუეუ საპირისპიროდ რომ წარმოვიდგინოთ. რა თქმა უნდა,  
ოთარაანთ ქვრივში ქვრივის გლოვა შვილის მიმართ გლოვაა,  
მაგრამ ამაში პიროვნული გლოვაა, ის კი გუნდური  
განზოგადებული გლოვა იყო. შემიძლია ვთქვა, ამ მგლოვიარე  
ქალების სახით ქართულ ეროვნულ ტრადიციებზე აგებული



ბევრი კარგი რამ გვაქვს დაკარგული. თუნდაც გვალვის დროში რომ დადიოდნენ კახეთში ქალები, ელიას რომ თხოვდნენ ნათეს-ნარგავის მოსარწყავად წვიმა მოსულიყო.

ერთსაათიანი ტირილის შემდეგ მაცნემ იქ სარაიაში მოიტანა ამბავი: საცხენის ტყეში დავით საძაგლიშვილი შეევარებყლთან ერთად დაცხრილესო, რომ გაიგეს ვინ იყო დაცხრილული ქალებმა თქვეს: უიმე, ქა, მაგ უქარას გულისთვის ვტიროდითო? — თვალებიც დაუთხრიათ არჩილას გაუბეღურებისათვის. დაუმატა მეორე ქალმა. მეეჭვება დავითის მოკვლა არჩილს არ დააბრალონ.

— ან იმ კახპამ, კარგი რა იპოვა მაგ არამზადაში, რომ მშვენიერი ქმარი უარყო და დავითს გაჰყვა? კარგი გააკეთა, იმ მამაცხონებულმა, ის არამზადა ვინც მოკლა. მეორე მხრიდან კაცი გამოეხმაურა

— არა ნატო, თინათინი კი არ მოუკლავთ, იქ აფენში ვიღაც ჩასიძებულ სართიჭალელის ცოლი შეჰყვარებია და ის არის დავითთან ერთად მკვდარი.

— მაშინ იმ ქმარს მოუკლავს, ეგ ორივენი. დაამტკიცა თებროლებ.

— თებროლე, სხვას ვის ექნებოდა მაგათი დარღი, არჩილა მაგას ვერ გაბედავდა.

— პირიქით, არჩილას საქმე უფრო აეწყო, დავითს არჩილი დუელში ჰყავდა გამოწვეული და ხეალ თორმეტი საათზე უნდა შეხვედროდნენ. პირველად დავითს უნდა ესროლნა თხუთმეტი მეტრიდან. იმას ააცდენდა? მითუმეტეს მილიციის უფროსი ამეცადინებდა. არჩილს ასპროცენტიანი სიკვდილი ჰქონდა, განმარტა მაცნემ.

— ხოდა, არჩილი ღმერთმა გადაარჩინა, არამზადებს ღმერთი ხელს არ უწყობს.

— მართალი ხარ მართი.

ამ დღეს თბილისშიც მზიანი, ცხელი ამინდი იყო. არჩილი თუმცა სიცხიანია, შიშმა სძლია, მაგრამ მაინც ემზადება დანიშნული დუელისათვის. აბანოში შევიდა, შხაპი მიიღო. ანამ კარგი სამხარი მოუმზადა. იგი ყოველთვის ამნევებს, ნუ გეშინია, ჩემო რაინდო, ღმერთი შენსკენ არის, ნუ ნერვიულობ, დაწყნარდიო. ბავშვები ადრე დაანაყრა და

საათზე ორივე საცხენის ტყეში მიაცხრილა. ამ დროს, ეტყობა ვიღაც დავითის მხარდამჭერმა წაართვა კურმილი და არჩილას ბოლო სიტყვები ასე შემოესმა.

—ბედი გქონია, შე ნაძირალავ! დავითი ყველაფერში დაჩაგრე. იმან თუ მილიცა და პროკურატურა მიისყიდა, შენ ღმერთი მიგისყიდია.

ამის შემდეგ გახარებულნი მიუსხდნენ სუფრას და გვიანობამდე ქეითობდნენ. სიმღერა-ცეკვით ერთობოდნენ. დაღამდა, გვიან სალამოს ქუჩიდან ასეთი ხმა შემოესმათ: არ გადმოხტე, არ გადმოხტეო. გადაიხედეს ფანჯრიდან და დაინახეს: ქუჩაში ხალხი შეგროვილიყო, რაღაცას ეხვეოდნენ, მერე მილიცაც მივიდა, ჩაირბინა სასწრაფოდ არჩილამ და რას ხედავს: თინათინია გზაზე გაუღლლართული, მილიცას საავადმყოფოში უნდა წაეყვანა, მაგრამ არჩილამ არ გაატანა, ხელი შებდლზე მოუთათუნა და მაშინ გაახილა თვალები. ძლივს თქვა: არჩილ, შენა ხარ? და კვლავ ისევ მილულა და განუტევა სული. მიცვალებულს ჯიბეში წერილი აღმოაჩნდა. ამოილო არჩილამ და ჯიბეში ჩაიდო. სასწრაფოდ ხალხი მოიხმარა და მიცვალებული შინ აიყვანა, ტახტზე დაასვენეს. მერე წერილის წაკითხვა დაიწყეს.

—ჩემო არჩილ, მე შევიტყვე, რომ მათ მიერ შეთითხნილი დუელი ისეთნაირად იყო, რომ შენთვის სიკვდილი გარდაუვალი იქნებოდა და ამის გამო მე ჩავედი აფენში. მივედი სართიჭალელთან უამბე დავითის არაადამიანური ქცევა, მის ცოლთან ინტიმურ კავშირზე ველაპარაკე და ისიც დაუდარაჯდა, დარწმუნდა ჩემს სიმართლეში. თუმცა უიარაღოს ორივენი გაექცნენ, მაგრამ გაქცეულებს საცხენის ტყეში მაინც მიუსწრო და ერთიმეორეს ორივე წააკლა. წერილს რომ კითხულობდა არჩილი, თვალზე ცრემლები მოსდიოდა. რომ დაამთავრა წაკითხვა, მიცვალებულს სახეზე გადახადა და აკოცა. მაშინ თქვა: შენ ხარ ჩემი სიცოცხლის მხსნელიო.

მიცვალებული ახალ ტანსაცმელში გამოაწყვეს, შესანიშნავი ჰატივისცემით სოფელში დედის გვერდით დაასაფლავეს. მიუხედავად დავითისაგან ასე გამწარებისა, ერთი ყვავილი გულზე მაინც დაადო იმ არამზადა მიცვალებულ დავითს. მილიცაში დაპატიმრებული სართიჭალელიც

მეორე ოთახში სამეცადინოთ შეუშვა. მერე არჩილის გლობუს დაუძახეს და მიუსწდნენ სამხარს.

—არ ინერვიულო ჩემო ძმაო. გული არა გაქვს მშიშარა და ძალათ ნუ აშინებ.

—ჩემო დაო, ანავ, მე უკანონო დუელზე ვშიშობ. დავითმა რატომ უნდა მესროლოს პირველმა? თუ არ მოვკვდი და დავიჭრი, მაინც მოვიკრევ ძალას, ვესვრი და, თუ ასე მოხდა, ტყვიას მის გულს აღარ ავაცდენ.

ანამ ბავშვებზე რაღაც ეჭვი აიღო. შევიდა ბავშვების ოთახში და შენიშნა, რომ ორივენი ტიროდნენ.

—ბონდო, მურმან, რა გატირებთ, შვილო?

—განა ვერ გავიგეთ თქვენი ლაპარაკი? ზვალე მამაჩემი იმ ნაძირალამ უნდა მოკლას? დედა არა გვყავს, ახლა მამაც არ გვეყოლება.

—ნუ გეშინიათ, შვილო, მამათქვენს ვერავინ ვერ მოჰკლავს!

—გავიგეთ, მამას რომ ამშვიდებდი.

—ნუ სტირით, შვილო, დაწყნარდით. ჩემი მომკვლელი ჯერ არ დაბადებულა.

—გეყოფათ ბონდო, მურმან, გაჩერდით.

ბავშვები ვერ დააწყნარეს. პირიქით, იმათ ცრემლებმა დიდებიც აატირა. ამ დროს ტელეფონი აწკრიალდა, ელისომ აიღო ყურმილი:

—ალო, გისმენთ.

—გთხოვთ ქალბატონო, თუ შინ არის არჩილი, ყურმილი გადასცეთ.

—გისმენთ, არჩილი ვარ.

—გამარჯვებათ, მე ჩარექა გელაპარაკებით.

—გაგიმარჯოს. ხო, ჩარექ, რაშია საქმე?

—არჩილ ბედი შენსკენაა, სიმართლემ გაიმარჯვა.

—ხო, თქვი, რა მოხდა?

—სართიჭალელს დავითი გუშინ საღამოს თავის ცოლზე მიუსწრია, იმ უბედურს თოფი არ ჰქონია, დავითი ცხენით ყოფილა, შემჯდარა და შეყვარებული ნინო შემოუსვამს უკან და გაქცეულან. სართიჭალელს სასწრაფოდ თოფიც და ცხენიც უშოვია და გუშინ გამოკიდებულმა დღეს დილით თორმეტ

მოინახულა და კამერაში შესაფერისი პურმარილიც შეუგზავნა, არც სართიჭალელი დარჩა ვალში. მაღალი თანამდებობის წრე ჰყოლია და ისინი ჩააყენა ყვარლის მიღიცის—პროკურატურის უკანონო ქმედების საქმეში და მოთავენი სამ წელ მისჯილ პატიმარ სართიჭალელს ხუთ-ხუთი წლით მიუჯინეს გვერდში.

## ლუი და ნოი

სამხრეთ ამერიკის ერთ პატარა ქალაქში იქორწინეს ლუიმ და ნოიმ. ნოი იყო უაღრესად კეთილი, კულტურული პიროვნება, პროფესიონალისტი. ლუი ლამაზი, ლერწამივით ტანფეხით, პატიოსნების განსახიერებას წარმოადგენდა. ორივენი დიდებული ოჯახის შვილები იყვნენ. ნოი მუშაობდა რკინიგზის სადგურზე, მატარებლიდან ჩამოსულ მგზავრებს ბარგის გაღმოტანაში ეხმარებოდა და ყოველდღიურ პურის ფულს ძლიერ შოულობდა. მძიმე შრომას არ ერიდებოდა, თუმცა შეძლებული ოჯახიდან გახლდათ. მამამისი იურისტი იყო, დედა პედაგოგი, მაგრამ მშობლების სიცოცხლის ბოლო წლებში სახლი ისე გაუქურდეს, ხელმოსანაცვლად არაფერი დაუტოვეს.

ერთ საღამოს სადგურიდან დაბრუნებულ ნოის ცოლი გახარებული შეეგება.

—მგონი გავკეთდით, ნოი, ნამდვილად გავკეთდით!

—როგორ, გენაცვალე, ლუი, რანაირად? მითხარი!

—აქ, ჩვენი სახლის მახლობლად ოფიცერთა სასადილო გაიხსნა...

—მერე?

—იქნება დამლაგებლის ადგილი ვიშოვოთ და რომ ვიმუშავებ ხელფასიც მექნება. კერძის ნარჩენებსაც გამოვიყენებთ.

—არა, ვერ იმუშავებ.

—რატომ? ეჭვიანობ?

—ასეთმა ლამაზმა ქალმა დამლაგებლად როგორ უნდა იმუშავო? სირცხვილი არ არის?

—მაშ რა ვქნა? დირექტორად მე არ გამიშვებ და მშივრები როდემდის უნდა ვიყვეთ?

—მოიცა, სხვა რამე მოვიფიქროთ! — წუთიერი დუმილის შემდეგ ლუიმ წამოიძახა:

—გავკეთდით ნოი, ნამდვილად გავკეთდით!

—როგორ ლუი?

—მე წავალ, ოფიცირებს მოვიპატიუებ, ისინიც ხელდამშვენებულნი მოვლენ, მოიტანენ კონიაკს, ღვინოს, ტკბილეულს... შენ ცალკე გასაღები გექნება და ჩვენ, როცა შიგნით ჩავიკეტებით, შენ გასაღების ადგილიდან დაგვიწყებ თვალთვალს. ვინმე საკოცნელად, რომ წამოიწევს, გააღებ კარებს და შემოხვალ. მე ვიტყვი: ქმარი მოვიდა და ახლა მაგის დრო არ არის-თქო! ის წავა და მოტანილს უკან ხომ არ წაიღებს? ჩვენც შემოვუსხდებით და ვიქეიფებთ. მეორე დღეს სხვა იქნება და დროც ასე წავა.

—დავუშვათ და რამე მოხდა ჩემს შემოსვლამდე?

—შენ ფიქრი ნუ გაქვს. მე არაფერი მომივა. მთავარია კარში გახვიდე და შემოიჭყოტო, საწოლები ჩანს თუ არა, თუ არა ჩანს, ისე დავდგათ, რომ გამოჩნდეს.

ეს საქმე მოაგვარეს და მეორე დღეს სამუშაო საათების შემდეგ ლუიმ ხელდამშვენებული სამხედრო პოლკოვნიკი მოიყვანა. შევიდნენ სახლში დააწყეს მაგიდაზე ორი ბოთლი კონიაკი, თავისი საუზმითურთ, შემწვარ-მოხრაკული ქათმებითურთ. რამდენიმე წუთით დაისვენეს და სუფრაც გააწყვეს. ის დამე, რომ დააღრჩეს, მეორე დღეს ლუიმ ქმარს ტირილით უსაყვედურა: რატომ არ შემოხვედი, მთელი დამე რად მიმატოვე, აღარ გყვარებივარო.

—არა გენაცვალე, ნუ ტირი! მიყვარხარ, როგორ მიყვარხარ? მაგრამ გასაღები კარებში დაგრჩენიათ და ჩემი გასაღები როგორ მოთავსდებოდა საკეტში?

—უი, მომიკვდეს თავი, როგორ მომივიდა ეს? არაფერია, ეს ერთი მაპატიე, ნოი, მეორედ გასაღები კარებში აღარ დამრჩება. შენ კარგად იცი მე როგორი სინდისნამუსიანი გოგო ჩაგბარდი. თუ გიყვარვარ, გთხოვ, ყურადღებით იყო და სხვის ხელში საგორაოდ ნუ გამხდი.

მეორე დღეს სამუშაო საათების შემდეგ ნოიმ თავისი თვალით დაინახა, თუ როგორი ხელდამშვენებული ოფიცერი შეიყვანა ლუიმ სახლში. ამ დროს მოვიდა მეზობელი ქალი სამსახურიდან. ნოის შესასვლელი კარების მოედნიდან იწყებოდა ამ ქალის სახლის კიბე და ადიოდა მეორე სართულზე. რადგან არ იცოდა სინამდვილე, მიამიტად უთხრა:

—რა არის ნოი არ გიშვებენ სახლში?

დაღამდა ბინდი მოეძალა არემარეს. მეზობელი ქალი აივანზე გამოვიდა და ნოის დაუძახა.

—მართლა არ გიშვებენ? თუ ცოლი არ გიშვებს, ამოდი აქა.

—არა, არა, გმადლობთ! ეს ხმა რომ მოესმა სახლიდან ლუი გამოვარდა.

—შენ ვინ გეკითხება ჩემი ქმრის ამბავს?!

—საცოლდავად რომ იყურება ფანჯრიდან, რატომ შიგნით არ შეუშვებ? კურო ხომ არა გყავს? —დაგესლა მეზობელმა.

—დიას მყავს! შე უბედურო, შენ რა გეშველება, თორემ მე ქმარიცა მყავს და შეყვარებულიც. შენი გომბიო თავი ვის რამი ჭირდება?

ნოიმ კვლავ კარში გაათენა ის ღამე. დილით ლუიმ კვლავ უსაყველურა:

—შენ ქმარი არა ხარ, როგორ დაჩლუნგებულხარ? გასაღები ხომ მოგეცი, ვერ შემოხვედი? მთელი ღამე კარში როგორ გაათენე?

—ახლა ჩემი გასაღები დამრჩა შიგნიდან კარებში.

—ოი, შე ბეშიკავ! როგორ დაგავიწყდა, ვერ გამოიღე? შენ მეცოდები მთელი ღამე კარებში, რომ ხარ... თუმცა ჰერზე ხარ. იცოდე, გაფრთხილებ, მარინასთან იმ კახპასთან არ

ახვიდე, არ მიღალატო, თორემ აღარ დაგელაპარაკები. ცოტა მოგონილი  
ფხიზღად მოიქცი. ყურადღებით იყავი, მომარჯვებული  
გქონდეს გასაღები. შენი დაუდევრობით ეს ორი ღამე გამწირე.  
ასე უმწიკლო ქალი ჩამაგლე ლომის კლანჭებში. ხომ გახსოვს,  
როგორ პატიოსნად ჩაგბარდი? სამსახურის შემდეგ ლუიმ  
კვლავ მოიყოლა უხვად ხელდამშვენებული მაორი. ამ დღეს  
მოიღრუბლა, ცა საწვიმრად იყო გამზადებული. ბოლოს  
გაიელვა, ერთი დაიგრუხუნა და მოაყოლა თქეში. საწყალ ნოის  
თავშესაფარი არა აქვს, წვიმაში დგას. ერთხელ მოიწადინა  
ღრიფოში გახედვა, რომ ლუი და მაიორი ღრმა სიყვარულში  
იყვნენ შესულნი და მიანება თავი. უკან მოიხედა და მეზობელი  
ქალი წამოდგომოდა ქოლგით.

—რა არის, ნოი, მანდა რომ იხედები? თავადაც შეიხედა  
და ნახა ქალვაჟის სიყვარულის სპექტაკლი, მოავლო ხელი  
მამაკაცს და უთხრა:

—ხომ, ეგ ეკლდა შენს მეუღლეს და ეგეც დაუწყია.  
ლუი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ სილამაზით  
შემკულია, მაგრამ პატარა მტრედივით. მარინა კი მაღალი  
ტანფეხით, სანთელივით ჩამოქნილი, გედივით მოსრიალე.

ნოიმ მესამე ღამეც კარში გაატარა. დილით ლუიმ,  
მაიორი რომ გაისტუმრა, ქმარს მიუტრიალდა და საყვედლური  
გამოუცხადა: რა არი, რამ დაგამონავა, ვერ შემოხვედი?  
მთელი ღამე არ მომასვენა... უძილობით თავი მტკივა.

—ვერ დაინახე, მაიორმა შესვლისთანავე ერთი ნაგანა  
ჯიბიდან ამოიღო მაგიდაზე დადო, მეორე კი საწოლის  
ბალიშის ქვეშ რომ ამოდო? როგორ შემოვსულიყავ, თავს ხომ  
არ მოვაკვლევინებდი?.. ლაპარაკს შევეშვათ! მოდი, პური  
ვჭამოთ! მოუსხდნენ ცოლქმარნი სუფრას. ღვინით, კონიაკით  
შეთვრნენ, მოისიყვარულეს ერთმანეთი და ლამენათევებმა  
ტკბილად ჩაიძინეს.

ნალამური ცა დილით ცოტა შეიმღვრა. მზემ ისე  
გადასერა ცა, რომ თავი ვერსად იჩინა. მარინა ჩამოევლო  
ოცდაშვიდსაფეხურიან ფიცრის კიბეს და ფანჯრიდან შეიხედა.  
შემდეგ კარში პირის დასაბანად გამოსულს ნოის შეახსენა

—იჩქარე, სამსახურში არ დაგვიანდეს!

ლუიმ, მოისმინა თუ არა ეს სიტყვები, გამოუვარდა.

—შე მახინჯო, ჩემი ქმრისას ვინა გკითხავს დაიგვიანებს  
თუ არა?

მარინამ ერთი შეხედა და განავრძო გზა. იმ დღეს არც  
მზე გამოჩენილა და არც წვიმის წვეთი ჩამოვარდნილა. მარინა  
სამსახურიდან, რომ დაბრუნდა, შენიშნა, რომ ნორ გარეთ,  
თავისი სახლის კარების გვერდით, ფანჯარასთან საწოლს  
იმართავდა და გადაულაპარაკა:

—რაშია საქმე? ცოლს ხომ არ ეყრები?

ამ სიტყვის გამო გამოუვარდა ოთახიდან ლუი და კიბეზე  
მიმავალ მარინას მიაძახა:

—რატომ უნდა გამეყაროს, შე გომბიო შენა? რომ  
გამეყაროს ჩემზე უკეთესს შეირთავს?

მარინამ მოგვიანებით შენიშნა, რომ ვიღაც  
ხელდამშვენებული, პოლკოვნიკის ჩინით, შევიდა ლუისთან და,  
არც ის. გამორჩენია, გარეთ საწოლზე მჯდომი  
განერვიულებული ნორ სიგარეტს ზედიზედ, რომ ეწეოდა.

ის ის იყო შეყვარებულებმა ჩაიძინეს, რომ დღისით  
თავშეკავებული ღრუბლები საღამოთი აცრემლდნენ.  
ტანსამოსიანი ნორ საწოლზე ხან წამოჯდებოდა, ხან საბანში  
შეიყუებოდა. სინათლები ჩამქრალი იყო იმ უბანში, მხოლოდ  
მარინას ოთახიდან გამოდიოდა შუქი. წვიმა თანდათან  
გაძლიერდა, ისე, რომ ნორის ლოგინიც დაუსველდა და თავადაც  
გაიღუმპა. მარინამ შეხედა, ჩაუტანა ცელოფანის მოსასხამი,  
მაგრამ საცოდავს უკვე აკანკალებდა. ქარი იყო და ცელოფანი  
ვეღარ შველოდა. ქალმა სთხოვა, შე საცოდავო, ლოვის  
ოთახში მოგათავსებო. მაგრამ იუარა, ცოლი გამიბრაზდებაო.  
წვიმა და ქარი მთელი ღამე გაგრძელდა. ნომ ვეღარ გაუძლო  
სიცივეს და ღამის ორ საათზე ჩუმი ნაბიჯით ავიდა მარინას  
სახლის გამოსასვლელი კარების გადახურულ მოედანზე  
წამოწვა. მაგრამ სველი მაინც მოუსვენრობას გრძნობდა.  
ფეხზე წამომდგარ ნორის უცებ თვალი გაექცა უფარდოთ  
დარჩენილ პატარა ფანჯრისკენ. ჩართული სამაგიდო სინათლის  
შუქი უპერანგოდ დარჩენილ ტიტველა ხორცებს ისე  
ასხივოსნებდა, რომ მისმა დანახვამ ნორ ჯოჯოხეთიდან  
გამოიყვანა და სამოთხისებური შვება აგრძნობინა. ამან უფრო  
გააბედინა ზარის ღილაკზე თითის დაჭერა.

— ვინა ხარ? მოისმა ქალის ხმა.

— ნოი ვარ, ნოი!

მარინა ადგა, სასწრაფოდ ხალათი გადაიცვა და კარები გაუხსნა.

— მოღი, შე საცოდავო!

კაცი შევიდა და მუხლის ჩოქზე დაუდგა.

— შემიძრალე, დავიღუპე მარი, კაცად თუ ვიქცევი აღარ მეონია!

— რა არის, კიდევ მოიყვანა?

— ეს კვირა სულ ამ დღეში არაა? გაგიედა. პატიოსნება მუცელს გადააყლა!

— შედი საცოდავო აბაზანაში, გასუფთავდი!

— არა, არა! მე შენი ღირსი არა ვარ!

— კი არ გიჩემებ გასუფთავდი! აი, პირსაწმენდიც, გემიება ალბათ. შენ იბანავე, მე მანამდე სუფრას გავშლი.

ღამის სამ საათზე მიუსხდნენ სუფრას. ნოიმ კონიაკით გული იჯერა. ორი ჭიქა მარინამაც გადაპკრა და ძილი ნებისა უსურვა ნოის და ცალკე ოთახში გაშლილს თავის საძინებელს დაუბრუნდა. ნოი დაწვა, მაგრამ ახლა, ყველაფრით უზრუნველყოფილს, ის არ ასვენებდა რაც თვალებმა გულს ერთი დანახვით აგრძნობინეს. კუჭი დაკმაყოფილებულია, მაგრამ გული და სული არ ისვენებს. გული სიყვარულს ექცს, გულისაკენ იწევს.... ადგა უხმაუროდ გააღო ქალის საძინებელში გამავალი კარი. მივიდა, დახედა ქალს უეცრად ვნებებმა სძლია. აკანკალდა. მძინარეს ემბორა. მარინამ მხოლოდ მხარი იცვალა. მეორედ აკოცა. კვლავ მხარი იცვალა. უნებართვოდ ჩაწოლა მაინც ვერ გაბედა, სინდისმა სძლია და გაბრუნდა. მარინამ მხოლოდ მაშინდა გაიღო ხმა:

— რას ეძებ, ნოი, რა გინდა?

— მხოლოდ შენს სიყვარულს, ანგელოზო!

— არა, ნოი, შენ ცოლი გყავს და არ შეიძლება.

— არა, ის ჩემი აღარ არის! სასაღილოს კახპაა! მასზე გული აღარ მამიძრუნდება! თუ თანახმა იქნები, ამიერიდან შენ იქნები ჩემი! ვნებამორეული კაცი ერთბაშად დააცხრა.

— არა, არა! არ შემიძლია! ნოიმ იგრძნო ეს უარი რა ტონითაც იყო ნათქვამი და ჩაუწვა. უფრო მძლავრად მიიზიდა

კალმანის მსგავსად მოფართხალე ქალის ჭანი. გული სიყვარულით, რომ იჯერეს, მერე მარინამ უთხრა:

—გათენებაა, წალი! ახლა შეუღე მათ კარი და უთხარ, სელი ტანისამოსი მაქვს და უნდა გამოვიცვალოთქო.

ნოიმ და მარინამ ამ ღამის მსგავსი კიდევ ხუთი-ექვსი ლამე ერთად გაატარეს. ლუი უფრო თამამად გაიდქიფა სამხედროებში და მერე აღარც გაუხედავს ქმრისკენ. მარიმ ქმარს ჩააცვა, დაახურა თავისი გემოვნებით სამსახურიც უშოვა, ეკონომისტად დასვა და მკლავი მკლავში გაყრილი მიდი-მოდიოდნენ. თითქოს და დრომ მიუჩინა ყველას თავისი ადგილი. შეყვარებული ერთი-მეორეს შეეგუვნენ. აგერ, ეხლა ლუი მეზობლებთან ჩამდგარა და სწორედ ახლა გაიარეს მის წინ მკლავგაყრით ნოიმ და მარინამ. ლუი ჭორაობას მოჰყვა:

—ევ კახპა მარინა, ნოის ჩემს წინ ისე გამაღიზიანებლად დაატარებს ხოლმე, გეგონება მაგ კაცის ტემპერამენტიანობა არ ვიცოდე.

—რა არის, ლუი, ნოი არ იყო ტემპერამენტიანი?

—როგორ არა, მაგრამ...

—რა, მაგრამ? თქვი, რაც სათქმელი გაქვს უნდა ითქვას.

—მაგრამ ის, რომ მე ვერ მაკამაყოფილებდა.

მეზობლებმა გადაიხარხარეს ცოტა ხანში ხელში ჩანთით ბაზარში მიმავალმა ნოიმ და მარინამ წინ გაუარეს. ლუიმ დაადევნა:

—მეზი კი დაგაყარეთ!

მათ კი ისე გაიარეს, თითქოს არც გაგვიგიაო.

დრო გავიდა და ლუი რომელი ნაწილის ოფიცირებშიც გულაობდა, ის ნაწილი სხვაგან გადაგზავნეს. ერთმა ოფიცერმა იგი ცოლად წაიყვანა. ნოი კი იმავე საწარმოოს დირექტორის მოადგილედ დანიშნეს, დააწინაურეს, როგორც კარგი სპეციალისტი. მარინა დაფეხმდიმდა. ცოლქმარის სიჯანმრთელებმ შედევი გამოიღო. ბედნიერი სიყვარული უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მეორედ გათხოვილი ლუი ექვსი თვის შემდეგ დაბრუნდა. გააღო დაკეტილი სახლის კარი. გააღვიძა მიძინებული კედლები. უსამსახუროდ და უსახსროდ დარჩენილი დამლაგებლობას თავის ნაქმარევს სთხოვდა. მარის შიშის უსიამოვნო წინათგრძნობა დაეუფლა, მაგრამ

კეთილშობილებამ უარი ვერ ათქმევინა. პირიქით ქმარი დამდაგებლად ააყვანინა. დროთა ვითარებაში ლუიმ თავისი ბინა გაყიდა და მის მაგიერ სხვა უბანში გადასახლდა. ნომ, რომელიც ნამდვილ კაცად აქცია მარინამ, ახლა მას უღალატა და პირველ ცოლს ლუის დაუბრუნდა. ორჯერ თხოვა მარინამ ნოის, დაბრუნებოდა ოჯახს და შეიღს მამა თავზე დგომოდა. რადგან არ მოხერხდა მათი შერიგება. მაშინ მარინას აღალმა ბიძაშვილმა, რომელიც დირექტორი იყო, ნოი სამსახურიდან დაითხოვა. ამ ამათზეა ნათქვამი: წლუმპედან ამოყვანილმა იმდენი იგორა, კვლავ წლუმპეში ჩავარდა.

## ცოლქმარნი სარა და აბრამა

ქალაქის მახლობლად, მთის პატარა მყუდრო ფერდობზე, მდინარის ნაპირზე გაშენებული იყო სოფელი ბარალულა. სოფლის განაპირად ორსართულიანი ძეგლი მამაპაპური სახლი იდგა. ამ პატარა პროზაული ნაწარმოების გმირებიც ამ სახლში ცხოვრობდნენ. კაცს აბრამა; ქალს კი სარა ერქვა. ქმარი იყო მღებავი, ცოლი კი მკერავი. ორივ საქმაო ფულის გამკეთებლები და შემომტანები გახლდნენ. უნდა ითქვას, რომ სიმდიდრით ამ სოფელში პირველები იყვნენ.

ერთ დღეს სამსახურიდან მობრუნებულ აბრამას სარამ ჯარში გასაწვევი უწყება დაახვედრა. აბრამამ გადაიკითხა და დადარდიანდა. სევდა შემოწოლილმა ცოლს გადაულაპარაკა:

—რა უბედურ დღეზე ვარ დაბადებული? ომი მაინც არ იყოს, სარამ მეუღლე დაამშვიდა.

—რა გადარდებს? ღმერთის მადლით ფული ბევრი გვაქვს, აიღე და კომისარს ჩაუტანე. ისიც გაგანთავისუფლებს, ხომ იცი, ქრთამი ჯოვოხეთს ანათებსო.

აბრამას ჯერ კი გაუხარდა ცოლის მოსაზრება, მაგრამ ცოლის რჩევას მერე ღრმად ჩაუფიქრდა, გონებაში აწონდაწონა, გააანალიზა და როგორც იქნა ამოღერლა:

—არა, ფულს ვერ მიუცემ!.. რატომ უნდა მივცე? ჭუჩაში ნაპოვნი ხომ არ მაქვს?



—აბრამ, ფული მიეცი შენთვის ასე სჯობია.

—არა, ფულს არ მივცემ! ან რატომ უნდა მივცე, როგორ უფულოდ თავის გადარჩენის ორი პირობა არსებობს? ერთი: შეიძლება, უფულოდ გამანთავისუფლონ; მეორე: თუ არ გამანთავისუფლეს, ხომ შეიძლება სადმე ახლოს მაინც დამტოვონ?

—დავუშვათ, არ გაგანთავისუფლეს და არც აქ, ახლოს დაგტოვეს, მაშინ?

—ქალო, შენ ჩემთვის ცუდს ფიქრობ თუ კარგს?

—კარგს ვფიქრობ და იმიტომ გეუბნები ფული მიეცითქო.

აბრამა კვლავ ჩაფიქრდა, რამდენიმე წუთის შემდეგ გახარებულმა თქვა:

—ფულს მაინც არ მივცემ. თავის გადარჩენის ორი საშუალება კიდევ მოვიფიქრე. პირველი: იქნებ ფრონტზე არ გამაგზავნონ; მეორე: იქნება პროდუქტების საწყობში გამგედ გამიშვან. იქ ფულსაც გავაკეთებ და გამოგიგზავნი.

—დავუშვათ და ფრონტზე გაგაგზავნეს?

—ფულს მაინც არ მივცემ! ტყუილად რატომ უნდა მივცე?

აბრამამ ფიქრს კიდევ რამდენიმე წუთი დაუთმო და გახარებულმა წამოიძახა:

—ორი საშუალება კიდევ მაქვს! ერთი: შეიძლება მტერს დავასწრო და მოვკლა. მეორე: შეიძლება გადავრჩე, ამცდეს ნასროლი ტყვია და ვერ მომკლა... ან, არა და, ყველა ხომ არაა დაუნდობელი? დავუშვათ შემიბრალა და ცოცხალი ჩამოვედი.

—თუ არ შეგიბრალა და მოგკლა?

—ფულს მაინც არ მივცემ! რატომ მივცე, ჰაერიდან კი არ მოდის. კიდევ მაქვს ორი ვარიანტი. პირველი: საიქიოში შესული, არჩევანით, შეიძლება სამოთხეში გამიშვან; მეორეც ის, რომ ამ ხერხით შეიძლება ჯოჯოხეთს ავცდე.

—იქნებ ვერ აიცდინე და ჯოჯოხეთში გაგიშვან?

სარა, შენ ჩემი მტერი ხარ?!

—მტერი კი არა, არ მინდა, აბრამ, რომ დაიჩაგრო.

—სარა თავს არ დავიჩაგრავ, მაგრამ არც ფულს მივცემ.

—დამიჯერე, აბრამ, საქმე გაგიფუჭდება თუ ფულს  არ გადაიხდი. დაგასწრებს ეშმაკი და მერე ასეთ ლამაზ ქალს მარტოდ მტოვებ? შვილი მაინც მყავდეს?

—თქვა და დაიწყო ტირილი. მერე აბრამასაც ამოუჯდა გული, მოეხვია, მოეფერა.

განებივრებულმა სარამ სლუკუნით უთხრა:

—აბრამ, ფულს კომისარს ახლა მაინც ხომ მისცემ?

—კი, გენაცვალე! შენგან ჩიხში შეგდებული კაცი ფულს მივცემ, მაგრამ მე საიქიოდან ვინ დამაბრუნებს?

თურმე, ცოლქმარნი ერთი და იგივე სიზმარში იყვნენ. მომტირლები უფალმა გააღვიძა. გახარებულები ერთიმეორეს ეხვეოდნენ, ეფერებოდნენ და ვნებადამცხრალნი უფალმა კვლავ დააძინა.